

K 252 479
3

მაია მანია
Maia Mania

Maia Mania


ლ. დ. ჯვარცხელი,

და შრომა: ...



*შრომა და ...
...
...*

ევროპელი არქიტექტორები თბილისში



EUROPEAN ARCHITECTS IN TBILISI

Handwritten signature and text at the bottom of the page.

მაია მანია

ევროპელი არქიტექტორები თბილისში

Maia Mania

EUROPEAN ARCHITECTS IN TBILISI



EUROPEAN UNION



Botschaft der
Bundesrepublik Deutschland
Tiflis

POLISH EMBASSY
IN GEORGIA



COUNCIL OF EUROPE
CONSEIL DE L'EUROPE

თბილისი
TBILISI
2006

რედაქტორი: დიმიტრი თუმანიშვილი
მთარგმნელი: ნინო მატარაძე
ფოტოების ავტორი: მაია მანია
დიზაინი: გიორგი დემეტრაშვილი

ნიგნში გამოყენებულია საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის, საქართველოს ეროვნული მუზეუმის - შ. ამირანაშვილის სახ. საქართველოს ხელოვნების მუზეუმი, სიმონ ჯანაშიას სახ. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმი, იოსებ გრიშაშვილის სახ. თბილისის ისტორიის მუზეუმი ("ქარვასლა") - და საქართველოს ცენტრალურ სახელმწიფო საისტორიო არქივში დაცული ფოტოები და პროექტები.

ავტორი განუვლი დახმარებისათვის მადლობას უხდის ეთერ ბაიბუხაშვილს, ელენე და ალექსანდრე ბაგრატიონ-მუხრანბატონებს, გია გერსამიას, თამთა გოჩიტაშვილს, გიორგი გოცირიძეს, პატრიცია და ჰანს გიუნტერ გრიგოლაიტებს (ვისბადენი), არქიტექტორ იოჰან დიცმანის შვილიშვილს იური დიცმანს, ნატალია დუშკინას (მოსკოვი), ნინო ზაალიშვილს, ბოლოს ლევონ ზეკიანს (ვენეცია), მარგო თიბილაშვილს, ნინო კოლხიევას, ნუნუ კორძახიას, გიორგი მარსაგიშვილს, ნანა მახათაძეს, თამარ მიქაძეს, ნათია მიქელაძეს, დავით სულაქველიძეს, არქიტექტორ ლ. ბილფელდის შვილთაშვილს - ჯენეტ ტაკანაევას (მოსკოვი), ლიდა უესტს.

Editor: Dimitri Tumanishvili
English translation: Nino Mataradze
Photography: Maia Mania
Design: George Demetrashvili

Some of the photographs and designs presented in this book are by kind permission of the National Library of the Parliament of Georgia, the Georgian National Museum (the Amiranashvili State Museum of Fine Arts of Georgia, the Janashia State Museum of Georgia, and the Grishashvili Museum of the History of Tbilisi) and by the Central State Historical Archives of Georgia.

Acknowledgements: The author expresses her sincere thanks to: Alexandre and Elene Bagration-Mukhranbatoni, Eter Baibukhashvili, Yuri Ditsmann (grandson of the architect J. Ditsmann), Natalia Dushkina (Moscow), Tamta Gochitashvili, Giorgi Gotsiridze, Hans-Gunther and Patricia Grigoleit (Wiesbaden), Nunu Kordsakhia, Giorgi Marsagishvili, Natia Mikeladze, Davit Sulakvelidze, Jennet Takanaeva (great granddaughter of the architect L. Bielfeld, Moscow), Margo Tibilashvili, Lydia West, Nino Zaalishvili, Boghos Levon Zekiyani (Venice)

Text: © The European Commission
Photos: © Maia Mania

ISBN 99940-67-02-8

The contents of this publication is the sole responsibility of the author and can in no way be regarded as the official position of the European Union

K 252.479
3

თბილისის არქიტექტურა XIX საუკუნის მეორე ნახევარსა და XX საუკუნის დასაწყისში 4

ევროპელ ხუროთმოძღვართა მიერ აშენებული თბილისის საზოგადოებრივი შენობები 16

ევროპელ ხუროთმოძღვართა მიერ აშენებული თბილისის საცხოვრებელი სახლები 64

ევროპელი არქიტექტორების მიერ საქართველოში აშენებული შენობები 120

ევროპელი არქიტექტორების მიერ თბილისში აშენებული შენობების რუკა 134

შენობათა საძიებელი 136

CONTENTS

Tbilisi architecture in the second half of the 19th and beginning of the 20th century 5

Public buildings designed by European architects in Tbilisi 17

Residential houses designed by European architects in Tbilisi 65

Buildings designed by European architects in Georgia 121

Map of buildings designed by European architects in Tbilisi 134

Index of buildings 136

თბილისის არქიტექტურა XIX საუკუნის მეორე ნახევარსა და XX საუკუნის დასაწყისში

თბილისის არქიტექტურის ისტორია, ისევე როგორც თავად ქალაქის ისტორია, მრავალ საუკუნეს ითვლის.

აღმოსავლეთისა და დასავლეთის ორ დიდ სამყაროს შორის, დიდ საქარავნო-სავაჭრო გზაზე მდგომი საქართველოს სახელმწიფოს დედაქალაქის სახე უხსოვარი დროიდან ყალიბდებოდა.

თბილისმა მრავალი სხვა ისტორიული ქალაქის ბედი გაიზიარა. ხან ირანის, ხან არაბთა, ხან ხაზართა, ხან მონღოლთა თუ ბიზანტიელთა ხელში მყოფი ქალაქი მრავალჯერ დაინგრა და აღდგა. მაგრამ მდიდარი და განუმეორებელი ბუნებრივი პირობებით განსაზღვრული, უხსოვარი დროიდან ბუნებრივ დომინანტებს შორის მოქცეული, მკვეთრი ინდივიდუალობის მქონე ქალაქი თავის კონსტანტებს ინარჩუნებდა - სოლოლაკის მთას ნარიყალას ციხით, სოლოლაკის კეხს - გალავნის ხაზით და შაჰისტახტით, ისნის კლდოვან პლატოს მეტეხის ეკლესიით და სხვა სიძველეებით, თაბორის მთას თაბორის ეკლესიით, კალას ველს - ანჩისხატითა და სიონით, ბეთლემის, სურბნიშნის, ნორაშენის, ჯვარის-მამის, კათოლიკური და სხვა ეკლესიებით, სინაგოგით და მეჩეთით. მდინარე მტკვრის ვიწრო ხეობაში, მის ორსავე მხარეს, აღნიშნულ ბუნებრივ და არქიტექტურულ დომინანტებს შორის გაშენებული თბილისის ქალაქური ქსოვილი მკვიდრად ნაშენი გუმბათოვანი აბანოების და ქარვასლების, საკულტო ნაგებობების, შეფენილი თუ ვაკეზე გაშლილი საცხოვრებელი უბნების ერთობლიობას წარმოადგენდა. XIX საუკუნის აივნაიანი თბილისის წინამორბედი გალავნებით შემოზღუდული გვიანშუასაუკუნეებრივი თბილისი ქვის და აგურის მონაცვლეობითი ნიშნებით ნაშენი აივნაიან-კარაპნიან-ბანიანი თბილისი იყო.

განსაკუთრებულად დასამახსოვრებელი თბილისისათვის 1795 წელს სპარსელებისაგან მისი დარბევა იყო, რომელსაც ემსხვერპლა ფაქტიურად მთელი შუასაუკუნეებრივი ქალაქი.

1801 წლიდან როდესაც საქართველო რუსეთის იმპერიის ნაწილი გახდა, რასაც უმძიმესი პოლიტიკური შედეგები მოჰყვა, თბილისის გადაქცევამ ამიერკავკასიის უმთავრეს ადმინისტრაციულ-კულტურულ ცენტრად მისთვის სრულიად ახალ ეპოქას დაუდო დასაბამი - ეპოქას, რომელიც მოასწავებდა ევროპული სამყაროსკენ მოზრუნებას და ფეოდალური ქალაქის ახალ ევროპულ-კაპიტალისტურად გარდაქმნას.

ცვლილება განსაკუთრებით თვალშისაცემი XIX საუკუნის 60-იანი წლებიდან ხდება, მაშინ, როდესაც თბილისი და კავკასია, რუსეთის იმპერიის კვალდაკვალ დაჩქარებული კაპიტალისტური განვითარების გზას ადგება, რაც კულმინაციას XIX-XX საუკუნეთა მიჯნაზე აღწევს.

TBILISI ARCHITECTURE IN THE SECOND HALF OF THE 19TH AND BEGINNING OF THE 20TH CENTURY

The history of the architecture of Tbilisi, as well as that of the city itself, goes back many years.

The capital city of the state of Georgia, located on a large trade-caravan route, between the east and the west, began to take its shape long ago.

Tbilisi shared the fate of many historical cities. Under the successive rule of Iranians, Arabs, Khazars, Mongols and Byzantines, it has many times been destroyed and rebuilt. However, its specific natural setting and location allowed this highly original city to retain its dominant features, such as Mount Sololaki with Nariqala Fortress, Sololaki mountain-range with a surrounding wall of defence and Shakhistakhti, Isani rocky plateau with Metekhi Church and other buildings of the distant past, Mount Tabor with Tabor Church, and the Kala valley with Anchiskhati, Sioni, Bethlehem, Sourp Nishan, Norasheni, Jvaris Mama, Catholic and other churches, a synagogue and a mosque. The urban fabric of Tbilisi, a city extending along both sides of the river in a narrow gorge, was created by domed baths and caravanserais, religious buildings, and residential quarters built either on the hilly or lowland terrain. Before turning into a city of overhanging balconies in the 19th century, in the late medieval period Tbilisi was a walled town with alternating stone and brick houses featuring built-in balconies and terraces.

თბილისის ხედი. დეროის
ლითოგრაფია ვ. მაჩკოვის
ნახატის მიხედვით.
დაბეჭდილია ძმები
ტიერების ლითოგრაფიულ
სახელოსნოში პარიზში. 1829
View of Tiflis. Lithography
of Deroy according to
V.Machkoff's drawing. Printed
in Thierry Brothers Lithography
studio in Paris. 1829



შენდება მრავალი სამრეწველო დანიშნულების ნაგებობა — რკინიგზის სადგური, ფაბრიკები და სახელოსნოები, ძველი ქარვასლების განახლება ხდება და დიდი სავაჭრო შენობებიც იგება, ეწყობა დიდი მასშტაბის სამრეწველო გამოფენები. არსდება სამეცნიერო დაწესებულებები — ობსერვატორია, ბოტანიკური ბაღი, სხვადასხვა სახის სასწავლებლები — გიმნაზიები, ინსტიტუტები, ლიცეუმები, სამხატვრო საზოგადოებები. ყალიბდება კავკასიური მუზეუმი. აღმავლობას განიცდის ქართული ტრადიციული თეატრი. თანდათან თბილისში იყრის თავს მთელი საქართველოს კულტურული ძალები. სიახლე ერთდროულად აისახა როგორც ქალაქის ურბანისტიკაში, ასევე მის არქიტექტურაში; ცვლილებებს განიცდის მთელი ქალაქის ხუროთმოძღვრული სახე.

საგულისხმოა, რომ სპარსელთა მიერ განადგურებულ ქალაქში XIX საუკუნის დასაწყისიდან მოყოლებული, ძველი ქალაქის ფარგლებში მშენებლობა მეტ-ნაკლებად ძველი, დანგრეული შენობების გამოყენებით წარმოებდა. თუ კვარტალთა შიგნით ხშირად ახალი გეგმარება ჩნდებოდა, მათი გარე კონტური მკაცრად ნარჩუნდებოდა. ამიტომაც, დღემდე თბილისის უძველეს ნაწილებში - საკუთრივ თბილისი, კალა, ისანი - დაგეგმარება, ქუჩათა ვიწრო, მიხვეულ-მოხვეული, ირეგულარული ქსელია შემორჩენილი. თბილისის ახალი უბნები კი უკვე სხვაგვარად დაიგეგმა და გაშენდა. ძველი თბილისისგან განსხვავებით აქ რეგულარული გეგმარება, გეგმიანი საწყისი გაჩნდა. საკუთრივ თბილისი(საიდაბადი)-კალა-ისნის მცირე ზომის საზოგადოებრივი შენობები და საცხოვრებელი სახლები მსხვილმასშტაბიანმა ოფიციალურმა შენობებმა და შემოსავლიანმა სახლებმა შეცვალა.

XIX საუკუნის თბილისის არქიტექტურა სტილისტური თვალსაზრისით ამავე პერიოდის რუსეთისა და ევროპის ქალაქების მაგალითს მისდევს. XIX საუკუნის დასაწყისიდანვე თბილისში ფეხს იკიდებს რუსული კლასიციზმი და ამ სტილის მნიშვნელოვანი ნიმუშები შენდება. XIX საუკუნის მეორე ნახევრიდან კი თბილისის არქიტექტურა რუსეთისა და ევროპულს კვალდაკვალ სტილისტური მრავალფეროვნების გზას ადგება. კლასიციზმი გზას უთმობს ყველა ცნობილი ეპოქის არქიტექტურული სტილების მოშველიებას. ამ პერიოდის თბილისი ერთნაირად ითავსებს კლასიციზმურ, რენესანსულ, ბაროკულ ფორმებს. ამავე პერიოდში ვხვდებით გუთურ თუ ისლამურ სტილიზაციას, საუკუნეთა მიჯნაზე კი თავს იჩენს ნეორომანტიზმისა და ისტორიზმის ნიშნები. XX საუკუნის დასაწყისში იქმნება მოდერნის სტილის ღირშესანიშნავი ნიმუშები, ხოლო ოციოდ წლით ადრე ისახება უკვე ძველი ქართული ხუროთმოძღვრული მორთულობის გამოყენების პირველი ცდები.

მიუხედავად სტილური მრავალფეროვნებისა, XIX საუკუნის თბილისის არქიტექტურისათვის სიახლოვე და ნათესაობაცაა შენო-

Particularly disastrous for Tbilisi was the invasion of the Persians in 1795, when the medieval city fell victim to the invaders.

The annexation of Georgia by the Russian Empire in 1801, followed by political complications as well as the evolution of Tbilisi into the main administrative-cultural centre of the entire Transcaucasus, marked a new stage in the history of the city. Such a development meant a return to the European style and a transformation of the centuries-old feudal city into a new European capital city.



თბილისის ხედი. რ. ბრენდამურის ნახატი მკეს
ფონ ტილმანის წიგნიდან. 1875
*View of Tiflis by R. Brendamour from Max von
Thielmanns book Streifzuge im Kaukasus, in
Persien und in der Asiatischen Turkei, Leipzig,
1875*

The changes became most evident in the 1860s, when Tbilisi and the Caucasus, following the Russian Empire, made steps on the way to a rapid capitalistic development, which reached its apex at the turn of the 20th century. This period saw the construction of many industrial sites including a railway station, factories and workshops, the renovation of old caravanserais, and the building of trading centres. Numerous large-scale industrial exhibitions were arranged. It was at that time that scientific institutions, such as an observatory, botanical gardens, lyceums, and artists' societies were established, the Caucasian Museum was founded and the traditional Georgian theatre was revived. Tbilisi gradually turned into the major cultural centre of the country.

The new mood found expression in urban planning as well as in the architecture of the city. The changes had a great influence on the architectural appearance of the entire city.

ბებისა ერთმანეთთან დამახასიათებელი. აქცენტების ერთნაირი ოდენობა, ფასადებზე მკვეთრი დომინანტის გამოუყოფლობა, ორდერის თანაბარზომიერი რიტმის უკუგდება. ფასადებზე გამოსახული ნაძერწი საჭეკი ქვები, გირლანდები, ქალის თავის თუ მამაკაცის თავის გამოსახულებები, კარტუშები, ნაძერწი კრონშტაინები შერწყმული ხან მოკენჭილ, ხან ხორკლიან, ხან მკაფიო რუსტიკასთან, ნაძერწ ფრიზთან და დანანევრებულ კარნიზთან — თითქოს თანაბარი მნიშვნელობისაა. აღსანიშნავია, რომ XIX საუკუნის მეორე ნახევრის თბილისის ოფიციალური ნაგებობების, შემოსავლიანი სახლების თუ საცხოვრებელი სახლების ფასადთა მორთულობის “შტამპურ” რეპერტუარში ძვირფასი თვლებივით ბრწყინავს იმ შენობათა ფასადები, რომლებიც არა შტამპური, არამედ ინდივიდუალური ძერწვით ან ქვაზე კვეთით არის შესრულებული. თუმცა, ერთხელ შექმნილი ნახატივით შესრულებული დეტალების თუ ფიგურების გამეორებით მიღებული ფასადთა სიმრავლე მთელი ეპოქის — XIX საუკუნის მეორე ნახევრისა და XX საუკუნის დასაწყისის დამახასიათებელი ნიშანია და ასევე არაა ღირებულებას მოკლებული.

XIX საუკუნის თბილისში მრავალი უცხოელი არქიტექტორი თუ ინჟინერი მოღვაწეობდა, რომელთა წვლილი ქალაქის არქიტექტურის განვითარებაში ნამდვილად ფასდაუდებელია. ევროპელ არქიტექტორთა მიერ აშენებული შენობები მტკვრის ორივე ნაპირის მთავარი არტერიების — მარჯვენა, შოთა რუსთაველის (ყოფილი გოლოვინის) და მარცხენა, დავით აღმაშენებლის (ყოფილი მიხეილის, შემდგომ გ.კლუხანოვის) პროსპექტების გასწვრივ და მათ მიმდებარე კვარტალებშია გაბნეული. ევროპელმა არქიტექტორებმა დიდწილად განსაზღვრეს როგორც ამ უბნების, ისე ისტორიული თბილისის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი სამოსახლო ნაწილის — სოლოლაკის ახლებური განაშენიანების მასშტაბი და სტილისტური სახეც.

ევროპელი არქიტექტორების შემოქმედება თბილისში პირველად ძველი ქართული ხუროთმოძღვრებისა და XIX საუკუნის თბილისის არქიტექტურის ცნობილმა მკვლევარმა, აკადემიკოსმა ვახტანგ ბერიძემ გამოიკვლია. მან პირველმა მოიძია დიდძალი საარქივო მასალა და თბილისში შემორჩენილ შენობებთან იდენტიფიკაცია მოახდინა. ვ. ბერიძემვე შემოგვთავაზა ევროპელების მიერ აშენებული შენობების კლასიფიკაცია. საარქივო მასალისა და სხვადასხვა ბიბლიოგრაფიული წყაროების შეჯერებით მანვე დაურთო თავის ორტომეულს თბილისის არქიტექტურის შესახებ, თბილისში მოღვაწე ევროპელ ხუროთმოძღვართა და მშენებელ-ინჟინერთა ბიოგრაფიები.¹

¹ იხ. ვახტანგ ბერიძე, თბილისის ხუროთმოძღვრება 1801-1917 წლები, ტ.1, თბილისი, 1960, ტ.11, თბილისი, 1963. ჩვენს მიერ დამატებული მასალისათვის მითითებული იქნება შესაბამისი წყარო

The construction activity in the city, razed to the ground by the Persians, was undertaken at the beginning of the 19th century by rebuilding relatively old, destroyed buildings. New planning of quarters, if any, did not destroy the outer contour of the built up areas. It is thanks to this that the oldest parts of the city – Tbilisi proper, Kala and Isani – preserve an irregular network of narrow, winding streets. However, new districts were planned and built to address the standards of the given time. The irregular planning of the Old Town alternated with the regular one in the new quarters. Along with small public buildings and residential houses in Tbilisi proper (Seidabad), Kala and Isani, large-scale governmental buildings and tenement houses appeared in the new quarters.

Stylistically, the architecture of Tbilisi of the 19th century followed the contemporary traditions of Russian and European cities. Russian Classicism found fertile soil in Tbilisi back in the early 19th century. In the later half of the 19th century, Tbilisi, following the examples of Russia and Europe, adopted a variety of styles. Thus, Classicism gave way to a multitude of architectural styles. Tbilisi architecture came to perfectly combine Classical, Renaissance and Baroque elements. Gothic and Islamic stylisation were also employed. At the turn of the 20th century, features of Neo-Romanticism and Historicism became visible. The beginning of the 20th century witnessed the construction of splendid buildings designed in Art Nouveau style. Twenty years before, the first attempts of the use of traditional Georgian architectural adornment had been made in various projects.

Despite its stylistic variety, the 19th century architecture of Tbilisi presented buildings which displayed an obvious affinity. The same number of dominant



თბილისის ხედი. 1890-იანი წწ ბოლოს ფოტო.
View of Tbilisi. Photo of the 1890s

თბილისში ევროპელ არქიტექტორთა მოღვაწეობის შესახებ არაერთი საყურადღებო ცნობა მოიპოვეს არქიტექტორებმა თამაზ გერსამიამ და თენგიზ კვიციანი.

XIX საუკუნის თბილისის ახალი სახის ჩამოყალიბებაში, ახალი ქალაქის მხატვრულ-არქიტექტურული სახის შექმნაში უდიდესი წვლილი შეიტანეს ხუროთმოძღვრებმა: ჯოვანი სკუდიერიმი, ჯუზეპე ბერნარდაჩიმი, ოტო იაკობ სიმონსონმა, ალბერტ ზალცმანმა, ლეოპოლდ ბილფელდმა, ალექსანდრე შიმკევიჩმა, ვიქტორ შრეტერმა, პაულ შტერნმა, ალექსანდრე როგოისკიმ, ფერდინანდ ლემკულმა, ნიკოლაი ობოლონსკიმ, იოჰან დიცმანმა, სტეფან კრიჩინსკიმ.


აქვე უნდა მოვიხსენიოთ თბილისში მოღვაწე — ა. ანდრეოლეტის მარმარილოსა და მოზაიკის მხატვრული დამუშავების სახელოსნო და ამ სახელოსნოში მოღვაწე სხვა იტალიელთა - ლეონარდო ლორენცეტის, ანჯელო ნიკოლინის, ენრიკო კომოლის, ბიაჯიო მორეტის ღვაწლიც.² მათ მნიშვნელოვანწილად განაპირობეს თბილისური შენობების ტექნიკურად მაღალი ხარისხით შესრულება. XX საუკუნის დასაწყისის თბილისის საზოგადოებრივი თუ კერძო შენობების არქიტექტურული მორთულობის მრავალფეროვნებაცა და ხარისხიანობაც დიდწილად ა.ო.ნოვაკის ორნამენტული სკულპტურის სახელოსნოს დამსახურებაა. ა. ნოვაკის სახელოსნოში მუშაობდნენ ასევე მისი შვილები - ფრანცი და იოსები, მოქანდაკე კარლ სოუჩეკი. საუკუნეთა მიჯნის თბილისში მოღვაწეობდნენ ხუროთმოძღვრული ძეგლის ოსტატი, მოქანდაკე კარლ ვილსი და მოქანდაკე-მძეგნავი იულიუს ჰენინგი. აქვე უნდა მოვიხსენიოთ იტალიელთა - ვილის, რიჩისა და დე ბლაზის მარმარილოსა და მოზაიკური სახელოსნოები.³

თბილისში მოღვაწე უცხოელ ხუროთმოძღვართა შორის ერთ-ერთი წამყვანი ადგილი გერმანელებს უჭირავთ. “გერმანული” შენობების ხვედრითი წონაც სხვა “ევროპულ” შენობებთან შედარებით ყველაზე დიდია, რაც, თავის მხრივ, გერმანულ-ქართული კულტურული ურთიერთობების თითქმის ორასწლოვანი ისტორიის ერთი გამოხატულებაა.

1817, 1818, 1819 წლებში და შემდგომაც საქართველოში გერმანელმა კოლონისტებმა რამდენიმე დასახლება დააარსეს, რომელთა შორის ორი თბილისში იყო. ერთი მათგანი, ე.წ. “თბილისის კოლონია” (Tiflisser Kolonie) კუკის მიწაზე დააარსდა, რაც დღევანდელი დავით აღმაშენებლის პროსპექტსა და მის მიმდებარე უბნებს ემთხვევა. დავით აღმაშენებლის პროსპექტის წინაპარი მიხეილის ქუჩის (1899 წლიდან

² თბილისის არქიტექტურის შესახებ ბოლოდროინდელი გამოცემებიდან აღსანიშნავია: მარინე ბულია, შპა ჯანჯალია, თბილისი, საქართველოს ძველი ქალაქები, თბილისი, 2002 და Joseph Baulig, Maia Mania, Hans Mildenerger, Karl Ziegler, Architekturfrüer Tbilisi, Saarbrueken, 2004

³ Карло Моретти, 50 лет на стройках Грузии, Тбилиси 1971, გვ.9-13



1890-იანი წწ. მიწურულის თბილისის გეგმა გრიგორი მოსკვიჩის კავკასიის გზამკვლევიდან
Plan of Tbilisi. Late 1890s. From the Caucasus Guidebook by Gregory Moskvich

features, the lack of visible accents and of the even rhythm of the order were the characteristics these structures shared. Plastered keystones, garlands, sculptured women's and men's heads, cartouches on the façades, moulded corbels, diamond-pointed, smooth and rough rustication, carved friezes and articulated cornices came to be equally important:

The façades of the public, tenement and residential houses embellished with original plastering and stone carvings are appreciated at present as real gems. However, neither those buildings with facades following a template of details and figures characteristic of the second half of the 19th century and the beginning of the 20th century are devoid of value.

The architecture of the city greatly benefited from the presence of foreign architects and engineers in Tbilisi in the early 19th century. Buildings designed by European architects can be found on both banks of the River Mtkvari – the avenues Rustaveli (former Golovin) on the right side and Davit Agmashenebeli (originally Mikhail Street and from 1899, Mikhail Avenue) on the left and in their surrounding quarters. Their works largely defined the scale and style characteristic of all of Sololaki, one of the residential areas.

The study of the projects carried out by European architects in Tbilisi was initiated by Professor Vakhtang Beridze, a prominent Georgian scholar who investigated old Georgian and 19th century Tbilisi architecture. Having obtained

პროსპექტის) ორსავე მხარეს გერმანელმა კოლონისტებმა მცირე ზომის საცხოვრებელი სახლები, ხეხილის ბაღები და ვენახები გააშენეს. ამ ნარგავების მართკუთხა მოყვანილობამ მოგვიანებით, როგორც ცნობილია, დღევანდელი დავით აღმაშენებლის პროსპექტის და მისი მიმდებარე კვარტალების რეგულარული ხასიათი განსაზღვრა, რასაც დიდად შეუწყო ხელი ძველი კუკიის ვაკე რელიეფმაც. გერმანელებისავე გაშენებული იყო რამდენიმე საზოგადოებრივი ბაღი მიხეილის ქუჩის გასწვრივ.⁴ ყოფილი “თბილისის კოლონიის” შემადგენელ ქუჩათა ქსელში თვალი დღესაც იოლად გამოარჩევს გერმანელი კოლონისტების ადრეულ ერთსართულიან სახლებს, გერმანული გავლენის მაუწყებელი მაღალი, ვიწრო სამკუთხაფრონტონიანი ფასადებით, ზოგჯერ კი კედელთა ფახვერკული წყობითაც. ასეთი სახლების კვარტალის სიღრმეში განვითარებული, ვიწრო, წაგრძელებული ფორმის ეზოები, რომლებისკენაც ისინი თბილისური ხის აივნებით არის მიმართული, გერმანელი კოლონისტების დროინდელ ბაღების ფრაგმენტებს ინახავს.

XIX საუკუნის თბილისის სხვადასხვა გეგმების მიხედვით “თბილისის კოლონიაში” ერთ-ერთ ქუჩას გერმანელთა (დღევანდელი კიევის) ქუჩა ერქვა.

აღსანიშნავია, რომ გერმანული, არსებული თუ აღარარსებული შენობების კონცენტრაცია ქალაქის ამ ნაწილისთვის იყო და დღესაც არის დამახასიათებელი. თბილისის კოლონიაში დასახლებულან და აქვე აუგიათ საკუთარი საცხოვრებელი სახლები არქიტექტორებს — ალბერტ ზალცმანს, ლეოპოლდ ბილფელდს, პაულ შტერნს, ინჟინერ-მშენებელ იოსებ რუკსს.

თბილისის კოლონიის ანალოგიური პრინციპით გაშენდა ცოტათი გვიან ალექსანდერდორფი (Alexanderdorf), ახლანდელი დიდუბე, აკაკი წერეთლის პროსპექტი და მისი მიმდებარე კვარტალები.

აღნიშვნის ღირსია და ფრიად საყურადღებო, რომ გერმანელ კოლონისტებს თავიანთი მნიშვნელოვანი წვლილი უნდა ჰქონდეთ შეტანილი ძველი თბილისის შუაგულში, მტკვრის მარცხენა ნაპირზე მდებარე ერთ-ერთი უძველესი უბნის, რიყის განაშენიანების ჩამოყალიბებაშიც. რთულრელიეფიანი თბილისის ყველაზე უფრო დაბალ ნიშნულზე მდებარე რიყე მუდმივი წყალდიდობების გამო, მხოლოდ XIX საუკუნეში იქნა ათვისებული. მისი განაშენიანებაც, მსგავსად “თბილისის კოლონიისა”, რეგულარულ პრინციპს ემყარებოდა. ამ უბნის შენობათა ტიპს, კი ე.წ. თბილისური ეზოიან-აივნიანი სახლი შეადგენდა.

⁴ ვებრიძე, თბილისის ხუროთმოძღვრება 1801-1917 წლები, ტ. II, 1963, გვ. 48

substantial archival evidence, the scholar identified some of the old buildings surviving in Old Tbilisi with the structures shown on design materials and even proposed a classification of buildings created by European architects. To his two-volume publication on 19th century Tbilisi architecture, he enclosed the biographies of the foreign architects who worked in Tbilisi.

Tamaz Gersamia and Tengiz Kvitkvelia further contributed to the collection of valuable data on the buildings created by European architects in Tbilisi.

The most important role in the formation of a new artistic and architectural image of Tbilisi can be attributed to the architects Giovanni Scudieri, Giuseppe Bernardacci, Otto Jacob Simonson, Albert Salzman, Leopold Bielfeld, Aleksander Szymkiewicz, Victor Shröter, Paul Stern, Aleksander Rogojski, Mikołaj Obołoński, Ferdinand Lehmkuhl, Johann Ditsmann and Stefan Kryczyński.

It is also important to note the Italians, Archangelo Andreoletti, Villi and Ricci, who ran marble workshops in Tbilisi. It was thanks to their craftsmanship that the buildings erected in Tbilisi at that time display a high level of technical accomplishment.

Among foreign architects a major role should be attributed to Germans. The share of 'German' houses in relation to 'European' buildings is the largest, which, is a reflection of the almost two-century-old tradition of Georgian-German relations.

In the period 1817 to 1819 and later, Germans established several colonies in Georgia, two of which were in Tbilisi. One was Tiflisser Kolonie, founded on land in Kukia, which is now Davit Aghmashenebeli Avenue (formerly Mikhail Street) and its adjacent areas. On both sides of Mikhail Street (Avenue from 1899), German colonists built small houses, orchards and vineyards. The rectangular shapes of the plots of land later determined the regular pattern of Davit Aghmashenebeli Avenue and its adjacent quarters, which was favoured by the flat terrain dominating the land of old Kukia. Germans designed several public gardens along Mikhail Street. In the network of streets of the former Tiflisser Kolonie one can easily notice single-storey houses with the façades featuring triangular pediments and fachwerk walls, pointing to the German influence. Courtyards, which the houses faced with Tbilisian wooden balconies, still preserve fragments of gardens laid out by Germans.

It is in this part of the city that German buildings, some of which no longer exist, were concentrated. The architects, Albert Salzman, Leopold Bielfeld, Paul Stern and the civil engineer Joseph Rucks established themselves in Tiflisser Kolonie and resided in houses they themselves designed.

Alexanderdorf, which is now Tsereteli Avenue and its adjacent quarters in the district of Didube, was built on the same principle as was Tiflisser Kolonie.

რიყე უკვე 1830-იან წლებში გერმანელი კოლონისტი-ხელოსნების ადგილსამყოფელი იყო. უკვე 1835 წელს აქ სახლი ჰქონია გეორგ კუფუს მულცს,⁵ 1843-1844 წლიდან თბილისელ კოლონისტებს ხრისტიან მერგენტალერს და ვინმე ბადეროს; 1842 წელს აქ საკუთარი სახლი აუშენებია ფრიდრიხ ზალცმანს⁶ და ა.შ.

სხვათა შორის უკანასკნელი, სახელმძღვანელო თბილისელი ხუროთმოძღვრის ალბერტ ზალცმანის მამა, გერმანიის ქალაქ ვიურტემბერგის მკვიდრი, თბილისში 1819 წელს ჩამოსულა. ფრიდრიხ ზალცმანი, კავკასიის საზოგადოების აგრონომი და საპატიო მოქალაქე (1845), ჯერ კიდევ 1836 წელს აშენებს სასტუმროს რიყზე. მწერალი ფრიდრიხ ბოდენშტედტი (1819-1892), მთავარმართებელ ნეიდჰარტის შვილების ფრანგულის მასწავლებლად ჩამოსული თბილისსა და კავკასიაში, იგონებს ზალცმანისეული სასტუმროს “ცისფერ ოთახს”, რომელშიც გერმანელი კოლონისტები იკრიბებოდნენ და მხოლოდ გერმანულად საუბრობდნენ რომ თავი სამშობლოში ეგრძნოთ.⁷

ეგებ სწორედ აქ, რიყზე, ერთ-ერთ უძველეს თბილისურ უბანში ეზიარა ალბერტ ზალცმანი სიყრმის წლებიდანვე, ყველაფერს ქართულს, რაც ასე დაეტყო მის თბილისურ შემოქმედებას.

ცნობილია, რომ თბილისს XIX საუკუნისათვის ევროპული ყადის ოფიციალური, საზოგადოებრივი შენობების მშენებლობის დიდი ტრადიცია არ გააჩნდა. ისიც არაერთგზის არის აღნიშნული, რომ XIX საუკუნის დასაწყისიდან მშენებლობა ე.წ. “სანიმუშო პროექტებით” წარმოებდა. პროექტები რუსეთის იმპერიის დედაქალაქში, პეტერბურგში იქმნებოდა და იმპერიის ქალაქებში იგზავნებოდა. XIX საუკუნის მეორე ნახევრიდან კი საზოგადოებრივი ნაგებობების მშენებლობა უკვე თბილისში შექმნილი ინდივიდუალური პროექტების მიხედვით წარმოებდა.

ყველაზე უფრო ნათლად ახალ ეპოქას თბილისის არქიტექტურაში სწორედ საზოგადოებრივი შენობები ასახავს. ბევრი მათგანი თბილისში მოღვაწე ევროპული წარმოშობის ხუროთმოძღვრებს ეკუთვნით, რომელთა დაპროექტებული და აშენებული შენობების არასრული ჩამონათვალიც კი წარმოდგენას გვიქმნის თბილისის ახლანდელი არქიტექტურული სახის ჩამოყალიბებაში მათი ღვაწლის თაობაზე.

⁵ გურამ მანჯგალაძე, გერმანელი კოლონისტები ამიერკავკასიაში, თბილისი, 1974, გვ. 99

⁶ სცსსა, ფონდი 205, ანაწერი 1, ნივნი №№156/406, 150

⁷ იხ. ევგენი ვეიდენბაუმის ბიბლიოგრაფიული ცნობარი, კ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტი, №32

German colonists must have also made a significant contribution to the building of Riqe, one of the oldest quarters on the left side of the river, right in the heart of Tbilisi. Being located on the lowest level of the city and of uneven terrain, the area was in constant danger of flooding and therefore, remained unutilised until the 19th century. Building activity in this area followed the principle employed in Tiflisser Kolonie. The architecture of this quarter was dominated by so-called 'Tbilisian houses' with courtyards and balconies.

As early as the 1830s, Riqe was inhabited by German colonists. Among others, Georg Kufus Schultz had a house here in 1834, Christian Mergentaler and a certain Badero in 1843-1844, and Friedrich Salzman, in 1842.

Friedrich Salzman, the father of the renowned architect Albert Salzman and a resident of Wurtemberg, agriculturalist of the Caucasian Society and an Honourable Freeman (1845) came to Tbilisi in 1819. He built a hotel in Riqe as early as 1836. The writer, Friedrich Bodenstaedt (1819-1892) later recalled the 'blue room' of Salzman's hotel, which was a beloved place of gathering for German colonists, who met there exclusively to speak German and get a feeling of their homeland. It might have been in Riqe that Albert Salzman became acquainted with Georgian culture, which later found reflection in his works accomplished in Tbilisi.

It is known that before the 19th century, Tbilisi lacked the tradition of constructing European-type public buildings. It has also been noted that buildings were erected following the so-called 'sample designs' created in St Petersburg and used as a guidance across the Empire. In the second half of the 19th century, the tradition changed to allow the construction of buildings according to individual locally produced designs.

The surviving public buildings most vividly reflect the aspirations of a new epoch. Many of them were designed by architects of European origin. Even the limited list of the buildings created by foreigners will suffice to appreciate their contribution to the formation of a new architectural appearance of the city.

ევროპელ ხუროთმოძღვართა მიერ აშენებული თბილისის საზოგადოებრივი შენობაები

თბილისის ადრეულ საზოგადოებრივი დანიშნულების შენობათაგან, რომელთა ავტორობაც ევროპელი ნარმოშობის არქიტექტორს ეკუთვნის, ქართველი შაქრის მენარმისა და მეცენატის იაკობ ზუბალაშვილის სახლია (მასში 1840 წელს თბილისის მართლმადიდებელთა სასულიერო სემინარია ამოქმედდა, რომელმაც აქ 1910-1911 წლამდე იარსება. 1912 წელს სემინარია ძველი ქალაქიდან შორს, ვაკეში, 1903 წელს ა. როგოისკის მიერ აშენებულ (იხ. ქვემოთ) შენობაში გადავიდა. 1917 წლიდან ი. ზუბალაშვილის შენობაში სასტუმრო “ცარსკიე ნომერა” (გვიანდელი “პალასი”) განთავსდა.⁸ 1952 წლიდან აქ საქართველოს ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმი). ნაგებობა 1830-იანი წლებშია აგებული. შენობის ავტორი შვეიცარელი არქიტექტორი, ლუგანოელი **ჯუზეპე ბერნარდაჩი** (1788-1840). ჯუზეპე (იოსებ) ბერნარდაჩი თავის ძმასთან, **ჯოვანისთან** (1782-1842) ერთად 1822 წლიდან რუსეთის იმპერიაში მოღვაწეობდა. ძმებმა ბერნარდაჩებმა შეადგინეს ქალაქ პიატიგორსკის გენერალური გეგმა, რომელიც 1830 წლის 24 თებერვალს დამტკიცდა. მათვე ეკუთვნით პიატიგორსკის კლასიციზტური სტილის მნიშვნელოვანი ნიმუშები. 1829 წელს ჯ. ბერნარდაჩი იალბუზის დასაპყრობად შემდგარ სამეცნიერო ექსპედიციაში მონაწილეობს. კავკასიაში ყოფნის დროს მან შეისწავლა და აზომა ქრისტიანული ხუროთმოძღვრების ძეგლები.⁹ ნახევარწრიულ თაღებს დაყრდნობილი,



კ. ზუბალაშვილის სახლი. 1870-იანი წწ
დასანჯისის ფოტო.
K. Zubalashvili's House. Photo1870s

⁸ ი. ზუბალაშვილის შენობის მოგვიანო პერიოდის ისტორიასთან დაკავშირებით ვეყრდნობით არქიტექტორ გიორგი მარსაგივილის მონაცემებს

⁹ ჯ. ბერნარდაჩის ბიოგრაფიისათვის იხ: ევგენი ვეიდენბაუმის ბიბლიოგრაფიული ცნობარი, კ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტი, №245; იხ. აგრეთვე Schweizer Lexikon 91, Band 1-A-Hha, Luzern, 1993, გვ.498

PUBLIC BUILDINGS DESIGNED BY EUROPEAN ARCHITECTS IN TBILISI



ი. თამამშევის ქარვასლა და კ. ზუბალაშვილის სახლი. 1870-იანი წწ. ფოტო
I. Tamamshev's Caravanserai and K. Zubalashvili's House. Photo 1870s

The house, owned by the Georgian sugar producer and philanthropist Iakob Zubalashvili, is one of the earliest public buildings designed by a European architect in Tbilisi. From 1840 to 1910-1911, the building accommodated the Tbilisi Orthodox Theological Seminary. In 1912, the Seminary moved into a building erected in 1902 following A. Rogojski's design, in the district of Vake, outside the boundaries of the old city. In 1917, the house was converted into a hotel called *Tsarskie Nomer*a (later renamed into *Palace*). Since 1952, the building houses the State Museum of Fine Arts of Georgia. Dating from the 1830s, it was designed by the Swiss architect from Lugano, **Giuseppe (Joseph) Bernardacci** (1788-1840). The latter visited the Russian Empire together with his brother **Giovanni (Johann)**, 1782-1842) in 1822 to build the city of Pyatigorsk and other resorts. The portico, resting on a semicircular arcade and terminating in a triangular pediment, is adorned with giant columns of the Ionic Order, which makes this building a classic example of late Classicism. This is the earliest Classical building in Tbilisi the architect of which is identified.

Another public building, designed by a European architect, that chronologically follows the construction of Zubalashvili's house, was Iagor Tamamshev's a theatre, containing a caravanserai, erected between 1847 and 1851 by the Italian architect **Giovanni Scudieri** (1816-1851) but which did not survive. This was the first building conceived as a theatre in Tbilisi. The structure occupied the centre of what is now Freedom Square. The façades, inspired by Italian Renaissance in general, and the architectural motifs of

K 252.499
647.3

სამკუთხა ფრონტონით დასრულებული, გიგანტური იონიური ორდერით მორთული პორტიკის მქონე ჯ. ბერნარდაჩის ნაგებობა გვიანი კლასიციზმის უმნიშვნელოვანესი ძეგლია თბილისში. კლასიციზტური სტილის უფრო ადრეული თბილისური შენობების ავტორები იდენტიფიცირებული არ არის.¹⁰

ევროპელის აშენებული ქრონოლოგიურად მომდევნო საზოგადოებრივი შენობა თბილისში ჩამოსული იტალიელი არქიტექტორის, ჯ. პადუის “უმალლეს საიმპერატორო-სამეფო სასწავლებელში” აღზრდილის, **ჯოვანი სკუდიერის** (1816-1851) მიერ აშენებული, დღეს დანგრეული, თეატრია. იგი 1847-1851 წლებს შორის აშენდა და ქარვასლასაც შეიცავდა. ეს იყო პირველი სათეატრო შენობა თბილისში, რომელსაც დღევანდელი თავისუფლების მოედნის შუაგული ეკავა. იტალიური რენესანსის, კერძოდ კი ანდრეა პალადიოს არქიტექტურული მოტივებით შთაგონებულ ფასადებს ინტერიერში ცნობილი რუსი მხატვრის გრიგოლ გაგარინის ისლამურ ყაიდაზე გამართული დარბაზი ენაცვლებოდა. ეს სწორედ ის თეატრია, რომელიც 1858 წელს თბილისში მყოფმა ალექსანდრე დიუმამ მოინახულა და თავისი აღფრთოვანება გამოთქვა — “...მე უყოყმანოდ შემიძლია ვთქვა, რომ თბილისის დარბაზი ერთი ყველაზე მომხიბვლელ სათეატრო დარბაზთაგანია იმათ შორის, რომლებიც მე მიინახავს”. გაგარინისეული დარბაზი 1874 წელს

¹⁰ ქრონოლოგიურად ჯუზეპე ბერნარდაჩის წინ უსწრებს ფრანგი არქიტექტორის ფრანსუა ქსავიერიპარის (Francois Xavier Ripard) მოღვაწეობა, რომელიც თბილისში 1820-იანი წლების მიწურულიდან მუშაობდა არქიტექტორად. მის მიერ აშენებული კლასიციზტური სტილის შენობები გადარჩენილი არ არის. როგორც სინდალური კანტორის არქიტექტორს, ფრანსუა რიპარს 1840-1853 წლებში სხვადასხვა საეკლესიო ნაგებობათა (ხირსის, თბილისის სიონის, ალავერდის, სამთავისის, სამთავროს, ნილკნის, შიომღვიმის ტაძართა) ფიზიკური მდგომარეობის შემოწმება და შეკეთებაც უხდებოდა. XIX საუკუნის დასაწყისში (1802-1809 წწ.?) 1795 წელს დანგრეული, ქართლის მეფე როსტომის (1632-1658) სასახლის ადგილას ორი შენობა — გუბერნატორის სახლი და ადმინისტრაციული დანიშნულების შენობა აშენდა. ეს ადგილი 1848 წელს სასულიერო უწყებამ შეიძინა და ამავე წელს გუბერნატორის სასახლის გადაკეთება ფრანსუა ქსავიერიპარს მიანდო. ეს შენობა დღევანდელი საბატარიარქოს ნინამორბედი, უფრო ზუსტად კი მასში ჩართული, დიმიტრი ერმაკოვის ცნობილ პანორამას (1860-იანი წლების დასაწყისი) თუ სხვა ფოტოებზე არაერთგზის ასახულ ნაგებობა უნდა იყოს

აქვე უნდა მოიხსენიოთ თბილისში მოღვაწე ნიდერლანდელი არქიტექტორი იოსებ კამბერლენი (I. Camberlain). 1776 წელს ანტიკურებში დაბადებული კამბერლენი, პეტერბურგის სამხატვრო აკადემიის აკადემიკოსი (1809), გენერალ-ერმოლოვის მონვევით თბილისში ჩამოვიდა არქიტექტორად და აქვე, 1821 წლის 31 იანვარს გარდაიცვალა. კამბერლენის ნამუშევართაგან, ჩვენთვის ცნობილია მის მიერ ხელმოწერილი ერთადერთი პროექტი თეკლე ბატონიშვილის სახლისა (ინახება კ. კეკელიძის სახ. ხელნაერთი ინსტიტუტში). იოსებ კამბერლენის ბიოგრაფიისათვის ვ. ბერიძის დასახ. ნაშრომის გარდა იხ. ევგენი ვეიდენაუჰის ბიბლიოგრაფიული ცნობარი, კ. კეკელიძის სახ. ხელნაერთი ინსტიტუტი, №58

XIX საუკუნის ადრეული წლებიდანვე თბილისში მომუშავე ევროპელ არქიტექტორთაგან აღსანიშნავია პოლონელი ნარმოშობის არქიტექტორის ალექსანდრე ზბორჟევსკის საქმიანობაც (Aleksander Zborzewski). 1818 წელს დაბადებული, პეტერბურგის სამხატვრო აკადემიაში აღზრდილი ა. ზბორჟევსკი 1848-1851 წლებში თბილისის საქალაქო არქიტექტორი ყოფილა. მის მიერ დაპროექტებული საცხოვრებელი სახლების ფასადების არქიტექტურული მორთულობა იტალიური რენესანსის და კლასიციზტური სტილის მოტივებს ეყრდნობა. ეს შენობები დღეს თბილისში გადარჩენილი არ არის

Andrea Palladio in particular, hid a hall designed in Islamic tradition. In 1858, the theatre was visited by Alexandre Dumas, who expressed his excitement in the following way: "I can say without any reservation that the hall of the Tbilisi Theatre is one of the best among those I have ever seen". The theatre auditorium decorated by Gagarin, was destroyed by fire in 1874. Later the building was restored to accommodate a caravanserai. Finally, in 1930, it was removed during the reconstruction of the square.



სანაპიროს ქუჩა, მიხეილის დიდი ხიდი და
მტკვარი წყლის კურთხევის დღეს, 18 იანვარს.
1890-იანი წლების დასაწყისის ფოტო
*Mikhail's Large Bridge on January 18, Epiphany.
Sanapiro Street, Tbilisi. Photo 1890s*

In addition to numerous building designs, G. Scudieri also worked out projects for bridges. In 1848, he designed two bridges, one of which is referred to as Mikhail's Minor Bridge, now known as Dry Bridge, and another, Mikhail's Large Bridge. Both structures were commissioned by the Russian Viceroy in the Caucasus, Mikhail Vorontsov. The Minor Bridge used to span the branch of the Mtkvari, which marked off the island of the Orbelianis, the so-called Madatov Island. This branch of the river dried up in 1938, due to which it was called Dry Bridge (*Mshrali Khidi* in Georgian). These two bridges are important engineering structures connecting the two sides of the Mtkvari. Dry Bridge, built of neatly hewn stone, faced with old brick and provided with cast iron railing survives in its original form. The design of the Large Bridge, begun in 1848, was continued by **K. Bliks** due to the tragic death of Scudieri in 1851. The construction work was supervised by K. Bagrationi. The bridge underwent another alteration in 1884 and took on its present appearance in 1961.

The Viceroy's Palace is one of the most noteworthy public buildings in Tbilisi in of 19th century. The building, as it stands now, is a result of several alterations made between 1865 and 1869. The design of the structure belongs to the academician of St Petersburg Academy of Arts, architect and the Privy

ხანძარმა გაანადგურა.¹¹ მოგვიანებით ნაგებობა მხოლოდ ქარვასლად აღადგინეს, 1930 წელს კი მოედნის რეკონსტრუქციისას აიღეს.

ჯოვანი სკუდიერის მნიშვნელოვანი ღვაწლი თბილისის არქიტექტურაში ხიდების მშენებლობითაც აღინიშნა. 1848 წელს მან შეადგინა მეფისნაცვალ მიხეილ ვორონცოვის ინიციატივით მიხეილის დიდი და მცირე ხიდების პროექტი. მცირე ხიდი, მტკვრის ტოტზე გადადიოდა, ტოტი კი ყოფილი ორბელიანების, გვიანი მადათოვის კუნძულს გამოჰყოფდა. 1938 წელს ტოტის ამოშრობის შემდეგ ხიდს “მშრალი” შეერქვა. მცირე ხიდი მიხეილის დიდ ხიდთან ერთად მტკვრის ორივე ნაპირის დამაკავშირებელი მნიშვნელოვანი საინჟინრო ნაგებობაა. თლილი ქვით ნაგები, და ძველი აგურით მოპირკეთებული, თუჯისმოაჯირიანი “მშრალი ხიდი” დღესაც სახეუცვლელი დგას. 1848 წელს დაწყებული მიხეილის დიდი ხიდის კონსტრუქცია, 1851 წელს სკუდიერის ტრაგიკული სიკვდილის შემდეგ ინჟინერმა კ. ბლიკსმა დაამუშავა, მშენებლობას კი კ. ბაგრატიონი ხელმძღვანელობდა. კიდევ ერთი გადაკეთება ხიდმა 1884 წელს განიცადა, საბოლოო სახე კი 1961 წელს მიიღო.¹²




ოტო იაკობ სიმონსონი
Otto Jacob Simonson
(1829-1914)

XIX საუკუნის თბილისის ოფიციალური დანიშნულების შენობათაგან განსაკუთრებული ადგილი ყოფილი მეფისნაცვლის სასახლეს უჭირავს. სასახლის ახლანდელი სახე რამდენიმე ეტაპად გადაკეთების შედეგია, რაც მან 1865-1869 წლების რეკონსტრუქციის შედეგად მიიღო. პროექტის ავტორი თბილისში დამკვიდრებული ხუროთმოძღვარი, არქიტექტურის აკადემიკოსი ოტო იაკობ სიმონსონია. ო. სიმონსონი 1829 წელს დაიბადა დრეზდენის სინაგოგის მცველის ოჯახში. მან განათლება დრეზდენის სამხატვრო აკადემიაში მიიღო. გარკვეულ ხანს იგი XIX საუკუნის ცნობილი გერმანელი არქიტექტორისა და საზოგადო მოღვაწის გოთფრიდ ზემპერის სახელოსნოში მუშაობდა. ახალგაზრდა სიმონსონს მონაწილეობა მიუღია (1850) ლაიფციგის სინაგოგის მშენებლობაში.¹³ ო. სიმონსონი თბილისში 1858 წელს ჩამოვიდა. 1914 წელს რიგაში დარდაიცვალა. სიმონსონმა განავრცო 1845-1847 წლებში არქიტექტორი ი. სემიონოვის მიერ აშენებული კლასიცისტური შენობა

¹¹ ვახტანგ ბერიძე, თბილისის ხუროთმოძღვრება 1801-1917 წლები, ტ. I, გვ. 58-63; იხ. აგრეთვე *Тамаз Герсамия, Архитекторы-Итальянцы в Тбилиси в XIX веке, Annali Di HA Foscari, Rivista Della Facolta Di Lingue E Letterature Straniere Dell'Universita Di Venezia, anno XXVII,3, (serie orientale 19), 1988, გვ. 2-3* (ვევრდებს ვუთითებთ ჩვენს ხელთ არსებული რუსული ნაბეჭდი ტექსტის მიხედვით)

¹² *Тамаз Герсамия, Архитекторы-Итальянцы в Тбилиси в XIX веке, გვ. 2*, იხ. აგრეთვე ნ. კეზერელი-კოპაძე, თბილისის ხიდები, თბ., 1961

¹³ ცნობები ოტო სიმონსონის და მისი ვაჟის ვლადიმერ სიმონსონის (იხ ქვემოთ) ბიოგრაფიის შესახებ აღებულია ლუდმილა ხაუსტოვა-სტანევსკაიას მიერ მოპოვებული მასალიდან



მიხეილის მცირე ("მშრალი") ხიდი
Mikhail's Minor Bridge (Dry Bridge), Tbilisi

Councillor **Otto Jacob Simonson**. The latter was born in Dresden, in 1829, to a family of a custodian of the Dresden Synagogue. Upon graduating the Dresden Academy of Fine Arts, he worked briefly in the studio of Gottfried Semper (1803-1879), one of the most important German architects of the early and high Victorian decades. In the 1850s, young Simonson took part in the construction of Leipzig Synagogue. He began to work in Tbilisi in 1858. Simonson expanded the Classical building, created by the architect Semjonov between 1845 and 1847, and redesigned its façade opening onto Rustaveli Avenue by adding motifs of the Italian Renaissance. The austere and official elevations alternate with the façade featuring elegant columns and curved stairs on the garden side. The 'Islamic' hall with its stucco ornaments, mirrors and mushrabeyeh, creates a sharp contrast with the European interior and exterior decoration.



თბილისი. მეფისნაცვლის სასახლე. 1900-იანი წწ.
Tbilisi. Viceroy's Palace. Late 1900s



თბილისი. მეფისნაცვლის სასახლე. საცეკვაო დარბაზი, 1890-იანი წწ.
Tbilisi. Viceroy's Palace. Dance Hall. 1890s.

და მის მთავარ, შოთა რუსთაველის პროსპექტისკენ მიქცეულ ფასადს იტალიური რენესანსის მოტივების გამოყენებით ახლებური სახე მისცა. ნაგებობის მკაცრ და ოფიციალურ ფასადებს ბალისკენ მიმართული მორკალულებიანი, ელევანტურსვეტებიანი ფასადი ენაცვლება. ევროპულ ყაიდაზე გამართულ ინტერიერებს შორის სტუკოიან-სარკეებიან-მუშარაბიანი "ისლამური" დარბაზი გამოიყოფა.

ოტო სიმონსონსავე შეუდგენია 1868 წელს მეფისნაცვლის სასახლისათვის კანდელაბრის, საწოლის, წიგნის კარადების, შირმის, ჭალების, ბუხრების ესკიზები.¹⁴



ჰაინრიხ კარლ ვერნერ შარერი
Heinrich Karl Verner
Scharrer
(1828-1906)

ოტო იაკობ სიმონსონისვე სახელს უკავშირდება თბილისის ყველაზე დიდი საზოგადოებრივი ბალის მშენებლობა, რომლის პროექტიც მან 1859 წელს შეადგინა. ბალი რუსთაველის პროსპექტის, დღევანდელი გ.ჭანტურიას, გიორგი ათონელისა და ა.ჯორჯაძის ქუჩათა რკალშია მოქცეული და საკმაოდ ვრცელ ტერიტორიას მოიცავს. აქვე უნდა მოვიხსენიოთ ალექსანდრეს ბალის გამენებაში გერმანელი სწავლული მეზა-ლის **ჰაინრიხ კარლ ვერნერ შარერის** (1828-1906) მონაწილეობაც. აღსანიშნავია, რომ ალექსანდრეს ბალის გასაშენებლად ჰ. შარერმა ხეები და სხვა ნარგავები კოფრიდან, გუსტავ ფივეგის სატყეო მეურნეობიდან ჩამოიტანა. ჰ. შარერმა, თბილისის ბოტანიკური ბალის სწავლულმა მეზალემ და 1889 წლის ახლო ხანებში ბოტანიკური ბალის დირექტორმა, თავის

¹⁴ ოტო სიმონსონის ესკიზები ინახება იოსებ ვრიშაშვილის სახ. თბილისის ისტორიის მუზეუმის ("ქარვასლა") არქივში. იხ. Skizzen, Architektonischen Entwürfe, Akademiker Otto Simonson, Tiflis

თბილისი. ახალგაზრდობის სასახლე.
2005 წლის ფოტო
Children's Palace, Tbilisi. Photo 2005




In 1859, Otto Jacob Simonson designed the largest public garden in Tbilisi, which was laid out within the curve formed by Rustaveli Avenue, Chanturia, Atoneli and Jorjadze streets. Another person who played a key role in the building of this garden was the German horticulturist, **Heinrich Karl Verner Scharrer** (1828-1906), also responsible for the design of the Tbilisi Botanical Gardens. Having dedicated four years to the realisation of his landscape concept, he, together with Simonson, had a hand in lending a European appearance to the central part of Tbilisi.

The present-day appearance of the First Classical Gymnasium, built in 1833, is a result of the reconstruction work made following the project by Otto Jacob Simonson from 1870 to 1871. Simonson added one more floor to the originally



თბილისი. ახალგაზრდობის სასახლე.
გვერდითი ფასადი, არქიტ. ო. სიმონსონი,
2001 წლის ფოტო
Children's Palace, Tbilisi. View from the
garden. Designed by O. Simonson.
Photo 2001



ალექსანდრეს ბაღი და პირველი
კლასიკური გიმნაზია. XIX
საუკუნის მეორე ნახევარი
*Alexander's Gardens and the First
Classical Gymnasium. Second half
of the 19th century*

ლანდშაფტური კონცეპციის განხორციელებას ოთხი წელი მოანდომა¹⁵ და ამდენად, სიმონსონთან ერთად, მასაც უდევს წილი თბილისის ცენტრალური ნაწილისათვის ევროპული იერის მინიჭებაში. ოტო სიმონსონის დაპროექტებული იყო მებაღის სახლი, შადრევნები, ტერასები და სხვა ნაგებობები ალექსანდრეს ბაღისათვის.

არქიტექტორ სიმონსონის მიერ 1870-1871 წლებში ჩატარებული რეკონსტრუქციის შედეგად მიიღო დღევანდელი სახე პირველი კლასიკური გიმნაზიის 1833 წელს აშენებულმა შენობამ. სიმონსონმა ორსართულიან აგურის შენობას მესამე სართული დაადგა და შეუღესავი აგურის ფასადები კლასიციტურ ყაიდაზე შემოსა. უთუოდ აღნიშვნის ღირსია კომისიის შემადგენლობა, რომელსაც არქიტექტურის აკადემიკოსი ალბერტ ზალცმანი ხელმძღვანელობდა და რომელშიც არქიტექტორი ლოდოვიკო კამბიაჯიო¹⁶ (დაიბადა მილანში 1812 წ.), თბილისში მოღვაწე ცნობილი მხატვარ-ფოტოგრაფის დიმიტრი ერმაკოვ-კამბიაჯოს მამაც შედიოდა. 1991 წელს “თბილისის ომის” დროს დაზიანებული გიმნაზიის შენობა 1992-1993 წლებში აღდგა.


პირველი კლასიკური გიმნაზიის გეგმა.
ოტო სიმონსონის პროექტი. 1870-1871 წწ.
Plan of the First Classical Gymnasium.
Design by Otto Simonson, 1870-1871

¹⁵ მასალები ჰაინრიხ ვერნერ შარერის თბილისსა და საქართველოში მოღვაწეობის შესახებ მომანოდა ჰ. შარერის ნათესავმა დიტრიხ შულცმა. იხ. Dietrich Schulz, *Recherchen nach Heinrich Scharrer in Tbilisi, ხელნაწერი, 2001.* იხ აგრეთვე, Dietrich G. Schulz, *Vom Harz in den Kaukasus Zur Erinnerung an Heinrich Scharrer*, "Kaukasische Post", 16 11 2001

¹⁶ სცსსა, *План перестройки Тифлисской классической гимназии, ფონდი 203, წიგნი №118*

План Хруста


20 - Могилев 1874 г.
Шуберт.



То же, что и в проекте
Музыкальной школы
в г. Могилеве.
Строительная
учреждение
в г. Могилеве.

Пояснительная записка
 Проект храма Святого Николая в г. Могилеве
 составлен архитектором А. И. Шубертом
 в 1874 году. В нем описаны все
 подробности устройства храма
 и даны размеры в саженях и
 аршинах.

Архитектор: А. И. Шуберт
 Императорский Восточный Институт
 1874 г.



Всего в проекте
описано 10 помещений
в г. Могилеве.

А. И. Шуберт
1874 г.



ალბერტ ზალცმანი
Albert Salzman
(1833-1897)

თბილისელი არქიტექტორის, პეტერბურგის სამხატვრო აკადემიის აღზრდილისა და ამავე აკადემიის აკადემიკოსის - **ალბერტ ზალცმანის** (1833-1897)¹⁷ 1885-1888 წლებში აგებული სამხედრო-ისტორიული მუზეუმისათვის განკუთვნილი, "დიდების ტაძრის" სახელით ცნობილი ნაგებობა ალექსანდრეს ბალს დასავლეთიდან საზღვრავს და სივრცეში თავისუფლად, ყველა მხრიდან აღიქმება. შეწყვილებული კორინთული პილასტრებით დანაწევრებული ნაგებობის შუაწილზე ექსედრით გადახურული კუბური მოცულობაა მოქცეული. შენობის თავისებურებას (დღეს საქართველოს სურათების სახელმწიფო გალერეაა მოთავსებული) ზედა განათება წარმოადგენს. ნეობაროკული შენობის პროტოტიპად ა. ზალცმანს არქიტექტორ პიო პიანჩენტინის მიერ 1880-1883 წლებში აშენებული რომის საგამოფენო დარბაზი აუღია.

ალბერტ ზალცმანი ოტო სიმონსონთან ერთად გოლოვინის პროსპექტზე ოდესღაც მდგარი მრავალი სხვა, არქიტექტურული თვალსაზრისით ღირებული შენობის ავტორი იყო.

სიმონ ჯანაშიას სახ. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის არსებულ შენობათაგან უძველესი ალბერტ ზალცმანის მიერ 1874 წელს აშენებული ქალთა გიმნაზიის შენობაა. შენობის არქიტექტურული მორთულობა, როგორც ლ. გუდიაშვილის ქუჩის, ისე ჯანაშიას მუზეუმის შენობათა გამაერთიანებელი ებოს მხრივ, რენესანსულ-ბაროკულ ტრადიციას ემხრობა. განადგურებულ შენობათაგან აღსანიშნავია ა. ზალცმანის მიერ 1868-1869 წლებში გოლოვინის პროსპექტზე აშენებული კავკასიის მუზეუმის კლასიცისტურ — რენესანსული სტილის ერთსართულიანი შენობა, რომელსაც 1879-1880 წლებში ლეოპოლდ ბილფელდმა მეორე სართული დაამენა. კავკასიის მკვლევარისა და კავკასიის მუზეუმის ერთ-ერთი დამაარსებლის და სულისჩამდგმელის, გუსტავ რადეს ბიოგრაფის, კარლ ფონ ჰანის ცნობით ინტერიერის მოხატულობა ამ შენობაში - კავკასიის ისტორიასთან დაკავშირებული, კავკასიონის ფონზე დახატული მითოლოგიური სცენები: იასონი და მედეა, არგონავტების ჩამოსვლა კოლხეთში, მხატვარ ფრანც ზიმის შესრულებული იყო.¹⁸ ა. ზალცმანის პროექტით იყო აშენებული (1869-1870 წლები) საჯარო ბიბლიოთეკის ერთსართულიანი შენობაც. მისი ადგილი დღევანდელი სიმონ ჯანაშიას სახ. სახელმწიფო მუზეუმის მთავარი შენობის ჩრდილო-დასავლეთ კუთხეს ემთხვევა.

¹⁷ ა. ზალცმანის შვილიშვილის, მხატვარ ალექსანდრე ზალცმანის ქალიშვილის, ნატალია ზალცმანის (ვარდაიცივალა 1997 წელს კარაკასში) ვადმოცემით ალბერტ ზალცმანი 1897 წელს თბილისში, ხარაჩოზე გარდაიცვალა

¹⁸ Die Sammlungen des Kaukasischen Museums. Biographie Dr. Radde's, verfasst von K. F. Hahn, ნაწილი 2, Tiflis, 1912, gv. 114-115

გოლოვინის პროსპექტი, ქვაშვეთის ძველი
ეკლესია, "დიდუბის ტაძარი", ალექსანდრეს
ბაღი. 1890-იანი წწ. მინურული
Old Kvashveti Church of St. George, "Temple of
Glory", Alexander's Gardens. Golovin Avenue,
Tbilisi. Late 1890s



two-storey building, and embellished plain brick façades with plastered ornaments and other Classical details. The committee, which approved the project, was represented by Albert Saltzman, chairman and Lodovico Cambiagio (born in Milan, 1812), the father of the well-known photographer Dimity Ermakov-Cambiagio. The gymnasium was badly damaged during the civil war in Tbilisi of 1991 but was reconstructed between 1992 and 1993.

The building, known as the Temple of Glory, was designed by the graduate and later academician of the Imperial Academy of Arts of St Petersburg, one the most remarkable architects in Tbilisi, **Albert Salzman** (1833-1897). It was



თბილისი. საქართველოს სურათების
სახელმწიფო გალერეა და ქვაშვეთის
წმ. გიორგის ეკლესია.
2000 წლის ფოტო
National Picture Gallery of Georgia and
Kvashveti Church of St. George, Tbilisi.
Photo 2000



გოლოვინის პროსპექტი,
კავკასიის მუზეუმი
The Caucasian Museum,
Golovin Avenue, Tbilisi

რუსთაველის პროსპექტის მიმდებარე განაშენიანებაში მნიშვნელოვანი ადგილი ოტო იაკობ სიმონსონის პროექტით 1865-1867 წლებში აგებულ ყოფილი თბილისის სასამართლო პალატისა და საოლქო სასამართლოს შენობას ეკუთვნოდა, რომელსაც საბოლოო სახე ალბერტ ზალცმანმა შესძინა, როდესაც მან 1895 წელს, ამ შენობაში სასტუმროს მოწყობის მიზნით, რეკონსტრუქცია ჩაატარა.¹⁹ სასტუმრო “ორიანტის” ყოფილი შენობა გრძივად მიუყვებოდა რუსთაველის პროსპექტს და რენესანსული ფასადის სარკმელთა მონოტონური რიტმით, შუა შეუმჩნეველი რიზალიტითა და რკალური ფრონტონით სხვა, ახლომდებარე შენობებთან ერთად პროსპექტის მასშტაბსა და ხასიათს განსაზღვრავდა.



თბილისი. სიმონ ჯანაშიას სახ.
საქართველოს სახელმწიფო
მუზეუმის ქვედა კორპუსი. ეზოს
ფასადი. 2001 წლის ფოტო
The Janashia State Museum of
Georgia, Tbilisi. Courtyard-side
façade. Photo 2001

¹⁹ თამაზ გერსამია, ძველი თბილისი, ანოტაცია №157

constructed between 1885 and 1888 to accommodate the Museum of Military History. Adjoining the Alexander Gardens, it can easily be appreciated from all sides. The structure, articulated by coupled Corinthian pilasters, is provided with a cubic compartment, covered with an exedra, right in the centre. At present, the building houses the State Picture Gallery of Georgia. This Neo-Baroque building appears to have been built in imitation of the Rome Exhibition Palace, erected to the design of Pio Piacentini (1846-1928) between 1880 and 1883. In partnership with Otto Simonson, Albert Saltzman designed a large number of buildings in Rustaveli Avenue but were of high artistic value.



ყოფილი თბილისის სასამართლო პალატისა და საოლქო სასამართლოს (1865-1867) შენობა. 1895 წლიდან სასტუმრო "ორიენტი" Tbilisi Chamber of Law and the Regional Court of Law (1865-1867). Redesigned in 1895 to become the Orient hotel

Among the buildings housing the Janashia State Museum of Georgia, the Girls' College, designed by A. Saltzman, is one of the earliest. The architectural adornment of both façades, looking out onto Gudiashvili Street and the courtyard together reveal a mixture of Renaissance and Baroque traditions. The building of the Caucasian Museum, erected between 1868 and 1869, in Classical-Renaissance style to A. Saltzman's design and later altered by L. Bielfeld, stood in the former Golovin Avenue. The single-storey building of the Public Library on the intersection of what is now Rustaveli Avenue and Purtseladse Street, was also constructed to Saltzman's design. According to the accounts of Karl. F. Hahn, a biographer of Gustav Radde who was one of the founders of the Caucasian Museum, the paintings inside the museum were made by Franc Simm. The interior features various scenes from mythology, such as Medea and Jason, and the arrival of the Argonauts in Colchis, all against a background of the Caucasian mountains.

The former building of the Tbilisi Chamber of Law and the Regional Court of Law, designed by Otto Simonson during 1865-1867 and redesigned in 1895 to function as a hotel by A. Saltzman was one of the finest among the buildings



ვიქტორ შრეტერი
Victor Shröter
(1839-1901)

რუსთაველის პროსპექტის მიმდებარე სტილისტურად
ჭრელ განაშენიანებაში ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი
ადგილი ყოფილი სახაზინო თეატრის (დღევანდელი ზაქარია
ფალიაშვილის სახ. ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო
აკადემიური თეატრის) შენობას უჭირავს. იგი პეტერბურგელი
არქიტექტურის აკადემიკოსის **ვიქტორ შრეტერის** (1839-
1901) პროექტის მიხედვით აშენდა. ნაგებობის ფსევდო
მავრული სტილი იმ საკონკურსო პირობის მოთხოვნა იყო,
რომელზედაც ვ. შრეტერის პროექტმა გაიმარჯვა. სტუკოს
ტექნიკით შესრულებული ფრიზები, სტალაქტიდური
კარნიზები, ნალისებური მოყვანილობის თუ ისრული თალები,
მუშარაბიანი ლიობები, რვაქიმიანი ვარსკვლავის ფორმის
ლუნეტები და ფასადთა დამანანევრებელი ღია და მუქი
ფერის ზოლები — ისლამური სტილიზაციის ღირსშესანიშნავ

ნიმუშს ქმნის. პეტერბურგელი გერმანელი, ვიქტორ შრეტერი, რუსეთის
იმპერიის სახელმთხოვეჭილი არქიტექტორი, სხვადასხვა სტილის
მიმდევარი არაერთი სათეატრო შენობის ავტორი იყო რუსეთის
იმპერიის ქალაქებში. მავრული სტილით აშენებულ სხვა თეატრთაგან
თბილისურს, რომლის გეგმის პროტოტიპი ვაგნერისეული ბაიროითის
თეატრის გეგმა ყოფილა, განასხვავებს მთავარ ფასადზე მიდგმული
ისრულთალებიანი ღია პორტიკი გახსნილი ტერასით, გვერდითი
ფასადების ღია გალერეები. თეატრის მშენებლობამ, რომელსაც
სხვადასხვა დროს ხელმძღვანელობდნენ პაულ შტერნი, ალბერტ
ზალცმანი და ალექსანდრე შიმკევიჩი, თექვსმეტ წელს გასტანა -
1880-იდან 1896 წლამდე.



სახაზინო თეატრი
Treasury Theatre

ზაქარია ფალიაშვილის სახ. ოპერისა და
ბალეტის სახელმწიფო აკადემიური თეატრი,
2001 წლის ფოტო
*The Paliashvili State Academic Opera and Ballet
House. Photo 2001*



in Rustaveli Avenue. The former Orient Hotel followed the linear shape of the avenue. With its monotonous sequence of openings and a slight projection terminating in a segmental pediment in the middle of the Renaissance façade, this building largely determined the scale and the character of the entire avenue.

The building of the former Treasury Theatre, at present the Paliashvili Opera House, designed by the academician of St Petersburg Academy, **Victor Shröter** (1839-1901), creates a sharp contrast to the heterogeneous buildings lining Rustaveli Avenue. The structure is designed in Pseudo Moorish style, as was requested by the organisers of the design competition. The friezes executed in stucco, the stalactite cornices, the horseshoe-shaped and pointed arches, the openings with mushrabeyeh work, the octagonal stellar lunettes and the light and dark moulded strips articulating the façades make the building an outstanding example of Islamic stylisation. Victor Shröter, an architect renowned throughout the Russian Empire, employing various styles, was the designer of many theatre buildings across the Empire. What immediately distinguishes the Tbilisi theatre building from the others created by him is an open portico with pointed arches and an open terrace, as well as open galleries on the side elevations. Shröter must have employed Wagner's Bayreuth theatre as a prototype for the plan of the Tbilisi Opera House. The construction work, which lasted sixteen years (from 1880 to 1896), was at different stages led by Paul Stern, Albert Salzman and Aleksander Szymkiewicz.

Shröter's building echoes the Pseudo Moorish elevations of the former City Council (1882-1886), at present the City Hall. The façade of the structure overlooks Yerevan Square, which is now Freedom Square. The building, as it stands now, is a result of substantial alteration of the former City Police

სტილისტურად შრეტერისეულ შენობას ქალაქის ყოფილი სათათბიროსა და გამგეობის (დღევანდელი მერიის) ფსევდო მავრული ფასადები ეხმიანება (1882-1886). ნაგებობა მთავარი ფასადით ყოფილი ერევნის (დღევანდელ თავისუფლების) მოედანს გადმოჰყურებს. შენობა ამ ადგილას მდებარე XIX საუკუნის 40-იან წლებში აშენებული საქალაქო პოლიციის შენობის საფუძვლიანი გადაკეთების შედეგია. მისი გეგმარება თბილისში მოღვაწე რუს არქიტექტორს **ალექსანდრე ოზეროვს** ეკუთვნის, ფასადების ავტორი კი 1870-იანი წლების მინორულიდან თბილისში დამკვიდრებული გერმანელი არქიტექტორი **ჰაულ შტერნია**. პირველი სართულის ფართო სწორკუთხა ლიობებისა და სწორკუთხა ნიშებში ჩასმული ისრული თალების მონოტონური რიტმი, სტუკოს ტექნიკით შესრულებული ფრაგმენტები, სტალაქტიდური



თბილისი. მერია, 2003 წლის ფოტო
Tbilisi. City Hall, Photo 2003

კარნიზები, მოედნის მიმართ გრძივად განვითარებული ფასადის დამანანევრებელ პილასტრთა მუქი და ღია ფერის ზოლები, ფასადის შუა ლერძზე მოქცეული კოშკიანი შენობის ერთიან სახეს ქმნის. ქართული ორნამენტული ნაძერწობით მორთული ქალაქის სათათბიროს სხდომათა დარბაზის ავტორი ალექსანდრე ოზეროვია.

რუსულ-ბიზანტიური სტილის წმ. ალექსანდრე ნეველის სამხედრო ტაძარი (კავკასიის არმიის საკრებულო ტაძარი), აღმართული მეფის რუსეთის მიერ კავკასიის დაპყრობის აღსანიშნავად თბილისის შუაგულში, ლუნიხის მოედანზე (რუსთაველის პროსპექტზე, დღევანდელი საქართველოს პარლამენტის შენობის ადგილას) მდებარეობდა და საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ დაინგრა. ტაძრის მშენებლობას წინ 1865-1866 წლებში გამოცხადებული კონკურსი უსწრებდა. საკრებულო ტაძრის მშენებლობა მეორე პრემიის

გოლოვინის პროსპექტი, მეფისნაცვლის
სასახლე, წმ. ალექსანდრე ნეველის სამხედრო
კაბადარი
Viceroy's Palace, the Alexander Nevsky Cathedral
of the Russian Army. Golovin Avenue.



Station constructed on this site in the 1840s. The planning design was made by **Aleksander Ozerov**, living in Tbilisi, while the façades were created by **Paul Stern**. The regular rhythm of the wide rectangular openings and pointed arches placed in rectangular niches, stucco ornaments, stalactite cornices, dark and light strips articulating the longitudinal façade to the side of the square allow us to appreciate the towered structure on the middle axis of the façade as a complete whole. Georgian ornamental plastering adorning the main hall is attributed to A. Ozerov.

The Alexander Nevsky Cathedral of the Russian Army, designed in Russian-Byzantine style, stood in Gunib Square, in the very hub of Tbilisi, which is now occupied by the building of the Parliament of Georgia. It was built on the

ალექსანდრე ნეველის სამხედრო კაბადარი
The Alexander Nevsky Cathedral of the Russian
Army



მფლობელებს - პეტერბურგელ არქიტექტორებს **დავით გრიმს** (1823-1898) და **რობერტ გედიკს** (1828-1910) ერგოთ ნილად.²⁰ ტაძარი 1871-1889 წლებში აშენდა. მისი გარეგნული სახის “ბიზანტიური” იერი რუსეთის იმპერიის ამ დროის ტაძრების ზოგადად დამახასიათებელი ნიშანია.²¹ ამ ტაძართა ტიპის შემუშავებაში, კი არქიტექტურის პროფესორს, ბიზანტიური არქიტექტურის ჩინებულ მცოდნეს, პეტერბურგის საიმპერატორო აკადემიის საპატიო წევრს დავით გრიმს, დიდი წვლილი ჰქონდა შეტანილი. მისი ავტორობით რუსეთის იმპერიის სხვადასხვა ქალაქებში რუსულ-ბიზანტიური სტილიზაციის რამდენიმე სხვა ნიმუშიც აშენდა.²²

მთანმინდის კალთის მიმდებარე განაშენიანებაში მონუმენტურობით და ტექნიკური შესრულების მაღალი ხარისხით გამოირჩევა თბილისში მოღვაწე პოლონელი ხუროთმოძღვრის, 1885-1891 წლებში თბილისის საქალაქო არქიტექტორის, 1905-1906 წლებში თბილისის სამხატვრო სასწავლებლის პედაგოგის, **ალექსანდრე შიმკევიჩის** პროექტით აგებული ყოფილი სასამართლო პალატისა და საოლქო სასამართლოს (დღევანდელი საქართველოს უზენაესი სასამართლოს) შენობა (1894). გეგმით ჯვრის ფორმის შენობის მთავარ, ძმები ზუბალაშვილების



სასამართლო პალატისა და საოლქო
სასამართლოს შენობა
Court Chamber and District Court building

²⁰ კონკურსზე წარმოდგენილი 14 პროექტიდან პირველი პრემია ვშრეტერისა და აჰუნის პროექტს ერგო რომელიც არ განხორციელდა განსახორციელებელი სამუშაოების სიძვირის გამო

²¹ იოსებ გრიშაშვილის სახ. თბილისის ისტორიის მუზეუმის (“ქარვასლა”) ფონდში ინახება ნმ. ალექსანდრე ნეველის ტაძრის ფასადის პროექტის ერთ-ერთი უთარილო და ხელმოუწერილი ვარიანტი. *Проект Соборного Храма Кавказской Армии в Тифлисе, IV, n-2312*

²² დავით გრიმის რუსეთში მოღვაწეობის შესახებ იხ. *Е. И. Кириченко, Русская архитектура 1830-1910-х годов, Москва, 1978*

initiative of the Russian Tsar to commemorate the end of the Caucasian war and to complete the conquest of the Caucasus. The competition for designs was held during 1865-1866. The project by Victor Shröter and the painter A. Huhn, who won the competition, remained unrealised due to the high costs associated with the construction work. The building was erected to the design of the second prize winners, **David Grimm** (1823-1898) and **Robert Gedike**, between 1871 and 1889. The majority of the Russian Empire churches were characterised by a Byzantine appearance. Professor David Grimm, an honorary member of the Imperial Academy of Saint Petersburg, and a brilliant expert of Byzantine architecture, played an important role in the adoption and development of this type of church in Russia. He designed many churches characterised by Russian-Byzantine stylisation throughout the Empire.

Grandeur and high quality of technical accomplishment distinguishes the former Court Chamber and District Court building (presently the Supreme Court of Georgia) among the buildings lying at the foothills of Mtatsminda. It was constructed in 1894 to the design of the architect of Polish origin, **Aleksander Szymkiewicz**. He was a city architect from 1885 to 1891 and a professor of Tbilisi Art School between 1905 and 1906. He was also renowned



თბილისი. საქართველოს უზენაესი
სასამართლო. 2005 წლის ფოტო
Tbilisi. Supreme Court of Georgia. Photo 2005

for his charity activities. This building, based on a cruciform plan and inscribed in the urban fabric of Zubalashvili Street, features a façade characterised by a mixture of Renaissance and Baroque elements, alternating with the plain brickwork of the building standing separately in the courtyard, at quite a distance from the street.



სამუსიკო სკოლა. მთავარი ფასადი.
XX საუკუნის დასაწყისი
Music School. Façade. Early 20th century

ქუჩის განაშენიანებაში ჩართულ რენესანსულ - ბაროკულ ფასადს, ეზოს სივრცეში თავისუფლად მდგომი ნაგებობის შეუღესავი აგურის სადა ფასადი ენაცვლება.

1901-1904 წლებში ალექსანდრე შიმკვევიჩისვე აშენებულია სასამართლოს შენობის სიახლოვეს მდებარე ყოფილი სამუსიკო სკოლის შენობა (ახლა-ივ.სარაჯიშვილის სახ. თბილისის სახ. კონსერვატორია). მრავალჯერ გადაკეთებული შენობა ითავსებს ფასადთა რენესანსულ-ბაროკულ და ინტერიერის კლასიციზტურ თუ მოდერნის სტილის ელემენტებს. აღსანიშნავია, რომ მუსიკოსმა ანტონ რუბინშტაინმა თბილისის საზაფხულო თეატრში 1891 წლის 24 აგვისტოს გამართული კონცერტის ჰონორარი მუსიკალური სასწავლებლის მშენებლობას მოახმარა.^{23,24} სწორედ ამიტომაა მოთავსებული მისი ბრინჯაოს ფიგურა კონსერვატორიის შენობის კუთხის ნიშაში.

ა. შიმკვევიჩის შემოქმედებაში სტილური მრავალფეროვნების მნიშვნელოვანი მაგალითია 1898 — 1901 წლებში, თბილისში მოღვაწე რუს ხუროთმოძღვარ კორნელი ტატიშჩევთან ერთად აგებული ყოფილი საარტიტო საზოგადოების (დღევანდელი შოთა რუსთაველის სახ. აკადემიური თეატრის) შენობა. რუსთაველის პროსპექტის შუაწელზე მდებარე, მრგვალსამერცხლულებიანი მაღალი მანსარდით დახურული,

²³ გიორგი ბუჟინიშვილი, რუსთაველის პროსპექტი და მოედანი, თბილისი, 1967, გვ.40-41

²⁴ საზაფხულო თეატრის შენობა, რომელშიც 1891 წელს ა. რუბინშტაინის კონცერტი გაიმართა, ალექსანდრეს ბალის ჩრდილოეთით, საინჟინრო უწყების ბაღში მდებარეობდა. იგი 1872-1876 წლებში ალბერტ ზალოცმანს საფუძვლიანად გადაუკეთებია. იხ. მაია მანია, თბილისის ხედის ერთი უცნობი ჩანახატი, ლიტერატურა და ხელოვნება № 2, თბილისი, 1998, გვ.84-89



სამუსიკო სკოლა. საკონცერტო დარბაზი.
XX საუკუნის დასაწყისი
Concert Hall of the Music School.
Early 20th century

Aleksander Szymkiewicz was also responsible for another building, erected next to the Court from 1901 to 1904. The building first accommodated the Music School and now houses the Sarajishvili Tbilisi Conservatoire. As a result of various alterations, it combines façades designed in Renaissance and Baroque styles and interiors, in Classical and Art Nouveau styles. The school was partly financed by the musician Anton Rubinstein.

The building of the former Artists' Society, which is now Rustaveli State Academic Theatre, was designed between 1898 and 1901 in partnership with Korneli Tatischev, the Russian architect working in Tbilisi, and is distinguished among A. Szymkiewicz's works for its stylistic diversity. The façade of the building, erected in the middle of Rustaveli Avenue, is provided with a high mansard pierced with numerous dormer windows. It is furnished with giant pilasters and various embellishments, such as shells, garlands, ornaments terminating lunettes and other openings and mouldings in Baroque and Rococo styles. A wide portico with a broad stone banister, stretching along the whole width of the pediment, is noteworthy.

The construction from 1860 to 1861 of the Magnetic-Meteorological Observatory (from the 1924 the Geophysics Observatory) in old Kukia, on the left side of the river, between Mikhail Street and the river, was an important accomplishment. The project was planned by the German astronomer Arnold Moritz in 1858. The main building of the observatory and a few engineering structures survive to the present day.

გიგანტური პილასტრებით დანაწევრებული, ნიჟარების, გირლანდების, ლუნეტთა და ლიობთა თავსართებისა და სხვა ნაკვეთი ფორმებით შექმნილი ფასადი ბაროკული და როკოკოს სტილის გამოძახილია. აღსანიშნავია ქვისმოაჯირიანი ტერასით დახურული ფართო პორტიკი, რომელსაც პროსპექტის ტროტუარის მთელი სიგანე უჭირავს.

ჯვრული კამარების მთელი სისტემით გადახურული თეატრის სარდაფის კედლები, სადაც თბილისელ პოეტთა და მხატვართა თავშეყრის ადგილი, რესტორანი “უქიმერიონი” გაიხსნა 1919 წელს, მოხატეს ცნობილმა მხატვრებმა - დ.კაკაბაძემ, ლ.გუდიაშვილმა, კ.ზდანევიჩმა, ს.სუდეიკინმა.

უთუოდ დიდი მნიშვნელობის მოვლენად უნდა მივიჩნიოთ მაგნიტურ-მეტეოროლოგიური (1867 წლიდან ფიზიკური, 1924 წლიდან კი გეოფიზიკური) ობსერვატორიის კომპლექსის მშენებლობა მტკვრის მარჯვენა ნაპირზე, ძველ კუკიაში, მიხეილის ქუჩასა და მდინარეს შორის მდებარე ტერიტორიაზე, რომელიც 1858 წელს გერმანელი ასტრონომის არნოლდ მორიცის თაოსნობით დაიგეგმა. კომპლექსის მშენებლობა 1860-1861 წლებს შორის განხორციელდა. გადარჩენილია



თბილისის მაგნიტურ-მეტეოროლოგიური
ობსერვატორიის მთავარი შენობა. 1860-იანი წწ.
Tbilisi Magnetic-Meteorological Observatory. Main
building. 1860s

ობსერვატორიის მთავარი შენობა და ორიოდე საინჟინრო ნაგებობა.

ობსერვატორიის მთავარი შენობის პროექტი ხუროთმოძღვარმა ოტო იაკობ სიმონსონმა შეადგინა, ლერძის ირგვლივ მბრუნავი მისი კოშკი კი, გერმანელმა სამოქალაქო ინჟინერმა ფერდინანდ ლემკულმა ააშენა. შენობის პროტოტიპად მის ავტორებს, საფიქრებელია, დერპტის (1893 წლიდან იურევის, დღეს ტარტუს) მრავალმხრივ სანიმუშო ობსერვატორია აეღოთ. ქარიშხალისგან დაზიანებული ობსერვატორიის შენობა 1871 წელს ოტო სიმონსონს შეუკეთებია. 1880-1882 წლებში კი, ობსერვატორიის იმდროინდელი დირექტორის იოჰან მილბერგის თაოსნობით ობსერვატორიის მთავარი შენობის საფუძვლიანი რეკონსტრუქცია ცნობილმა თბილისელმა გერმანელმა არქიტექტორმა ლეოპოლდ ბილფელდმა განახორციელა, რომელმაც ძველი ხის კოშკი დღესარსებულით შეცვალა. ობსერვატორიის მთავარი შენობა

გოლოვინის პროსპექტი. საარტისტო
საზოგადოების შენობა. XX საუკუნის
დასაწყისი
*Building of the Artists' Society, Golovin Avenue,
Tbilisi. Early 20th Century*



The main building of the observatory was designed by the architect Otto Jacob Simonson, while the timber tower of it rotating around the axis was constructed by the German civil engineer Ferdinand Lehmkul. The authors must have used the Dorpat Observatory (Jurev from 1893, at present Tartu) exemplary in many ways, as a prototype for their building. Major reconstruction was carried out between 1880 and 1882 by the prominent Tbilisian architect of German origin, Leopold Bielfeld, by the request of the director of the observatory, Johann Milberg. The architect replaced the old timber tower by the existing one. The main building of the observatory, distinguished for its typology, is one of the splendid examples of Classicism of the mid-19th century.

თბილისი. რუსთაველის პროსპექტი. შოთა
რუსთაველის სახ. აკადემიური თეატრის
შენობა. 2006 წლის ფოტო
*The Rustaveli State Academic Theatre,
Rustaveli Avenue, Tbilisi. Photo 2006*



თბილისში XIX საუკუნის შუახანების კლასიციზტური სტილის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ნიმუში და ტიპოლოგიური თვალსაზრისით გამორჩეული ნაგებობაა.²⁵

XIX საუკუნეში მიხეილის პროსპექტზე მიმდინარე მასშტაბური მშენებლობებიდან, ასევე ღირსშესანიშნავ მოვლენად უნდა ჩაითვალოს მედიკოს ა. ლიბაუს თაოსნობითა და ალბერტ ზალცმანის 1865 წელს შედგენილი პროექტით მიხეილის საავადმყოფოს სახელით ცნობილი კომპლექსის მშენებლობა.²⁶ ზალცმანის აშენებული უნდა იყოს აღმშენებლის პროსპექტსა და დიმიტრი უზნაძის ქუჩას შორის მოქცეული ტერიტორიის შუა ლერძზე მდებარე მთავარი ნაგებობა. ზალცმანის გარდაცვალების (1897 წელი) შემდეგ, მიხეილის საავადმყოფოს სამშენებლო სამუშაოებს ლეოპოლდ ბილფელდი ხელმძღვანელობდა. 1911-1913 წლებში მან მთელი ტერიტორიის გადაგეგმარება და რამდენიმე ნაგებობის რეკონსტრუქციაც ჩაატარა.²⁷ ბილფელდის აშენებულია, საფიქრებელია, ის ცრუ გუთური სტილის ფასადი, რომელიც მიხეილის საავადმყოფოს ერთ-ერთ ყოფილ საცხოვრებელ ბინას ემიჯნება.

რომაული ბაროკული ტაძრის, კერძოდ კი ვინიოლას ილ ჯეზუს ტაძრის ფორმა უდევს საფუძვლად ალბერტ ზალცმანის პროექტის მიხედვით აშენებულ წმ. პეტრეს და პავლეს კათოლიკურ ეკლესიას. იგი ძველ კუკიაში, ივ. ჯავახიშვილის ქუჩაზე მდებარეობს. კორინთული პილასტრებით მორთულ მის დასავლეთ ნაწილს ორი მაღალი კოშკი და დიდი სფერული გუმბათი ასრულებს. პროექტი ალბერტ ზალცმანს 1861 წელს შეუდგენია. იგი საგანგებოდ დაუმტკიცებია კავკასიის მეფისნაცვალს, დიდ მთავარ გენერალ-ფელდციოხმაისტერს მიხეილ ნიკოლოზის ძე რომანოვს 1867 წლის 21 აპრილს.²⁸ ზოგიერთი ცნობით,

კათოლიკური ეკლესიის პროექტი.
არქიტ. ა. ზალცმანი. 1861
Design of the façade of the Catholic
Church in Tbilisi, by A. Saltzman. 1861

²⁵ მაია მანია, თბილისის გეოფიზიკური ობსერვატორიის ევროპელი აღმშენებლები და მისი არქიტექტურის გენეტიკური საფუძველი, საქართველოს ძეგლთა დაცვის დეპარტამენტის კონფერენციის მასალები, თბილისი, 2001, გვ. 84-123


²⁶ თენგიზ კვიციანი, ვლადიმერ ქურთიშვილი, გერმანელთა დასახლება თბილისში, "ლიტერატურა და ხელოვნება", №1-6, თბილისი, 1995, გვ. 23

²⁷ სცსსა, ფონდი 507, წიგნი №46 და ფონდი 204, წიგნი №2531

²⁸ საქართველოს ეროვნული მუზეუმის იოსებ ვრიშაშვილის სახ. თბილისის ისტორიის მუზეუმი ("ქარვასლა"), Проект Римско-Католической церкви на 600 человек для г. Тифлиса, № 1 - 250; კათოლიკური ეკლესიის კიდევ ერთი, ესკიზური პროექტი ხელმოწერილი ა. ზალცმანის მიერ საქართველოს ხელოვნების სახ. მუზეუმის ძველი ქართული ხელოვნების ხუროთმოძღვრული ძეგლების, ნახაზებისა და ანაზომების ფონდში ინახება — ყდა II, №61. უთარილო პროექტი, როგორც ჩანს, წინ უსწრებს "ქარვასლაში" დაცულს. უკანასკნელი საგანგებოდ არის დახაზული, ფასადის პროპორციები, ესკიზურთან შედარებით, აზიდული და დახვეწილია. მშენებლობა დამტკიცებული ვარიანტის მიხედვით განხორციელდა



კათოლიკური ეკლესიის მშენებლობა კონსტანტინე ზუბალაშვილის ხარჯით 1870-1877 წლებს შორის მიმდინარეობდა. კათოლიკური ეკლესიის შენობა იდეალურად ემთხვევა 1861 წლის ზალცმანისეულ პროექტს.



ლეოპოლდ ბილფელდი
Leopold Bielfeld
(1838-1921)

მიხეილის პროსპექტის შუანელზე XIX საუკუნის ბოლოს, თბილისში 1868 წლიდან მოღვაწე ერთ-ერთი ყველაზე უფრო თვალსაჩინო გერმანელი ხუროთმოძღვრის, ოლდენბურგელი მშენებელ-ინჟინრის შვილის, ტიტულარული მრჩეველისა და კოლეგიის ასესორის, **ლეოპოლდ ბილფელდის** (1838-1921)²⁹ პროექტით ყოფილი მეორე გილდიის ვაჭრის იაკობ ფრიდრიხ ვეტცელის მემკვიდრეების სასტუმრო აშენდა. მისი თავისებურება ისაა, რომ იგი თეატრსაც შეიცავდა. სამერცხლულებიანი მანსარდით დახურული სამსართულიანი ნაგებობის არქიტექტურული მორთულობა გერმანული ბაროკოს ტრადიციას მისდევს. მაღალმხატვრულობით გამო-რჩეული შენობის გარეგნულ სახეს მრავალი ნაძენი ფორმა - ადამიანის სახის სიმბოლურ-ფანტასტიკური სახეები, გირლანდები, საჭეკი ქვები, სიუზვის ყანწები, ნიჭარები, უჩვეულო კაპიტელები, მოკნეჭილი და სადა რუსტიკა ქმნის. ნაგებობის მთავარ შესასვლელს ჩაფხუტიანი, ფრთოსანი

ჭერმესი-ატლანტები მონიშნავს (მოქანდაკე კარლ ვილსი?).

გერმანული გუთური ტაძრის ფორმებით იყო შთაგონებული ლეოპოლდ ბილფელდის მიერ 1894-1897 წლებში ძველის ადგილას აშენებული წმ. პეტრე-პავლეს ლუთერული ეკლესია. იგი მიხეილისა და “კირკის” ქუჩების (დღევანდელი დავით აღმაშენებლის პროსპექტისა და კოტე მარჯანიშვილის ქუჩის) გადაკვეთაზე მდებარეობდა. გერმანელთა ნებაყოფლობითი შენაწირებით აგებული გუთური ტაძარი 1940-იან წლებში დაანგრიეს.³⁰

მიხეილის პროსპექტზე მდებარე საზოგადოებრივი დანიშნულების შენობათაგან ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ადგილი კავკასიის სააბრეშუმო სადგურის მთავარ შენობას უჭირავს, რომელიც აქ ბუნებისმეტყველ ნიკოლოზ შავროვის მიერ დაარსებული სააბრეშუმო სადგურისაგან გადარჩენილი ნაწილია.

²⁹ ცნობები ხუროთმოძღვარ ლ. ბილფელდის შესახებ მომანოდა მისმა შვილთაშვილმა ჯანეტ ტაკანაევამ, რომელთანაც არქიტექტორმა ქეთევან კობახიძემ დამაკავშირა. ჯ. ტაკანაევას ცნობით, ლ. ბილფელდი ქ. ოლდენბურგში 1838 წელს დაიბადა და 1921 წელს თბილისში გარდაიცვალა. ლ. ბილფელდს განათლება დანიაში, კოპენჰაგენში მიუღია. ჯანეტ ტაკანაევას და მისი ვაჟის თემურ ბათიაშვილის ნებართვით ქვეყნდება ლეოპოლდ ბილფელდის პორტრეტიც, რომელიც სხვა ფოტომასალასა და მემორიულ ნივთებთან ერთად ხუროთმოძღვრის პირად არქივშია დაცული

³⁰ თამაზ გერსამია, ძველი თბილისი, ანოტაცია № 218

Among a large number of buildings, erected in the former Mikhail Avenue in the 19th century, a hospital, known as Mikhail's Hospital, constructed on the initiative of A. Libau to the design drawn up in 1865 by Albert Salzman, was the most noteworthy. The main building, erected on the middle axis between Davit Aghmashebeli Avenue and Uznadze Street, should have been designed by Albert Salzman. After his death, the construction work was led by Leopold Bielfeld, who did the planning of the whole area and reconstruction of some of the buildings between 1911 and 1913. The Pseudo Gothic façade adjoining one of the dwelling houses of Mikhail's Hospital, must also be attributed to Leopold Bielfeld.

The Catholic Church of St Peter and St Paul, built in Javakhishvili Street, old Kukia, to the design of Albert Salzman, is based on the form of a Roman Baroque church, namely, Vignola's Il Gesù. Its west part, embellished with Corinthian pilasters, terminates in two tall towers and a large spherical dome. Project by Saltzman was designed in 1861 and it was exclusively proved by the Grand Duke of Russia, Feldzeugmeister Mikhail Nikolaevitch Romanov in April 21 1867. According to different sources, the church was commissioned during 1870-1877 by the Georgian manufacturer and philanthropist Constantine Zubalashvili. The church ideally coincides with the project of Salzman of 1861.

Towards the end of the 19th century, a hotel designed by the renowned German architect, Titular Councillor and Collegiate Assessor, son of the Oldenburg engineer, **Leopold Bielfeld** (1838-1922) was built in the middle of Mikhail Avenue for the heirs of the merchant of the second guild, Jacob Friedrich Wetzel. The hotel was highly original due to the theatre it contained. The architectural adornment of this three-storey building with a mansard features Baroque traditions. Numerous sculptured embellishments, such as



თბილისი. წმ. პეტრეს და პავლეს კათოლიკური
ეკლესია. 2000 წლის ფოტო
Catholic Church of St Peter and Paul, Tbilisi.
Photo 2000



მიხეილის ქუჩა. სასტუმრო "ვეტცელი".
XX საუკუნის დასაწყისი
Mikhail Street. The Wetzel Hotel.
Early 20th century

ნ. შავროვს კომპლექსის მშენებლობა ხუროთმოძღვარ ალექსანდრე შიმკვეიჩისათვის შეუკვეთია.³¹ 1892 წელს აშენებული კომპლექსის მთავარი ნაგებობა რომელშიც ახლა მეაბრეშუმეობის მუზეუმია მოთავსებული, თავდაპირველი სახით არის შემორჩენილი. ალ. შიმკვეიჩის შენობა ტრადიციათა პერწყმის შედეგია და — "რუსული სტილის", ევროპული არქიტექტურული მორთულობის და ისლამურ ელემენტებს აერთიანებს. შენობის ინტერიერში ვხვდებით კლასიკურ არქიტექტურულ ელემენტებში-პილასტრი, კაპიტელი, საჭეკი ქვა და სხვა, ჩართულ მისი სპეციფიკის ამსახველ ელემენტებს - თუთის ფოთოლს, პარკს, ჭიას, ჭუპრს, გრენას. აღსანიშნავია, რომ შიმკვეიჩის შენობა, თბილისისთვის დამახასიათებელი ის უიშვიათესი ნიმუშია, სადაც შემორჩენილია ავტორისეული ესკიზებით დამზადებული ავეჯი და სხვა დეტალები (საგამოფენო დარბაზი, ბიბლიოთეკა).

XIX საუკუნის მეორე ნახევარსა და მომდევნო ხანაში, ქალაქის სწრაფმა ზრდამ და განვითარებამ მდ. მტკვრის გაყოლებით ძველი ხიდების შეცვლა და ახალი ხიდების მშენებლობა გამოიწვია. თბილისის ძველ ხიდთაგან უმეტესი ევროპელი ინჟინრების შექმნილია.

მტკვრის დინების იმ მონაკვეთზე, სადაც მდინარის კალაპოტი ძალიან ვიწროა, უძველესი დროიდან კალა-სეიდაბადის ისანთან დამაკავშირებელი ქვის ხიდი იყო გადებული. მის ნაცვლად XIX საუკუნის დასაწყისშივე ორი ხიდი მოქმედებდა, რომელთაგან ერთი,

³¹ მეაბრეშუმეობის მუზეუმში ინახება ალბომი — *Кавказская Шелководственная Станция, 1902; Кавказская Шелководственная Станция в Тифлисе, 1900*, რომელშიც მთელი კომპლექსის ხუროთმოძღვრად იხსენიება ალექსანდრე შიმკვეიჩი. მასვე უნდა შეემოსა, ჩვენი აზრით, ახალი არქიტექტურული მორთულობით, ამავე კომპლექსის კუთვნილი საცხოვრებელი სახლიც (დავით აღმაშენებლის პროსპექტი № 184). ამას გვაფიქრებინებს, უპირველეს ყოვლისა, საცხოვრებელი სახლის მთავარი შენობისაგან განსხვავებული სამშენებლო მასალა-ძველი, კვადრატული აგური. განსხვავებულია შენობები სტილისტურადაც



თბილისი. თბილისის
სახელმწიფო თოჯინების
თეატრი. ხის კარის ცხაური.
2001 წლის ფოტო
Tbilisi State Puppet Theatre.
Wrought-iron ornament of the
wooden door. Photo 2001



თბილისი. თბილისის
სახელმწიფო თოჯინების
თეატრი. ატლანტი - ჰერმესი.
2004 წლის ფოტო
Tbilisi State Puppet Theatre.
Hermes-Atlantes. Photo 2004

fantastic human images, garlands, keystones, shells, strange capitals, rough and smooth rustication, add to the artistic value of the external appearance of the building. The main entrance is marked by Hermes-Atlantes with helmets and wings, sculpted by Karl Wils (?).

The Lutheran Church of St Peter and St Paul, built between 1894 and 1897 to the design of Leopold Bielfeld, was inspired by a German Gothic church. It stood on the intersection of Mikhail and 'Kirki' streets (the present Davit Aghmashenebeli and Marjanishvili Streets). The church, built with contributions from the Germans, was pulled down in the 1940s.



თბილისი. თბილისის სახელმწიფო თოჯინების
თეატრი. 2004 წლის ფოტო
Tbilisi State Puppet Theatre. Photo 2004



იოჰან დიცმანი
Johann Ditsmann
(1878-1923)

მეტეხის ტაძრისკენ მდებარე, 1870-იანი წლების ახლო ხანებში ინგლისელმა ინჟინერმა **ორდიშმა** ლითონის კონსტრუქციის ხიდით ჩაანაცვლა, მეორე, ხის ერთმალისანი ხიდი კი, ასევე ლითონის ხიდით, ინჟინერმა **ზეზემანმა** შეცვალა. ორივე ხიდის აწყობას მექანიკოსი **ბრანტი** ხელმძღვანელობდა. ლითონის კონსტრუქციის ზეზემანისეული ხიდი 1951 წელს მეტეხის ქვის ხიდის მშენებლობას ემსხვერპლა, ორდიშისა კი ახალი ხიდი აშენების შემდეგ, 1955 წელს დაშალეს.

დღევანდელი 300 არაგველის ხიდის ადგილას 1882 წლამდე ასევე ლითონის ხიდი მოქმედებდა, რომლის აგებაც ინჟინერ **გაგემისტერის** სახელს უკავშირდება. აქვე უნდა მოვიხსენიოთ ფრანგი ინჟინერის **პატონის** მიერ, დღევანდელი ნიკოლოზ ბარათაშვილის ხიდის ადგილას მდებარე განსაკუთრებული ელევანტურობით გამორჩეული მუხრანის ხიდიც.³²

გერმანელი სამოქალაქო ინჟინერი **იოჰან (ივანე ალექსანდრეს ძე) დიცმანი** (1878-1923), ბათუმელი მეორე გილდიის ვაჭრის ვაჟი, 1899 წელს თბილისის რეალური სასწავლებლის დამთავრების შემდეგ, 1899-1904 წლებში იმპერატორ ნიკოლოზ I სამოქალაქო ინჟინერთა ინსტიტუტში სწავლობდა, რომლის დამთავრების შემდეგ X კლასის ჩინის ინჟინრის წოდება მიიღო. წმ. ელისაბედის წითელი ჯვრისა და იმპერატორ ნიკოლოზ II წმ. სტანისლავის მესამე ხარისხის ორდენის მფლობელი, ტიტულარული მრჩეველი იოჰან დიცმანი, კავკასიაში აღმშენებლობითი სამუშაოების კარგად წარმოების გამო დაჯილდოვდა. გადმოცემით, ივანე დიცმანი ერთ-ერთ შენობაზე სამშენებლო სამუშაოების დასრულებისას, ხარაჩოზე დაიღუპა.³³

მიხეილის პროსპექტი. წმ. პეტრე-პავლეს ლუთერული ეკლესია.
არქიტექტორი ლ. ბილფელი. XX საუკუნის დასაწყისის ფოტო.
Lutheran Church of St Peter and St Paul by Architect L. Bielfeld,
Mikhail Avenue, Tbilisi. Early 20th century

³² თბილისის ხიდების შესახებ იხ. ნკვეზერული — კოპაძის დასახ. ნაშრომი, ასევე იხ. თკვირკველია, ვლ. ქურთიშვილი, გერმანელთა დასახლება თბილისში, „ლიტერატურა და ხელოვნება“, №1-6, თბილისი, 1995, გვ.27. 300 არაგველთა ხიდის ადგილას მდებარე ხიდის მშენებლად ვბერიძე ასახელებს არქიტექტორ რაისს, ხიდის აგების თარიღად, კი 1850 - 1851 წლებს

³³ ცნობები ინჟინერ ი. დიცმანის შესახებ მისმა შვილიშვილმა, იური დიცმანმა მომანოდა. მასთან ინახება ი. დიცმანის პირადი არქივიც, სადაც დაცულია დიცმანის პროექტების ორიგინალები, ფილდოები, სიგელები, დაბადების მოწმობა და სხვა. დიცმანების ოჯახში შემორჩენილია ი. დიცმანის მიერ შესრულებული ავეჯი — ნივნის თაროები, კარადა და სხვა. ყოველივე მოდერნის სტილის ნატიფ ნიმუშებს წარმოადგენს. დიცმანების კუთვნილებაა ინჟინრის ნახატები, რომლებზეც თბილისური თუ კავკასიური საცხოვრებელი სახლებია წარმოდგენილი

ი. დიცმანის სტუდენტობისდროინდელი უფრაჟები და სხვა პროექტები საქართველოს ეროვნული მუზეუმის ოსტე გრიშაშვილის სახ. თბილისის ისტორიის მუზეუმის („ქარვასლა“) ფონდშიც აღმოჩნდა





თბილისი. აბრეშუმის სახლი. ფასადი.
2002 წლის ფოტო
Silk Station, Tbilisi. Façade. Photo 2002

ი. დიცმანის მნიშვნელოვანი ნამუშევარია წმ. მიხეილ ტვერელის ეკლესია მთაწმინდის ძირში. ე.წ. რუსული სტილის ეკლესიაცა და სამრეკლოც კავკასიის მეფისნაცვალ ილარიონ ვორონცოვ-დაშკოვის და მისი მეუღლის მფარველობითა და რუსეთის დიდი მთავრის მიხეილ რომანოვის მხარდაჭერით აიგო 1911-1913 წლებში. ი. დიცმანმა შეადგინა ასევე მეორე მისიონერული ღვთისმშობლის სახ. (ყაზანის ღვთისმშობლის) ტაძრის გადაკეთების პროექტიც 1910 წელს. “რუსული სტილის” ეკლესია დღეს დანგრეულია, მისი დამხმარე ნაგებობების ნანძღები დღესაც იოლი ამოსაცნობია ყოფილი ანდრია (გიორგი ჩუბინაშვილის) ქუჩის განაშენიანებაში.

საინჟინრო მიღწევების თვალსაზრისით, თბილისის ისტორიაში გამორჩეული ადგილი ეკუთვნით ინჟინრებს - **ა. ბლასა** და **ა. რობის**, **ი. რაგოლერსა** და **ა. ფონტანა-როსის**. მათი აშენებულია სამთო-საბაგერო რკინიგზა-ფუნიკულიორი მთაწმინდაზე 1903-1905 წლებში. ფუნიკულიორის არქიტექტურული ნაწილი ალ. შიმკევიჩს ეკუთვნის.³⁴

თბილისში მრავალი ღირსშესანიშნავი ნიმუშით წარმოდგენილი მოდერნის სტილი, როგორც ცნობილია, 1902 წლიდან გავრცელდა. მოდერნის სტილის ორგანული მთლიანობით გამორჩეული საზოგადოებრივი შენობები თუ დიდი შემოსავლიანი სახლები გაბნეულია მტკვრის ორივე ნაპირის განაშენიანებაში.

მოდერნის სტილისაა 1907 წელს აგებული ყოფილი “სახალხო სახლი” (კოტე მარჯანიშვილის სახ. აკადემიური თეატრი). იგი მენარმისა და ქველმოქმედის კონსტანტინე ზუბალაშვილის დაკვეთით პოლონური წარმოშობის პეტერბურგელმა არქიტექტორმა **სტეფანე სამოილის ძე კრიჩინსკიმ**³⁵ (1874-1923) ააშენა. რიზალიტის, სცენიური კოლოფის,

³⁴ თამაზ გერსამია, ძველი თბილისი, ანოტაცია № 199

³⁵ იქვე, ანოტაცია № 184

თბილისი. აბრეშუმის სახლი. ბიბლიოთეკის
ინტერიერი. 2002 წლის ფოტო
Silk Station. Tbilisi. Interior of the Library.
Photo 2002



The main building of the Caucasian Sericulture Station is one of the most remarkable among the public buildings in Mikhail Avenue. This structure is what survives from the Sericulture Station founded by Nikolai Shavrov, an expert of natural science.

N. Shavrov commissioned to construct the complex (the architect A. Szymkiewicz). The main building of the complex, which now houses the Museum of Sericulture, survives in its original appearance. The building combines elements of the 'Russian style', European architectural adornment and Islamic art. The interior is embellished with ornaments, such as mulberry leaves, silkworms, cocoons, and silkworm eggs, all pointing to the function of the building. The museum preserves furniture made according to the author's sketches.

The rapid growth and development of the city along the River Mtkvari in the second half of the 19th century later required the alteration of the existing and the construction of new bridges, most of which were designed by European engineers.

In early times a stone bridge spanned the river connecting Kala and Tbilisi proper with Isani. In the early 19th century two bridges were constructed instead of one. In the 1870s, they were replaced by two iron bridges. One was constructed by the British engineer **Ordish**, close to Metekhi Church, while another, replaced an arched timber bridge, to the design of the German engineer **Sesemann**. Both were dismantled in 1951 and 1955 during the construction of a new stone bridge.

Of note are an iron bridge which was in place of the Bridge of the 300 Aragvians until 1882 made by the German engineer **Gagemeister**, and an elegant bridge, which is now Baratashvil Bridge, constructed by the French engineer **Paton**.



კირკისა და დიდი მთავრის ქუჩების გადაკვეთა. "სახალხო სახლი". XX საუკუნის დასაწყისის ფოტო
"People's House". Intersection of Kirche and Didi Mtavari streets, Tbilisi. Early 20th century

მცირე გუმბათების ტალღოვანი კარნიზები, პილასტრთა ქალის თავის ნაძერწი სახეები, მთავარი ფასადის შუალერძზე მოთავსებული პანო სიმბოლური ფიგურული გამოსახულებებით, ლიობთა სპეციფიკური ალატები, პარაპეტის გისოსის გამლილვარდიანი კომპოზიციები "კირკისა" და დიდი მთავრის (დღევანდელი დიმიტრი უზნაძის) ქუჩათა გადაკვეთაზე აღმართული შენობის დამახასიათებელ სახეს ქმნის.

აღნიშნულ ქუჩათა შესაყარზე, მარჯანიშვილის თეატრის გადასწვრივ ყოფილი კავკასიის ოფიცერთა ეკონომიური საზოგადოების სახლი (დღევანდელი თი ბი სი ბანკი) მდებარეობს. მისი ავტორი თბილისში მოღვაწე პოლონელი არქიტექტორი, კავკასიის საიმპერატორო ტექნიკური საზოგადოების განათლების მუდმივი კომისიის წევრი, თბილისის სახაზინო თეატრის ტექნიკური და სამხატვრო ნაწილის გამგე **ალექსანდრე სტანისლავის ძე როგოისკი** იყო.³⁶ იგი თბილისის ერმიადინელების წმ. გიორგის სახ. ეკლესიის სარესტავრაციო კომისიის წევრიც ყოფილა.³⁷

კავკასიის ოფიცერთა ეკონომიური საზოგადოების სახლის მშენებლობას წინ კავკასიის ოფიცერთა ეკონომიური საზოგადოების სამეთვალყურეო კომიტეტის მიერ 1910 წელს გამოცხადებული კონკურსი უსწრებდა. 1912 წლის მაისში ა. როგოისკის გარდაცვალების შემდეგ მშენებლობა უმნიშვნელო ცვლილებით სამხედრო ინჟინერმა **დენისენკომ** და **საფირ-რიჩგორსკიმ** დაასრულეს.³⁸

³⁶ *Кавказский Календарь на 1910 год, LXV., Тифлис, ნაწილი II, გვ. 32, 126*

³⁷ *მაია შავიშვილი, დიანა ვუგუშაშვილი, "თბილისი" ბანკის ადმინისტრაციულ-მმართველობითი შენობის საარქივო-ბიბლიოგრაფიული და სახელოვნებათმცოდნეო კვლევა, თბილისი, 2003*

³⁸ *იქვე*

თბილისი. კოტე მარჯანიშვილის სახ.
აკადემიური თეატრი. 2006 წლის ფოტო
The Marjanishvili State Academic Theatre, Tbilisi.
Photo 2006



Tbilisi also boasted significant engineering accomplishments. The funicular railway was built by the foreign engineers: **A. Blach**, **A. Robi**, **I. Ragoler** and **A. Fontana-Rossi**. An architectural design for the project was contributed by **A. Szymkiewicz** during 1903-1905.

The German civil engineer, **Johann (Ivan) Ditsmann** (1878-1923), was a son of a second guild merchant of the city of Batumi. Upon leaving the Tbilisi Secondary School in 1899, he continued his studies at the Imperial Institute of Civil Engineers of Tsar Nicholas I, from which he graduated in 1904 receiving the title of engineer of Class 10. In appreciation of the successful building

თბილისი. კოტე მარჯანიშვილის
სახ. აკადემიური თეატრი. მთავარი
ფასადი. ფიგურული რელიეფი მუზების
გამოსახულებით. 2006 წლის ფოტო
The Marjanishvili State Academic Theatre, Tbilisi.
Fragment of the main façade with symbolic
figures of the Muses. Photo 2006



ქუჩათა გადაკვეთაზე მდგარი, ერთი დიდი და ორი მცირე გუმბათით დაგვირგვინებული ნაგებობის-რიზალიტთა ტალღოვან კომპოზიციაში თუ პილასტრთა კაპიტელებში სიმბოლური სახეები, დენადი გირლანდები, ფრიზები და თბილისური მოდერნისათვის დამახასიათებელი, კადუცეუსის — ჰერმესის მუდმივი ატრიბუტის — (კვერთხი, გველი) ოთხგზის და ჩაფხუტიანი ფრთოსანი ჰერმესის ორგზის განმეორებული კომპოზიციებია ჩართული. ფასადთა და ინტერიერის მორთულობა **ა. ანდრეოლეტის** ცნობილ სახელოსნოში სრულდებოდა, რამაც უთუოდ განსაზღვრა 1911-1913 წლებში აგებული შენობის მაღალი ტექნიკური ხარისხი.

ალ. როგოისკის თბილისში აგებულ სხვა საზოგადოებრივ შენობათაგან აღსანიშნავია სასულიერო სემინარიის მთელი კომპლექსი (მთავარი შენობა, ზღუდე, საყდარი და სხვა დამხმარე ნაგებობები) ვაკეში, რომლის პროექტიც ხუროთმოძღვარმა 1903 წლის 10 აპრილს შეადგინა (მთავარ შენობაში დღეს ქალაქის მე-9 საავადმყოფოა მოთავსებული). ალ. როგოისკის მნიშვნელოვანი ნამუშევარია მოდერნის სტილის საბუბიო ინსტიტუტის შენობა ყოფილი ოლღას (მერაბ კოსტავას) ქუჩაზე.

XX საუკუნის დამდეგის მოდერნის სტილის თბილისის შენობათა შორის ერთ-ერთი გამორჩეული ნიმუშის, კინოთეატრ “აპოლოს” არქიტექტორი ჩვენთვის უცნობია, მაგრამ არსებობს ცნობა, რომ ამ შენობის არქიტექტურული მორთულობის შესრულება “აპოლოს” გერმანელ მფლობელს თავდაპირველად მოქანდაკე კარლ ვილსისთვისა და რეიშის ფირმის ოსტატებისთვის შეუკვეთია, მოგვიანებით კი სკულპტურული სამუშაოები “არქიტექტურული ძერწვის ოსტატს” **ა. ო. ნოვაკს** და მოქანდაკე **კარლ სოუჩეკს** შეუსრულებიათ. 1909 წელს აშენებული თბილისის პირველი კინოთეატრი “აპოლო“-ს ფასადები



თბილისი. კინოთეატრი “აპოლო”.

2002 წლის ფოტო

The Apollo cinema, Tbilisi. Photo 2002



თბილისი. თი ში სი ბანკი. 2006 წლის ფოტო
TBC Bank, Tbilisi. Photo 2006

projects realised by him in the Caucasus, he was awarded the medals of St Stanislaw and of the Red Cross of St Elizabeth by Nicholas I and his wife Alexandra. J. Ditsmann, who also served as Titular Councillor, died during construction.

The Church of Mikhail Tverskoy, standing at the foothills of Mount Mamadaviti (Mount of Father Davit), is one of the most important buildings designed by J. Ditsmann in Tbilisi. This Russian-style building, erected between 1911 and 1913, was commissioned by the Russian Viceroy in the Caucasus Illarion Vorontsov-Dashkov and his wife on the initiative of the Grand Duke of Russia, Mikhail Romanov. In 1910, J. Ditsmann also prepared designs for the alteration of the Church of the Khazan Virgin. The remains of this church and other auxiliary buildings can still be seen in Chubinashvili, former Andria, Street.

It is known that the first Art Nouveau houses appeared in Tbilisi in 1902. Many noteworthy works of this style were erected on both sides of the river, including public buildings and large boarding houses.

The People's House, at present Marjanishvili State Academic Theatre, constructed in 1907, is designed in Art Nouveau style. It was commissioned by the Georgian manufacturer and philanthropist Constantine Zubalashvili to the Polish architect from St Petersburg, **Stefan Kryczyński**. The undulating cornices adorning the projection, the small domes, the sculptured women's heads on the pilasters, the panel with symbolic figures on the middle axis of the façade, the original mullions, and the blooming rose composition formed by the wrought-iron railings atop the wall lend individuality to the building standing at the intersection of the former Kirka street and Didi Mtavari street, now Uznadze Street.



თბილისი. ჯანსუღ კახიძის სახ. თბილისის მუსიკალურ-კულტურული ცენტრი. ძველი დარბაზი. ინტერიერის ფრაგმენტი. 2006 წლის ფოტო
The Kakhidze Tbilisi Center of Music and Culture. Hall, interior decoration. Photo 2006

და ინტერიერის მორთულობა 1914 წელს დასრულდა.³⁹ დავით აღმაშენებლის პროსპექტისა და ია კარგარეთელის (ყოფ. ბალის) ქუჩის გადაკვეთაზე სფერული გუმბათით გადახურული ცილინდრული ნაწილით აღმართული ნაგებობის გიგანტური იონიური პილასტრებითა და ფართო ფანჯრებით დანაწევრებული ფასადების სახეს დღესაც დიდად განაპირობებს ჩეხი ოსტატების მიერ შესრულებული სიმბოლური ფიგურული რელიეფების, გირლანდებისა და წნულებისაგან შემდგარი კომპოზიციები.

კ. მორეტის ცნობით, 1914 წელს დასრულდა კინოთეატრ “პალასის” მშენებლობა, რომელიც თბილისელ-იტალიელ ძმებს - რიჩებს ეკუთვნოდა. ეს საბჭოთა ხანის კინოთეატრ “ამირანის” შენობაა.⁴⁰ **ძმები რიჩების** მოდერნის სტილით “ნაძერწი” და მოხატული ინტერიერი დღევანდელი ჯანსუღ კახიძის სახ. თბილისის მუსიკალურ-კულტურული ცენტრის შენობაშია შემონახული. აღნიშნული ინტერიერი, რომელიც, ადვილი საფიქრებელია, რიჩის და **ვილის** სახელოსნოს ხუროთმოძღვრული ძერწვის ოსტატებს შეესრულებინათ, მოდერნის სტილის ინტერიერებისათვის დამახასიათებელ ზღაპრული სამყაროს განცდას ბადებს და მას მოდერნის სტილის ევროპულ ნიმუშებთან აახლოვებს.

³⁹ Карло Моретти, 50 лет на стройках Грузии, გვ.10.

⁴⁰ იქვე, გვ.10-11.

At the same intersection, across the Marjanishvili Theatre stands a building (1911-1913) which once accommodated the House of the Economic Society of Caucasian Officers and now houses TBC Bank. It was designed by the Polish architect, living in Tbilisi, **Aleksander Rogojski**. The latter was a member of the standing committee of the Caucasian Imperial Technical Society and head of the technical and art unit of the Treasury Theatre. He also was a member to the committee which led restoration of St George's Church of the Etchmiadzins.

The construction of the Economic Society of the Caucasian Officers was preceded by a competition announced by the board of supervisors of the society in 1910. The building was finished with slight alterations after A.Rogojski's death (May, 1912), under the supervision of the military engineer **Denisenko** and **Sawicz-Ryczgórski**.

The building, capped by one large and two small domes, with symbolic images adorning the projection and pilaster capitals, wave-like garlands, friezes and recurrent compositions of Caduceus – winged rod with two serpents and leaves wound around it and curved faces of Hermes with helmets, is a typical example of Tbilisian Art Nouveau. The façade and interior furnishings were made in **Andreoletti's** renowned workshop, which played an important role in accomplishing the high technical quality found in Tbilisi.

The most outstanding among the public buildings built by Aleksander Rogojski in Tbilisi are the Theological Seminary in the district of Vake, the design of which dates from September 3, 1903 (the building now serves as City Hospital No 9) and the Midwifery School in the former Olga Street (now Kostava Street) built in Art Nouveau style.



თბილისი. ჯანსუღ კახიძის სახ. თბილისის მუსიკალურ-კულტურული ცენტრი. ფასადის ფრაგმენტი, კაპიტელი ქალის თავის სიმბოლური გამოსახულებით. თბილისი. 2006 წლის ფოტო.

The Kakhidze Tbilisi Center of Music and Culture. Fragment of the façade, capital with the symbolic image of a woman's head. Photo 2006

და ბოლოს, გვერდს ვერ ავუვლით ერთ უმნიშვნელოვანეს ნამუშევარს — ქვაშვეთის წმ. გიორგის ეკლესიას. იგი რუსთაველის პროსპექტზე, ყოფ. ალექსანდრეს (ახლა 9 აპრილის) ბაღის სამხრეთ-დასავლეთ კუთხეში, რუსთაველის პროსპექტის საერთო ნიშნულის რამდენადმე დაბლა მდებარეობს. ქვაშვეთის ახალი ეკლესიის პროექტი სინოდალური კანტორის არქიტექტორმა ლეოპოლდ ბილფელდმა შეადგინა.⁴¹ ეკლესიის მშენებლობა ძველი ტაძრის ადგილას 1904-1910 წლებში განხორციელდა. ქვაზე ნაკვეთი ორნამენტი არქიტექტორ **ედუარდ ანდრეოლეტის** ესკიზების მიხედვით ქვის კვეთის ცნობილმა ოსტატმა ნეოფიტე აგლაძემ შეასრულა. შენობის პროტოტიპად ლ. ბილფელდს ძველი ქართული ხუროთმოძღვრების მხატვრულ-ევოლუციური თვალსაზრისით გამოჩნეული ქმნილება, 1030 წელს

⁴¹ ლ. ბილფელდს, როგორც სინოდალური კანტორის არქიტექტორს, სავარაუდოდ 1891-დან 1916 წლამდე, სარემონტო სამუშაოები ჩაუტარებია იკორთის ტაძარზე. იხ. თამაზ სანიკიძე, იკორთის ტაძრის სამშენებლო ნარწერა, საქართველოს სიძველენი, 4-5, თბილისი, 2003, გვ. 170, სქოლიო.


თბილისი. ქვაშვეთის წმ. გიორგის ეკლესია
საერთო ხედი. 2006 წლის ფოტო.
Kvashveti Church of St. George, Tbilisi. General
view. Photo 2006



თბილისი. ქვაშვეთის წმ. გიორგის ეკლესია სამხრეთის
ფასადი. 2006 წლის ფოტო.
Kvashveti Church of St. George, Tbilisi. South façade.
Photo 2006



The architect of the Apollo Cinema, one of the most notable Art Nouveau buildings erected at the intersection of Davit Aghmashenebeli Avenue and Kargareli Street in the early 20th century, remains unknown. However, the architectural adornment of the building reveals the work of European sculptors and craftsmen living in Tbilisi. The German owner of the first structure built as a cinema in Tbilisi (1909), employed the German sculptor **Karl Wills** and the **Reisch company** to make sculptured decoration for his building. Later the master of architectural plastering, **A. Nowak**, and the sculptor, **Karl Soutchek**, were also engaged in the project. Stucco and sculptural ornaments were finished in 1914. These consisted of compositions of plastered garlands and wreaths, symbolic figures, placed between the giant order of Ionic pilasters and large windows articulating the façades. This imposing Art Nouveau building features a cylindrical corner topped with a hemispherical dome. The stucco and plaster decorations in the interior, executed in Art Nouveau and Neo Classical styles, are the work of the same masters.



თბილისი. თავად ბარათაშვილების საძვალე. 2006 წლის ფოტო.
Burial chapel of Prince Baratashvili's family, Tbilisi. Photo 2006



თბილისი. საქართველოს საგარეო საქმეთა
სამინისტრო. მთავარი ფასადის ფრაგმენტი.
2004 წლის ფოტო.
Ministry of Foreign Affairs of Georgia, Tbilisi.
Fragment of a façade. Photo 2004

აგებული სამთავისის ტაძარი დაუსახეს, ბილფელდისეული ეკლესიის წინამორბედი ტაძრის აღმშენებლის - XVIII საუკუნის მოღვაწის გივი ამილახვრის საგვარეულო ეკლესიის გამო.

ქვაშვეთის ახალი ეკლესია თბილისის ხუროთმოძღვრებაში ქართული ეროვნული ფორმების გამოყენების ერთ-ერთ საუკეთესო ნიმუშად არის მიჩნეული. ამავე დროს, იგი რეტროსპექტივიზმისა და რომანტიზმის ერთგვარ გამოვლინებადაც შეიძლება დავინახოთ.

აღნიშვნის ღირსია ე. ანდრეოლეტის ესკიზით შესრულებული ქვაშვეთის თეთრი მარმარილოს კანკელი, რომელიც ძველ ქართულ ხუროთმოძღვრულ დეკორსა და კლასიციზტურ ფორმებს ითავსებს.

აქვე უნდა მოვიხსენიოთ ქვაშვეთის გალავნის შიგნით მდებარე თავად ბარათაშვილების საძვალეც, 1899 წელს არქიტექტორ ალექსანდრე როგოისკის აშენებული.⁴² სფერული გუმბათით გადახურული მინიატურული საძვალეს ტექნიკური შესრულების მაღალ ხარისხს, ასევე ანდრეოლეტის მარმარილოს მხატვრული დამუშავების სახელოსნოს ოსტატებს უნდა ვუმაღლოდეთ.

ქართული ხუროთმოძღვრული დეკორისა და მკაცრი, თითქმის ყაზარმული იერის არქიტექტურის მოულოდნელი შერწყმის ნიმუშია, მთანმინდის მიმდებარე განაშენიანებაში მსხვილი მასშტაბითა და შეუღლესავი წითელი აგურის ფასადებით გამორჩეული 1888-1890 წლებში აშენებული ამიერკავკასიის ქალთა ინსტიტუტის (კეთილშობილ ქალთა ინსტიტუტის) შენობა. პროექტის ავტორი არქიტექტურის პროფესორი, რუსეთის საიმპერატორო სამხატვრო აკადემიის

⁴² Проект на постройку мраморной часовни на могиле князей Баратовых при Георгиевской церкви в Тифлисе 1899, სკსსა, ფონდი 204, ნივნი №4036, ამ მასალაზე მიმითითა ხელოვნებათმცოდნე მიაი შავიშვილმა

According to Karlo Moretti, the construction of the Palace Cinema, which belonged to the Italian **brothers Ricci**, came to an end in 1914. Later, in the Soviet period, the building housed the Amirani Cinema, which now serves as Djansug Kakhidze Tbilisi Center for Music and Culture. The interior, designed in Art Nouveau style, must be the work of the Ricci brothers and **Villi**. It is one of the most distinguished samples of Art Nouveau decoration, creating an atmosphere of an unreal, fairy world, reminding one of the masterpieces of Russian and European Art Nouveau. The capitals on the façade can be attributed to the same masters.

Another building of particular value is the Kvashveti Church of St George standing in the south-west corner of Alexander gardens (renamed, the Ninth of April), at a level slightly lower than that of Rustaveli Avenue. The design of the church, as it stands now, belongs to the German architect of the Synod Office, working in Tbilisi, Leopold Bielfeld. The building was erected between 1904 and 1910 on the foundation of the original church. The stone ornaments were carved by the well-known artisan Neopite Agladze to the designs produced by the architect **Edward Andreoletti**. Leopold Bielfeld constructed the church in imitation of Samtavisi Church (1030), distinguished for its artistic and evolutionary importance. The original church belonged to the family of Givi Amilakhvare, a public figure in the 18th century.

Kvashveti Church is considered a classic example of the use of national forms in the architecture of Tbilisi. Meanwhile, it also displays the influence of Retrospectivism and Romanticism. Particularly noteworthy is the chancel barrier of white marble produced in E. Andreoletti's workshop, which is a mixture of old Georgian architectural decorations and classical forms.

The burial place of the Baratashvilis within the wall surrounding the church, built in 1899 to the design of the Aleksander Rogojski, is also noteworthy. The high quality of technical accomplishment was achieved thanks to the craftsmanship of the artisans working at Andreoletti's marble and mosaic workshops.

The former building of the Institute of Girls of the Nobility, erected in Mtatsminda district between 1880 and 1892, is distinguished for its large scale and red brickwork. It features an unusual combination of ancient Georgian architectural adornment and severe barrack architecture. The structure was built to the design of Professor and academician of the Academy of Fine Arts of the Russian Empire, one of the most outstanding figures in the Empire, Robert Gedike (1828-1910). The construction work was supervised by A. Saltzman. Robert Gedike was a former student of the brilliant representative of Russian Classicism **Alexander Bryulov** (1798-1877). For the embellishment of the central part of the pediment of the façade, now overlooking narrow Chitadze Street, Gedike borrowed certain elements from the east façade adornment

აკადემიკოსი, რუსეთის იმპერიის ერთ-ერთი ყველაზე უფრო ნაყოფიერი ხუროთმოძღვარი რობერტ გედიკეა (1828-1910). მშენებლობას ა. ზალცმანი ხელმძღვანელობდა. რუსული კლასიციზმის ბრწყინვალე წარმომადგენლის, **ალექსანდრე ბრიულოვის** (1798-1877) მონაფე, რ. გედიკე შენობის მთავარ, შიო ჩიტაძის ვინრო ქუჩისკენ მიმართული ფასადის ძლიერად შვერილი რიზალიტის ზედა ცენტრალურ ნაწილს სამთავისის აღმოსავლეთი ფასადის კომპოზიციის ელემენტებით რთავს. შენობის ერთიანი მკაცრი არქიტექტურული სახის მიუხედავად, რ.გედიკე კეთილშობილ ქალთა ინსტიტუტის შენობას თბილისის იმ ნაგებობათა შორის უმკვიდრებს ადგილს, რომელთაც XIX საუკუნის მეორე ნახევრის ევროპისა და რუსეთის მრავალი თანადროული შენობის მსგავსად რომანტიზმისა და რეტროსპექტივიზმის კვალი ატყვიათ.

თბილისში მოღვაწე პოლონელი ხუროთმოძღვრების - ალ. შიმკევიჩის, ნ.ობოლონსკის, ალ. როგოისკის, ს. კრიჩინსკის - მიერ ქალაქის გარეგან სახეში შეტანილი დიდი წვლილი საყოველთაოდაა ცნობილი. ვფიქრობთ, თბილისში მოღვაწე პოლონელ არქიტექტორთა ჩამონათვალი არ იქნება სრულყოფილი, თუ არ მოვიხსენიებთ მხატვარ ჰენრიკ ჰრინევსკის თბილისის არქიტექტურის ისტორიაში შეტანილ ღვაწლს.

ჰ. ჰრინევსკისა და არქიტექტორ ანდრეოლეტის ესკიზის მიხედვით არის შესრულებული ქვაშვეთის ეკლესიის ბრინჯაოს კარი, ჩამოსხმული ჩეხი ოსტატის ნოვაკის ცნობილ სახელოსნოში ბლებედას მიერ.

საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის მთავარი კორპუსის (ლ.გუდიაშვილის ქ. №3) მშენებლობა, რომლის ამენებასაც 1912 წელს გამოცხადებული კონკურსი უსწრებდა წინ, 1913-1916 წლებში არქიტექტორ **ანატოლი კალგინისა** (1875-1943) და მხატვარ **ჰენრიკ ჰრინევსკის** (1869-1937) პროექტით განხორციელდა. ყოფილი სათავადაზნაურო საადგილმამულო ბანკის ანუ ქართული ბანკის შენობას თავისი შეუცვლელი ადგილი უჭირავს ახალი ქართული არქიტექტურის განვითარების ისტორიაში, რადგან ის ეროვნული ხუროთმოძღვრული ფორმების სტილიზაციის მაღალმხატვრული ნიმუშია, რაც მას ადგილს თბილისის ძეგლთა შორისაც უმკვიდრებს, და ამასთან, დასაბამს აძლევს XX საუკუნის საბჭოთა პერიოდის არქიტექტურაში ეროვნული ფორმებით შთაგონებული შენობების მთელ წყებას.

შენობის ფასადებისა და გარეგნული სახის გადანყვეტა მთლიანად ეკუთვნის ძველი ქართული ხუროთმოძღვრების შესანიშნავ მკოდნესა





თბილისი. საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის მთავარი კორპუსი. სამკითხველო დარბაზი. 2006 წლის ფოტო.
National Library of the Parliament of Georgia, Tbilisi. Reading Hall in the first building. Photo 2006

და მკვლევარს, საქართველოში მოღვაწე რუს ხუროთმოძღვარ ანატოლი კალგინს. ფასადთა ჩუქურთმები, რომელთა მრავალფეროვანი ნახატიც შუასაუკუნეებრივი ქართული არქიტექტურის სხვადასხვა ნიმუშებიდან არის აღებული, ხუროთმოძღვრული ძეგლის ოსტატების — **ძმები აგლაძეების** შესრულებულია. ინტერიერის სივრცის გადანწყვეტისას შენობის ავტორები მიმართავენ კლასიკური და ქართული არქიტექტურის ფორმებს - კამარებს, თაღებს, მასიურკაპიტელიან კოლონებს, ბაზილიკური პროფილის ნავებიან სივრცეს და სხვა. ინტერიერის მორთულობის დეტალები, კამარათა თუ თაღების მოხატულობა ქართული კულტურის, ქართული ხუროთმოძღვრებისა და ხუროთმოძღვრული მორთულობის დიდი მცოდნის, თბილისის სამხატვრო აკადემიის პედაგოგის ჰენრიკ ჰრინვესკის შესრულებულია. “ქართული ბანკის არქიტექტურას ავტორთა საკუთარი დამოკიდებულების, ემოციისა და ნამდვილი ნიჭის კვალი აცხია. ესაა, რომ ამ შენობას განსაკუთრებულ მომხიბვლელობას ანიჭებს”.⁴³

⁴³ ვახტანგ ბერიძე, თბილისის ხუროთმოძღვრება 1801-1917 წლები, ტ. II, გვ. 94

of Samtavisi church. By doing so, he added a touch of Romanticism to the general appearance of the building, which was a common practice in Russia and Europe in the second half of the 19th century.

It is essential to note the contribution of the Polish artist Henryk Hryniewski to the enhancement of Tbilisi architecture.

H. Hryniewski and A. Andreoletti designed a bronze door for Kvashveti Church, which was executed in the well-known studio of Nowak by B. Lebeda.

The first building of the National Library of the Parliament of Georgia, a former Nobility Bank or the Georgian Bank, at 3 Gudiashvili Street, was built to the designs of **Anatoli Kalgin** (1875-1943) and the artist **H. Hryniewski** (1873-1937) between 1913 and 1916. The construction of the building was preceded by a competition held in 1912.

The building, formerly occupied by the Nobility Bank, has played a vital role in the history of Georgian architecture owing to its high artistic value and the employment of ancient Georgian architectural stylisation. It set new directions in early Soviet Georgian architecture, drawing inspiration from the local architectural traditions.

The façades and the general appearance of the Nobility Bank were created by the Russian architect Anatoli Kalgin, an expert on old Georgian architecture. The ornaments, designed according to medieval Georgian ecclesiastic ornamentation, were executed by the sculptor-masons, brothers **Neopite, Vladimir** and **Lavrenti Agladze**. The interior of the building, with its vaults, arches, and columns with massive capitals, drew inspiration from classical and Georgian architecture. The interior decoration and paintings in the vault and in the arch were executed according to the design of the painter Henryk Hryniewski, a brilliant expert of Georgian culture and architecture in general, and Georgian architectural adornment in particular. He was a professor at the Tbilisi State Academy of Fine Arts.

“The architecture of the Georgian Bank reveals personal attitude, emotion and real talent. This is what determines the real charm of this building”, noted Vakhtang Beridze.

ევროპელ ხუროთმოძღვართა მიერ აშენებული თბილისის საცხოვრებელი სახლები

ევროპელმა ხუროთმოძღვრებმა თბილისში მრავალი კერძო საცხოვრებელი სახლიც ააშენეს. მათვე ეკუთვნით დიდი შემოსავლიანი სახლის არაერთი მაღალმსაგვრული ნიმუში.

სტილისტური თვალსაზრისით XIX საუკუნის მეორე ნახევრის თბილისის საცხოვრებელ სახლთა ფასადები იმავე სურათს წარმოგვიდგენს, რასაც საზოგადოებრივი შენობები. საცხოვრებელი სახლების არქიტექტურაში თანაარსებობენ კლასიციზისტური, ბაროკული, რენესანსული ფორმები, ისლამური და გუთური სტილიზაცია, მოდერნის სტილი, შუასაუკუნეებრივი ქართული ხუროთმოძღვრული დეკორის გამოყენებით აშენებული ფასადები.

ამასთან, ყველაზე საინტერესო სურათს სწორედ ევროპელი არქიტექტორების მიერ თბილისში აშენებული საცხოვრებელი სახლები გვიხატავს. სწორედ აქ ხდება რამდენიმე ტრადიციის ისეთი სინთეზი, რაც უაღრესად თვითმყოფად არქიტექტურას ბადებს და ასე განსხვავებულს ხდის თბილისში მოღვაწე ევროპელი არქიტექტორების შემოქმედებას საკუთრივ ევროპულისაგან.

თბილისში საზოგადოებრივი შენობების მშენებლობისას ევროპელები დიდი დროის განმავლობაში შემუშავებულ ფორმებს და ევროპულ პროტოტიპებს მიმართავენ, ან იყენებენ საყოველთაოდ აღიარებულ და მიღებულ შენობის ტიპებს და მათ თბილისურ სპეციფიკას უსადაგებენ. საცხოვრებელი სახლის შემთხვევაში კი, ძველთბილისური სახლის და, მეტიც, საზოგადოდ ძველი ქართული საცხოვრებლის მშენებლობის ღრმა და უწყვეტი ტრადიციის არსებობის გამო, ევროპელთა შემოქმედება თბილისში მდიდრდება ადგილობრივი არქიტექტურული ფორმებით და საოცარ თვითმყოფადობას იძენს; მათ მიერ აშენებული სახლები თბილისის მშენებლობის ერთიან პროცესში ორგანულად ერთვება და გარკვეულ ევოლუციას განიცდის.

თბილისური საცხოვრებელი სახლის სივრცითი ორგანიზაციის თავისებურება, რომელიც ერთნაირად ახასიათებს XIX საუკუნის თბილისის საცხოვრებლის სხვადასხვა ტიპებს, მთელ უბნებს, გავლენას ახდენს ევროპულ შენობებზე და მათ მთელი ქალაქის სივრცითი ორგანიზაციისა და ქალაქური ქსოვილის განუყოფელ კომპონენტად აქცევს.

ძველ ქალაქთან შერწყმის, მასთან გამთლიანების საწინდარი სწორედ საკუთრივ თბილისური სივრცითი ორგანიზაციის ის თავისებურებაა, რომელიც ახასიათებდა გვიანშუასაუკუნეებრივი თბილისის სამოსახლო უბნებს და მთელი სიმკვეთრით XIX საუკუნეში გამოვლინდა.

RESIDENTIAL HOUSES DESIGNED BY EUROPEAN ARCHITECTS IN TBILISI

European architects designed a large number of residential houses in Tbilisi. Some of the highly artistic tenement houses were also erected to their designs.

From the stylistic point of view, the façades of the second half of the 19th century did not differ much from those of the public buildings. Residential buildings display elements of Classical, Baroque, Renaissance and Art Nouveau styles, Islamic and Gothic stylisation, and medieval Georgian façade adornment.

Residential houses, built by European architects in Tbilisi, most vividly feature the combination of various traditions, giving birth to a highly original architecture and making the works of European architects working in Tbilisi different from European art proper.

Unlike the public buildings, for the designs of which European architects employed established forms and European prototypes or borrowed widely accepted types adapted to the local traditions, the residential houses witness the lavish use of local architectural forms. The latter was possible thanks to the almost uninterrupted building tradition in Old Tbilisi. Moreover, the specificity of the space arrangement of residential houses in Tbilisi, generic to various types of local dwellings and quarters, influenced the European buildings making them an essential component of the space arrangement of the entire city.

The houses, created by the Europeans in Tbilisi, made a natural addition to the building process and formed an essential part of the city.

The character of the late medieval residential areas, most evidently reflected in the 19th century, favoured the merging of these houses with the urban fabric of Old Tbilisi.

The residential houses, built by European architects in Tbilisi, contained courtyards, as was the tradition in Old Tbilisi. Courtyards were enclosed by broad wooden balconies and were provided with straight or spiral stairs outside or under the roofing of a wooden balcony, some of which had passageways. Classical, Baroque and Renaissance façades were furnished with overhanging wooden balconies, which was typical of Tbilisi in the late feudal period and in the 19th century. Fret-worked balconies, dictated by the natural conditions, formed an essential element of Tbilisian dwellings. They characterised the structure of the Old Town, and shaped the appearance of the city in the 19th century. Because of this, the renowned poet Jacob Polonsky called Tbilisi 'multibalconied'.

ევროპელების მიერ თბილისში აშენებული საცხოვრებელი სახლები, თბილისური ტრადიციისამებრ, შიდა ეზოებს შეიცავენ. როგორც წესი, ეზოს სივრცე გარშემორტყმულია ხის ფართო აივნებით, აღჭურვილია ხის გარეთ გატანილი ან აივნის ხის გადახურვაში გაჭრილი სწორი ან ხვეული კიბეებით, ზოგჯერ გადასასვლელებით. ზოგჯერ ევროპელთა მიერ დაპროექტებულ კლასიციტურ, ბაროკულ თუ რენესანსულ ქუჩის ფასადებზეც ხის გადაკიდებული აივანი ჩნდება, რაც ესოდენ დამახასიათებელი იყო გვიანფეოდალური ხანის და XIX საუკუნის თბილისისათვის. მდიდრულად მოხარატებული ხის აივანი, ქალაქის ბუნებრივი პირობებით ნაკარნახები უმნიშვნელოვანესი და განუყოფელი კომპონენტია თბილისური საცხოვრებელი სახლისა, ის ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილი ქალაქური სტრუქტურისა, რომელმაც ფაქტიურად განსაზღვრა XIX საუკუნის ქალაქის სახე. სწორედ ამიტომ უწოდა XIX საუკუნის შუახანებში თბილისში მყოფმა ცნობილმა პოეტმა იაკობ პოლონსკიმ ქალაქს “მრავალაივნიანი”.

თბილისური საცხოვრებელი სახლის სივრცითი ორგანიზაციის სპეციფიკა თბილისში მოღვაწე თითქმის ყველა უცხოელმა არქიტექტორმა გაიზიარა. ზოგჯერ მათ ნაგებ სახლებს ენ. გახსნილი ეზოებიც კი აქვს, ანუ მისდევენ თბილისური საცხოვრებელი სახლის იმ ტიპს, რომელმაც დიდწილად განაპირობა თბილისური ურბანული სტრუქტურის მკვეთრი ინდივიდუალობა.

თბილისური საცხოვრებელი სახლის სახის შექმნაში უმნიშვნელოვანესი წვლილი თბილისელ ხელოსნებს შეჰქონდათ. მათი შემოქმედებითი შრომის შედეგია დღემდე შემორჩენილი ხის აივნები, გადასასვლელები, ხვეული თუ სწორი კიბეები, ინტერიერის მორთულობის სხვადასხვა დეტალები (თახჩები, კედლის კარადები, კარები და სხვა). თბილისელი ხელოსნების დამოუკიდებლობასვე მიანერს აკადემიკოსი ვახტანგ ბერიძე “კლასიკური” ხუროთმოძღვრული ფორმების თბილისურ ყაიდაზე გარდაქმნას. ენ. ამქრების საქმიანობის შეზღუდვამ უარყოფითად იმოქმედა ძველი ქალაქის არქიტექტურაზეც. სწორედ ამ დროს, XIX საუკუნის მეორე ნახევრიდან ქრება თბილისურ ფასადებზე ხის ფართო მოხარატებული აივანი და მის ნაცვლად რკინის აივნები ჩნდება. თუმცა კი ეზოს მხარეს აივნების მშენებლობის ტრადიცია განაგრძობს არსებობას. ქუჩის მხარეს მიმართული ევროპული ფასადის უკან იმალება თბილისური ეზო, ხის აივნებისა და კიბეების მთელი სისტემით, მთელი თავისი შიდა ცხოვრებით. ევროპელი ხუროთმოძღვრებისთვისაც მუდმივ შთაგონების წყაროდ ნამდვილი ძველი თბილისი, მისი ოდითგანვე ჩამოყალიბებული უბნები-საკუთრივ თბილისი, კალა, ისანი რჩებოდა. ამ უბნების ადრევე ჩამოყალიბებულმა სპეციფიკამ, თბილისის სამშენებლო ტრადიციებმა ნარუშლელი კვალი დაამჩნია ქალაქის ახალ უბნებში აშენებულ ევროპელთა სახლებს.

The specificity of the spatial arrangement of residential houses was shared by almost all the foreign architects working in Tbilisi. Moreover, some of the houses were built with the so-called 'open courtyards'. The latter largely determined the individuality of the urban fabric of the city.

Tbilisi artisans greatly contributed to the formation of the image of Tbilisian residential houses. Wooden balconies, passageways, spiral and straight stairs, interior details, shelves, wall cupboards, doors and other elements, surviving to the present day, are the result of their work. The academician Vakhtang Beridze explained the transformation of 'classical' architectural forms into those of Tbilisian by the independence of local artisans. The restriction of the activity of the so-called 'guilds' had a negative effect on the architecture of the old city. From the second half of the 19th century, iron balconies replaced wooden ones. However, the tradition of adding balconies to houses on the courtyard side was retained. The European façades, looking out onto streets, hid courtyards with wooden balconies and stairs. Genuine Old Tbilisi, with its quarters such as Tbilisi proper, Kala and Isani, inspired the European architects when building new districts.

It was thanks to the harmonious partnership between Georgian masters and European architects that a large number of highly artistic buildings were created in the old quarters of Tbilisi.

The original outlook of Old Tbilisi was strongly determined by the use of traditional building materials, as well as the craftsmanship of Tbilisi masons. Plain brick houses with their rear elevations, unplastered triangular pediments, etc, created by Tbilisian masters continue to play to this day an important role in the appreciation of the architecture of the city.

The two-storey house built in 1888 for Ephemias Zubalashvili, 16 Ingoroqva Road, set back from the street, well is notable for the architectural adornment of its façade. The building is enclosed by a narrow garden and wrought-iron railings erected on the stone plinth. The architecture of the symmetrical façade follows Classical and Renaissance traditions. The moulded frieze above the window on the lateral sides of the façade on the second-floor level are furnished with kufic ornaments. The same motif is used to adorn the lost frieze of the richly embellished portico attached to the projection marking the middle part of the façade.

The courtyard, at quite a distance from the street, can be reached through an arched tunnel cut in the left lateral part of the building. To the side of the courtyard, the dwelling has now a glazed balcony. A few fragments of the balcony fret-work survive. Of note is the lavish adornment of the interior, including the main wooden stairs, the fireplaces faced with glazed tiles, and the Rococo plastering of ceilings.



ლაბორატორიის ქუჩა. ეფემია ზუბალაშვილის სახლი.
Laboratory Street, Tbilisi. Ephemias Zubalashvili's house.

სწორედ ევროპელი არქიტექტორების და თბილისელი ხელოსნების ჰარმონიული თანამშრომლობის შედეგია თბილისის დღეს უკვე ისტორიულ უბნებში გადარჩენილი არაერთი მაღალმხატვრული ნიმუში.

მაღალი მხატვრული ღირებულებით, დახვეწილი პროპორციით და თბილისური ტრადიციების ღრმა წვდომით გამოირჩევა ოცო იაკობ სიმონსონის მიერ თბილისში აშენებული საცხოვრებელი სახლები.

ეფემია ზუბალაშვილის ორსართულიანი სახლი ინგოროყვას ქუჩის მიმდებარე განაშენიანების რამდენადმე სიღრმეში მდებარეობს და მთავარი ფასადის არქიტექტურული მორთულობის არტისტიზმით



თბილისი. ინგოროყვას ქ. საცხოვრებელი სახლი. ეზო. 2006 წლის ფოტო.
Residential house, Ingoroqva Street, Tbilisi. Courtyard. Photo 2006



თბილისი. ინგოროყვას ქ. საცხოვრებელი სახლი. ფასადი. 2000 წლის ფოტო.
Residential house, Ingoroqva Street, Tbilisi. Facade. Photo 2000

This seriously damaged house, together with its neighbouring buildings, largely determines the artistic and architectural merit of Ingoroqva Street.


At 20 Tabidze Street there is the house, built in 1859 for the renowned philanthropist and merchant Iagor Tamamshev to the design of Otto Jacob Simonson, also followed the traditions of the local architecture. The main façade on the side of Galaktioni Street, characterised by Classical elements (plainly rusticated surface on the ground floor and even rhythm of the Corinthian pilasters on the first floor, profiled frames of openings, plain parapet, etc), once combined with the broad, ornamented balcony overlooking the courtyard. The building lost its original appearance as a result of the reconstruction work carried out in 1999. At present, it accommodates the Caucasian House.



თბილისი. ინგოროყვას ქ. საცხოვრებელი სახლი. 2002 წლის 26 აპრილის ფოტო
Residential house, Ingoroqva Street, Tbilisi.. Interior. Photo April 26, 2002

გამოირჩევა. ქუჩისგან იგი ვინრო ბალით და ქვისცოკოლიანი რკინის აფურული გისოსით არის გამოყოფილი. სიმეტრიული ფასადის არქიტექტურა კლასიციზტურ-რენესანსულ ტრადიციას მისდევს. ფასადის განაპირა ნაწილების მეორე სართულის ღიობთა თაროებს კუფურ-ნარწერებიანი ორნამენტი ამკობს. იგივე მოტივი ფასადის შუა რიზალიტზე მიდგმული დღეს არარსებული, მდიდრულად მორთული პორტიკის ფრისაც ამშვენებდა.

განაშენიანების სიღრმეში მდებარე ეზოში მოხვედრა შენობის ტანში, მის განაპირა მარცხენა ნაწილში გაჭრილი თაღოვანი გასასვლელი-გვირაბით არის შესაძლებელი. შიდა ეზოსკენ ნაგებობა ხის ღია აივნებით (დღეს შუშაბანდებით) არის მიმართული. ხის აივნის მორთულობის ჭვირული ფრაგმენტების მხოლოდ მცირე ნაწილია შერჩენილი. აღნიშვნის ღირსია სახლის ინტერიერის მდიდრული მორთულობა — ხის პარადული ფართო კიბე, მოჭიქულფილებიანი ბუხრები, პლაფონის როკოკოს სტილის ნაძერწობა. დიდად დაზიანებული ნაგებობა დღესაც დიდწილად განსაზღვრავს პავლე ინგოროყვას ქუჩის მხატვრულ-არქიტექტურულ სახეს.




ა. ზალცმანის საკუთარი სახლის პროექტის ფრაგმენტი. არქიტექტორი ა. ზალცმანი. 1872 წ. Design of A. Salzman's House, by A. Salzman. 1872

ზუბალაშვილის სახლის კარის ცხაური. ო. სიმონსონის ესკიზი. Sketch for a wrought-iron fragment of a door, by O. Simonson


на перестройку дома Архитектора Альберта Петровича Завьялова
 в г. Пущинск в 2-ом Отделении 10-го участка по Михайловской улице

и-
ка-
ар-
мо


Фасадъ.



Планъ верхняго этажа



Разрѣзъ по а-б



всѣхъ оконъ и
 дверей.

А. Завьяловъ



ოტო სიმონსონის მიერ ცნობილი მეცენატის, ვაჭარ იაგორ თამამ-შევისათვის 1859 წელს აგებული საცხოვრებელი სახლი ასევე თბილისური ტრადიციის მატარებელი იყო. მთავარ, გალაკციონ ტაბიძის ქუჩისაკენ მიმართულ ფასადს, კლასიციზტური ტრადიციის შესატყვისად მორთულს (პირველი სართულის სადად რუსტირებული სიბრტყე, მეორე სართულის კორინთული პილასტრების თანაბარზომიერი რიტმი, ლიობთა პროფილირებული საპირეები, სადა პარაპეტი და სხვა) ოდესღაც ეზოს მხრიდან მდებარე ფართო ჭვირულმოაჯირიან აივნებს ეხამებოდა. 1999 წელს ჩატარებულ რეკონსტრუქციისას ნაგებობამ დაკარგა თავდაპირველი სახე. დღეს ამ შენობაში საქართველოს კულტურულ ურთიერთობათა ცენტრი - "კავკასიური სახლია" მოთავსებული.

ალბერტ ზალცმანის მიერ თბილისში აშენებული საცხოვრებელი სახლები მრავალფეროვანია, როგორც სტილისტური, ისე ტიპოლოგიური თვალსაზრისით. ყოველი მათგანი, როგორც წესი, ეზოს სივრცეს შეიცავს, ოღონდ ეზოს არქიტექტურული დამუშავების და სივრცითი ორგანიზაციის ხასიათი ერთმანეთისაგან განსხვავებულია.

თბილისურ ტრადიციას აგრძელებს ა. ზალცმანის საკუთარი სახლი (დაღმაშენებლის პროსპ. №115). პროსპექტის მიმდებარე განაშენიანების რამდენადმე სიღრმეში მდებარე, ოდესღაც მისგან რკინის აყურული ზღუდითა და ბალის ვიწრო ზოლით გამიჯნული შენობა, რომლის ფასადის მორთულობა კლასიციზტურ-ბაროკულია, განაშენიანების სიღრმეში ეზოს შეიცავს, რომლისკენაც სახლი ორსართულად განლაგებული ხის აივნებით არის მიმართული. ეზოში თავისუფლად მდგომ სახლს ხის აივანი ვიწრო გასასვლელისკენაც აქვს შეკიდული.



ა. ზალცმანის პროექტი. გრიგოლ მეგვინოვის სახლი. 1885
Meghvinov's House. Designed by A Salzman. 1885

The houses, designed by Albert Salzman, are characterised by a diversity of stylistic and typological characteristics. All of them contain courtyards varying in terms of architectural and space arrangement.

The private house of Albert Salzman, set back from the street, at 115 Davit Agmashenebeli Avenue, once marked by a wrought-iron enclosure and a narrow strip of garden, also follows the principles of Tbilisian architecture. The façade bears Classical and Baroque embellishments. The house faces a courtyard with its fret-worked balconies overhanging along two floors. The building has another courtyard on the side of a narrow passageway. The main, broad stairs with a wooden banister, lighted from above in the interior, are also designed in the Tbilisian style. A three-hundred-year old plane-tree growing in the courtyard is of note.

The two-storey house at 9 Tabidze Street, designed by Albert Salzman, features two different façades, as it was the tradition in Tbilisi. The façade, overlooking the street, is designed in the mixture of Baroque and Renaissance styles. The building has a tunnel connecting the street to the courtyard, the latter being enclosed by fret-worked wooden balconies from both sides. The house has its main entrance from the side of the street. The initials of the house owner, Shahnazarov, are inscribed within the pattern formed by the iron railings of the profiled door.

Similar is the composition of Grigol Meghvinov's house at 10 Dadiani Street. The plain façade is a belated example of Classicism. From the side of the courtyard, it alternates with an elevation featuring a wooden balcony. It is of note that the house was built in 1885 at the junction of two residential quarters, those of Kala and Sololaki, presumably on the site of the old wall formerly enclosing the city from the west.



თბილისი, შ. დადიანის ქ. №10. საცხოვრებელი სახლი. არქიტექტორი ა. ზალცმანი, 2001 წლის ფოტო.
Residential house at 10 Dadiani Street, Tbilisi.
Designed by A. Salzman. Photo 2001



თბილისი. პ. იაშვილი ქ. № 15. ეზოს ზღუდე.
არქიტექტორი ა. ზალცმანი. 2001 წლის ფოტო
Enclosure wall at 15 Iashvili Street, Tbilisi.
Designed by A. Salzman. Photo 2001

“თბილისურია” ასევე ზედა განათების მქონე ხის რიკულებიანი ფართო პარადული შიდა კიბეც. აღსანიშნავია ზალცმანისეული სახლის ეზოში დღემდე შემორჩენილი სამასწლოვანი ჭადარიც.

თბილისური საცხოვრებელი სახლის ტრადიციის თანახმად, ორი განსხვავებული ფასადი აქვს ა. ზალცმანის აშენებულ გალაკტიონ ტაბიძის ქ. № 9-ში მდებარე სახლს. ორსართულიანი ნაგებობა ბაროკულ-რენესანსული ფასადით ქუჩას გადმოჰყურებს. შენობის ტანში გაჭრილი გასასვლელი — გვირაბი ქუჩას ეზოს სივრცესთან აკავშირებს. ეზოს ორმხრივ ხის ჭვირულმოაჯირიანი აივნები შემოუყვება. სიღრმითა ფლიგელში ხის კიბეა დატანებული. სახლის პარადული შესასვლელი ქუჩის მხრიდან არის მოწყობილი. ორფრთიანი პროფილირებული კარის რკინის გისოსის ნახატში სახლის მფლობელის - შაჰნაზაროვის ინიციალებია ჩაქსოვილი.

ანალოგიური აღნაგობა აქვს შალვა დადიანის ქ. №10-ში მდებარე სახლსაც. გრიგოლ მეგვინოვის სახლის ფასადი სადა კლასიციზისტური სტილის ნაგვიანევი ნიმუშია. ეზოს მხრიდან მას ხისაივნისიანი ფასადი ესადაგება. აღსანიშნავია, რომ სახლი 1885 წელს თბილისის ორი სამოსახლო უბნის, კალა-სოლოლაკის ზღვარზე, ქალაქის დასავლეთიდან მომზღუდავი ძველი გალავნის სავარაუდო ადგილზე აშენდა.

აღწერილ სახლებს ეხმიანება არქიტექტურული მორთულობისა და სივრცითი ორგანიზაციის თვალსაზრისით პაოლო იაშვილის № 15-ში მდებარე გიორგი კარაკოზოვის 1889 წელს აგებული სახლიც. ოდესღაც ორსართულიანი, დღეს დაშენებული სახლის ორი განსხვავებული — ევროპული არქიტექტურის საერთო რეპერტუარიდან მორთული მთავარი, ქუჩისპირა და ეზოს ხის აჭურულაივნისიანი ფასადები ნაგებობის ერთიან სახეს ქმნის. განსხვავებულია ზალცმანის სხვა სახლებისაგან

თბილისი. პ. იაშვილი ქ. № 15. ეზოს ზღუდე.
 არქიტექტორი ა. ზალცმანი. 2001 წლის ფოტო
Enclosure wall at 15 Iashvili Street, Tbilisi.
Designed by A. Salzman. Photo 2001



The houses, described above, are echoed by a house of Giorgi Karakozov at 15 Iashvili Street. Formerly two-storeyed, now raised the house features two different façades creating one whole. One of them, opening onto the street, borrows elements from the European repertoire of adornment, while another, overlooking the courtyard, contains wooden balconies. The feature that distinguishes this house from others designed by Albert Salzman is an entrance to the courtyard, which, unlike other similar structures, is not cut into the body of the building but rather placed separately. The low enclosure of the courtyard, marked by coupled Corinthian pilasters on its lateral sides and provided with an arched opening, is seen as an extension of the façade. From the side of the courtyard, the enclosure is of plain brick. The entrance affiliates the building with the type of houses with open courtyards. The highly artistic composition of the enclosure finds affinity with the enclosures of many other houses in Sololaki.

The houses, designed by A. Salzman at an earlier period, also follow the local tradition. The two-storey dwelling, constructed in Jorjadze Street in 1868 for the civil servant and administrator of East Georgian ecclesiastic properties, Ioane Arjevanidze survives in a much altered shape. The façade, adorned with coupled, plainly rusticated Corinthian pilasters and profiled frames of openings, terminates in a plain parapet. It is furnished with three wrought-iron balconies and a canopy above the entrance door. This façade, inspired by Classical traditions, alternates with an elevation which once had wooden balconies, later converted into glazed loggias. The part of the house, facing Jorjadze Passage, was traditionally of plain brick. It is natural that Ioane Arjevanidze, who inherited the priesthood of Kvashveti Church, settled in the vicinity of this church, in St George's Street.

ეზოში შესასვლელი, რომელიც არა შენობის ტანშია გაჭრილი, არამედ ცალკეა გატანილი — წყვილი განაპირა კორინთული პილასტრებით მონიშნული ეზოს დაბალი ზღუდე, მასში გაჭრილი თაღოვანი ლიობით ფასადის თავისებურ გაგრძელებას წარმოადგენს. ეზოს მხრიდან ზღუდე შეუღესავი აგურისაა. აღწერილი შესასვლელი სახლს გახსნილ-ეზოიან სახლის ტიპად წარმოგვიდგენს. ზღუდის ზალცმანისეული კომპოზიცია განსაკუთრებული არტისტიზმით გამოირჩევა და ანალოგიას პოულობს სოლოლაკშივე მდებარე არაერთი ანონიმური სახლის ზღუდესთან. ქუჩისპირა ფასადის მარჯვენა რიზალიტში შეწყვილებული ხის მოხარატებული კარია გაჭრილი.

თბილისურ სპეციფიკას ეხმიანება ზალცმანის ადრეული სახლებიც. სახელმწიფო მოხელისა და აღმოსავლეთ საქართველოს საეკლესიო ქონების მმართველის იოანე არჯვეანიძისათვის 1868 წელს აშენებულმა ორსართულიანმა საცხოვრებელმა სახლმა ჯორჯაძის ქუჩაზე დიდად სახეცვლილმა მოაღწია დღემდე. სადად რუსტირებულ, განაპირა შეწყვილებული კორინთული პილასტრებით და ლიობთა პროფილირებული ჩარჩოებით მორთულ ფასადს სადა პარაპეტი ასრულებს და რკინის აჟურულმოაჯირიანი სამი აივანი და შესასვლელი კარის წინფრა ამკობს. კლასიკური ტრადიციებით ნასაზრდოებ ფასადს ეზოს მხარეს ოდესლაც ხის ღია აივნები, დღეს, კი სახეცვლილი



თბილისი. პ. იაშვილი ქ. № 15.
აივანი. არქიტექტორი
ა. ზალცმანი. 2001 წლის ფოტო
*Balcony at 15 Iashvili Street,
Tbilisi. Designed by A. Salzman.
Photo 2001*



თბილისი. გალაკტიონის ქ. №
9. ეზოს ფასადი. არქიტექტორი
ა. ზალცმანი. 2001 წლის ფოტო
*Courtyard at 9 Galaktioni Street,
Tbilisi. Designed by A. Salzman.
Photo 2001*


თბილისი. გალაკტიონის ქ. №9. ეზო.
არქიტექტორი ა. ზალცმანი. 2001 წლის ფოტო
Courtyard. at 9 Galaktioni Street, Tbilisi.
Designed by A. Salzman. Photo 2001



The three-storey tenement house at 22 Tabidze Street stands aloof from the rest of the buildings erected in Tbilisi in the second half of the 19th century. Based on oral tradition, the academician Vakhtang Beridze attributed the building to A. Salzman. According to the archival materials obtained by Tamaz Gersamia, the building was erected in 1883 and belonged to the Tamamshev family. The house is noteworthy in many ways. It contains a courtyard, but has no balconies, which is atypical of Tbilisi houses. The façade of Tamamshev's house stands out in the architectural repertoire of Sololaki for the use of old Georgian architectural decoration. The artistic appearance of the house is enhanced by the main façade, lavishly adorned with Georgian ornaments, austere brick elevations turned to the square courtyard and the plain, smooth surfaces of rear walls. The interior details, such as marble stairs and wrought-iron railings in the main entrance, straight and spiral stairs in the two side entrances, and a profiled ceiling are noteworthy. The building is also remarkable for its high level of craftsmanship.

By designing Tamamshev's house in Sololaki, A. Salzman, a former student of Alexander Stakenschneider a renowned teacher of the Imperial Academy of Arts in St Petersburg, tutor of many prominent architects such as Nikolai Benois, and, an architect responsible for the shift from Classicism to Romanticism in the Russian Empire, not only created a sample of 'Georgian style', but also laid the foundation for the development of the romantic movement in Tbilisi.

The tombstone, designed by A. Salzman, the miniature composition of which features a synthesis of Classical forms and old Georgian architectural adornment, is a remarkable sample of stylisation of ancient Georgian architectural forms. The semicircular arch erected on the plain podium and



თბილისი. გალაქტიონის ქ. №22. ეზო.
არქიტექტორი ა. ზალცმანი. 2006 წლის ფოტო
Courtyard at 22 Galaktioni Street, Tbilisi.
Designed A. Salzman. Photo 2006

შუშაბანდები ენაცვლება. სახლის გვერდითი ფასადი ჯორჯაძის შესახვევისკენ არის მიპყრობილი. შთამომავლობით ქვაშვეთის ეკლესიის მღვდელთმსახური იოანე არჯევანიძე, ბუნებრივია, რომ ქვაშვეთის ეკლესიის მახლობლად, გიორგის (დღეს ჯორჯაძის) ქუჩაზე იდებს ბინას.

XIX საუკუნის მეორე ნახევრის თბილისის საერო არქიტექტურის ძეგლებს შორის რამდენადმე განცალკევებით დგას გალაქტიონ ტაბიძის ქუჩის №22-ში მდებარე სამსართულიანი შემოსავლიანი სახლი. მის ავტორობას აკადემიკოსი ვახტანგ ბერიძე, ზეპირი გადმოცემის საფუძველზე, ალბერტ ზალცმანს მიაკუთვნებს. არქიტექტორ თამაზ გერსამიას მიერ მოპოვებული საარქივო მასალის მიხედვით შენობა 1883 წელს არის აშენებული და იგი თამამშევეების კუთვნილი იყო.⁴⁴ სახლი მრავალმხრივ არის საყურადღებო. იგი ჩვენში, უიშვიათეს უაივნო ეზოს ნიმუშს მოიცავს. სოლოლაკის, არქიტექტურული თვალსაზრისით არაერთგვაროვან სტილისტურ რეპერტუარში თამამშევის სახლის ფასადი ძველი ქართული ხუროთმოძღვრული დეკორის გამოყენებით გამოირჩევა. შემოსავლიანი სახლის მხატვრულ სახეს ქართული ორნამენტით უხვად მორთული მთავარი ფასადი, კვადრატული ეზოსკენ მიმართული შეუღლესავი აგურის მკაცრი ფასადები, და განაშენიანების სიღრმეში მდებარე ზურგის კედლების შეუღლესავი აგურის შეუცდომელი წყობის სადა სიბრტყე ქმნის. სახლის მხატვრული სახის წარმოსადგენად მნიშვნელოვანია აგრეთვე ინტერიერის მორთულობის მრავალი დეტალიც (პარადული სადარბაზოს მარმარილოს საფეხურებიანი, ქადრაკულ - ბაქიანი, რკინის აყურულმოაჯირიანი

⁴⁴ თამაზ გერსამია, "ქართული სტილი" თბილისის არქიტექტურაში XIX და XX საუკუნის მიჯნაზე, სპექტრი, №2, თბილისი, 2006, გვ.43-51



თბილისი, გალაქტიონის ქ. №22. ფასადის
ფრაგმენტი. არქიტექტორი ა. ზალცმანი.
2001 წლის ფოტო
22 Galaktioni Street, Tbilisi. Fragment of the
façade. Designed by A. Salzman. Photo 2001

terminating in the triangular pediment, is supported by the coupled pilasters. The arch frames, the cornice of the pediment, the capitals, and the ornamented globes under the pediment are borrowed from the old Georgian architectural repertoire. The shape of the cross carved on the plinth also follows the Georgian tradition. The decorative elements of the façade recur on the side elevations. The middle section of the façade is marked by the drawing of the head of a young man.

The space arrangement and the brick façade overlooking the courtyard affiliates this house with a three-storey edifice built in 1876 for the widowed



თბილისი, გალაქტიონის ქ. №22.
ფრიზის არარსებული ფრაგმენტი.
არქიტექტორი ა. ზალცმანი. 2002 წლის
26 აპრილის ფოტო
22 Galaktioni Street, Tbilisi. Lost fragment
of the frieze. Designed by A. Salzman.
Photo April 26, 2002

კიბე, არაპარადული ორი სადარბაზოს კიბის უჯრედები (აღსანიშნავია ერთ-ერთი სადარბაზოს ზედა განათებაც), რთულადპროფილირებულ ჭერი და სხვა). მაღალია შენობის ტექნიკური შესრულების ხარისხიც.

XIX საუკუნის პეტერბურგის საიმპერატორო სამხატვრო აკადემიის ცნობილი პედაგოგის, არაერთი გამოჩენილი ხუროთმოძღვრის (ნიკოლაი ბენუა და სხვა) აღმზრდელის, რუსეთში კლასიციზტური სტილიდან რომანტიზმისკენ შემობრუნების დამწყების, ალექსანდრე შტაკენშაინდერის (1802-1865) კლასში აღზრდილი ალბერტ ზალცმანი, თავისი თამამშევისეული სახლით სოლოლაკში არა მხოლოდ “ქართული სტილის” ნიმუშს ქმნის, არამედ, საფუძველს უყრის რომანტიული მიმდინარეობის განვითარების მთელს საფეხურს თბილისში.

ძველი ქართული ხუროთმოძღვრული ფორმების სტილიზაციის თვალსაზრისით, უთუოდ საყურადღებოა ა.ზალცმანის კიდევ ერთი პროექტი.⁴⁵ ეს საფლავის ძეგლია, რომლის მინიატურული კომპოზიციაც ძველი ქართული ხუროთმოძღვრული დეკორისა და კლასიციზტური ფორმების სინთეზს ემყარება. სადა კვარცხლბეკზე აღმართული, ფრონტონით დასრულებული კომპოზიციის შუა ნახევარწრიული თაღი ნყვილი ლილვებით შემდგარ პილასტრებს ეყრდნობა. თაღის საპირის, სამკუთხა ფრონტონის ლავგარდანის, ლილვების დამასრულებელი ბურთულებიანი კაპიტელის, ფრონტონის ქვეშ მოთავსებული გირჩის ორნამენტული სახეები - ქართული შუასაუკუნეებრივი არქიტექტურის საგანძურიდან არის აღებული. “ქართულია” აგრეთვე პიედესტალზე ამოკვეთილი ჯვრის გამოსახულებაც. საფლავის ქვის გვერდით, ვინრო ფასადებზეც მეორდება გირჩების, ჯვრებისა და წნულების კომპოზიციები.⁴⁶ ძეგლის ფრონტალური გამოსახულების შუა ღერძზე მრგვალი მედალიონია მონიშნული, მასში პროფილში გამოხატული ადამიანის (ახალგაზრდა მამაკაცის) გამოსახულებით.

დიდად ენათესავება თამამშევისეულ ზემოთაღწერილ ნაგებობას ეზოს სივრცის გადანყვევითა და ეზოს ფასადის კედლების წყობით ა. ზალცმანის მიერ რამდენადმე ადრე, 1876 წელს აგებული კოლეგიის მრჩევლის ქვრივის ბარბარე თამამშევის სამსართულიანი შემოსავლიანი სახლი (ანტონ ფურცელაძის ქუჩა №16). ნაგებობის პროექტით ვათვალისწინებული კლასიციზტურ-ბაროკული “სამოსი” დღეს სრულიად

⁴⁵ საქართველოს ხელოვნების სახ. მუზეუმის (სხსმ) ძველი ქართული ხელოვნების ხუროთმოძღვრული ძეგლების ნახაზებისა და ანაზომების ფონდი, ყდა II, კატ. № 3-65

⁴⁶ საფლავის ზალცმანისეული ქვა დღეს შესაძლოა დაკარგულია. იგი 1880-იანი წლების ახლო ხანებში უნდა იყოს შესრულებული. თუ ეს ასეა, იგი ძველი ქართული ხუროთმოძღვრული მოტივებით შთავგონებული ილია ჭავჭავაძის საფლავის ქვის კომპოზიციის (1913 წელი) წინამორბედად უნდა მივიჩნიოთ (არქიტექტორი პეტრე მამრადე (1877-1937), მოქანდაკე იაკობ ნიკოლაძე (1876-1951). ასე რომ, ა. ზალცმანის თამამშევისეული საცხოვრებელი სახლი საფუძველს უყრის ძველი ქართული ხუროთმოძღვრული ფორმების გამოყენებით შენების განვითარების მთელს საფეხურს თბილისის საერო არქიტექტურაში, ზალცმანისავე საფლავის ქვა კი იგივე მიმართულებას აძლევს მცირე არქიტექტურულ ფორმებსაც

თბილისი. გალაკტიონის ქ. №22. ფასადის
ფრაგმენტი. არქიტექტორი ა. ზალცმანი.
2006 წლის ფოტო
22 Galaktioni Street, Tbilisi. Fragment of the
façade. Designed by A. Salzman. Photo 2006



Barbare Tamamshev, to the design of A. Salzman. This building at 16 Purtseladze Street, originally designed in Classical and Baroque styles, was altered to acquire Art Nouveau features in the late 1910s. The façade, overlooking the courtyard, survives in the original shape and shows kinship with Mantashev's house built later in Tabidze Street. Neither of the buildings contains a balcony, while both are built firmly of square bricks and have similar entrances. This affinity between the two courtyards allows us to confirm the identity of the architect of the house at 22 Tabidze Street. The main entrance of Barbare Tamamshev's house is arranged within the wall of the tunnel. The wide, winding stairs with wooden banisters, as well as the width of the wall on

თბილისი. გალაკტიონის ქ. №22. ფასადის
ფრაგმენტი. არქიტექტორი ა. ზალცმანი.
2006 წლის ფოტო
22 Galaktioni Street, Tbilisi. Fragment of the
façade. Designed by A. Salzman. Photo 2006



სახეცვლილია და მოდერნის ყაიდაზეა (1910-იანი წლების მინურული?) გადაკეთებული. მეტიც, სცსა-ში შემონახული ზალცმანის მიერ ხელმოწერილი პროექტი არ ემთხვევა იდეალურად არც პირველი სართულის ფართო, არც მეორე და მესამე სართულთა ფანჯრის ღიობებს. საფიქრებელია, რომ პროექტი ცვლილებებით განხორციელდა, ეზოს ფასადი კი თავდაპირველი სახით არის მოღწეული და უაივნობით, ძველი, კვადრატული აგურის მკვიდრი წყობით, “სივრცის სპეციფიკური შეგრძნებით”, არაპარადულ სადარბაზოთა იდენტურობით - დიდად ენათესავენა თამამშევის უფრო გვიანდელ, გალაკტიონის ქუჩაზე მდებარე სახლს. სწორედ ეზოთა ანალოგიურობა გვიდასტურებს კიდევ ერთხელ გალაკტიონ ტაბიძის 22-ში მდებარე სახლის ავტორის ვინაობას. ბარბარე თამამშევის სახლის მთავარი შესასვლელი ეზოს გვირაბის კედელშია გაჭრილი. მისი, გალაკტიონის №22 სახლის კიბეებისგან განსხვავებული, ასევე ფართო საფეხურებიანი, ოღონდ ხის რიკულებიანი ხვეული კიბე და პირველი სართულის კედლის სისქე გვახსენებს მის უფრო ადრეულ წარმოშობას. აღნიშვნის ღირსია აგრეთვე ზემოაღწერილი ორი სახლის მხატვრულ-არქიტექტურულ-კონსტრუქციული ღირებულებით გამორჩეული თაღოვან-კამაროვანი სარდაფები. ბარბარე თამამშევის სახლის სარდაფი, შესაძლოა, ამ ადგილას მდგარი უფრო ადრეული, XIX საუკუნის პირველი ნახევრის ნაგებობისაგან გადარჩენილი ნაწილი იყოს.


ალბერტ ზალცმანის მიერ თბილისში აგებულ მრავალრიცხოვან შემოსავლიან სახლთაგან უნდა მოვიხსენიოთ დღეს არარსებული, სტილისტურ-ევოლუციური და მხატვრული თვალსაზრისით მნიშვნელოვანი ნაგებობები. ესენია: კონსტანტინე ზუბალაშვილის (1880 წ.) და დავით სარაჯიშვილის (1881 წ.) სახლები, რომელიც ყოფილი სასახლის ქუჩის ერთი მხარის მოშენებას ქმნიდა, ბებუთოვების სახლი გალაკტიონ ტაბიძის ქუჩაზე (1865 წ.), ეკატერინე მუხრან-ბატონის სახლი ინგოროყვას ქ.№9-ში (1862 წ.) და სხვა. ა. ზალცმანს შეუდგენია ალექსანდრე ბატონიშვილის ვაჟის ერეკლეს სახლის პროექტიც,⁴⁷ რაც შესაძლოა, გერონტი ქიქოძისა და მიხეილ ლერმონტოვის ქუჩათა გადაკვეთაზე მდგომი სახლი იყო.

სოლოლაკისა და მთაწმინდის განაშენიანებაში ა. ზალცმანის მიერ შეტანილი უმნიშვნელოვანი წვლილი მეფე ერეკლე II რძლის, და უფლისწულ ერეკლე ბატონიშვილის დედის, მარიამის სახლის მშენებლობითაც აღინიშნა.⁴⁸ ეს სახლი გადაკეთებული სახით დღესაც დგას გ. ლეონიძისა და სულხან საბა ორბელიანის ქუჩათა გადაკვეთაზე. მაღალ რუსტირებულ ცოკოლზე მდგარი, შეწყვილებული იონიური პილასტრებისა და სწორკუთხა ღიობების თანაბარზომიერი რითმით დანაწევრებული ფასადები სადა პარაპეტითა და მთავარი ფასადის შუაწელზე მოქცეული კარტუშით იყო დასრულებული. ეზო- ბალისკენ, რომელიც სულხან საბა

ა. ზალცმანის საფლავის ქვის პროექტი. 1880-იანი წწ.(?)
Design of a tombstone, by A. Salzman. 1880s (?)

⁴⁷ Дом Грузинского Царевича Ираклия в Тифлисе სსსმ, ძველი ქართული ხელოვნების ხუროთმოძღვრული ძეგლების ნახაზებისა და ანაზომების ფონდი, ყდა II, №62


⁴⁸ საქართველოს ეროვნული მუზეუმის იოსებ გრიშაშვილის სახ. თბილისის ისტორიის მუზეუმის (“ქარვასლა”) ფონდში ინახება, Фасад и разрез дома предлагаемого к постройке Ее Святлостью Грузинскою Царевною Мариною Иссакиевною, № 0-247



ორბელიანის (ყოფილი ფრეილინის) წინაპარი ქუჩისაგან ზღუდით იყო გამიჯნული, სახლი ხის ფართო აივნებით იყო მიმართული.

ვეროპული არქიტექტურული ფორმებისა და თბილისური სპეციფიკის უჩვეულო სინთეზს წარმოგვიდგენს ალბერტ ზალცმანის ახლა ასევე დანგრეული, 1870-იანი წლების მიწურულში აგებული ყოფილი თბილისის საქალაქო საკრედიტო საზოგადოების შენობა,⁴⁹ რომელიც ძველი და ახალი ქალაქის შესაყარზე, კოჯრის კართან მდებარეობდა. მიუყვებოდა რა ნაგებობა ძველი გალავნის სავარაუდო ხაზს, იგი სიმრგვალეს ქმნიდა თავისუფლების მოედნისა და ლესელიძის ქუჩის გადაკვეთასთან და მოედნის სწვრივად განვითარებული ფასადით დიდწილად განსაზღვრავდა ქალაქის ამ კონკრეტული ურბანული მონაკვეთის მასშტაბს. იონიური და კორინთული პილასტრებით, თალოვანი და სწორკუთხა ლიობებით, პროფილირებული საპირეებითა და საჭექი ქვებით, სარტყლებით და ნაძერწი კრონშტაინებით მორთულ ფასადს ეზოს მხრიდან ჭვირულმოაჯირიანი ხის ფართო აივნები ენაცვლებოდა.

ინჟინერ ლემკულის საცხოვრებელი სახლი სოლოლაკში, გლეონიძის ქუჩის №10-ში მდებარეობს. ოდესღაც ორსართულიანი, დღეს სამსართულიანად გადაკეთებული, დიდად სახეცვლილი შენობა დღესაც ლეონიძის ქუჩის ერთი ნაწილის მოშენების მნიშვნელოვანი ნაწილია. სამოქალაქო ინჟინერი ფერდინანდ



ბარბარე თამამშევის შემოსავლიანი სახლის გეგმა. ა. ზალცმანის პროექტი, 1876
Plan of Barbare Tamamshev's tenement house, by A. Salzman, 1876

⁴⁹ თამაზ გერსამია, ძველი თბილისი, ანოტაცია № 128




ბარბარე თამამშევის შემოსავლიანი სახლის ფასადი. ა. ზალცმანის პროექტი, 1876
Barbare Tamamshev's tenement house. Façade. Designed by A. Salzman. 1876

the ground-floor level, point to the earlier date. The arched and vaulted cellars of the two houses are of high artistic and architectural merit.

It is also important to note that some of the lost tenement houses built by A. Salzman in Tbilisi, which are particularly remarkable from stylistic and evolutionary points of view, namely: the houses of Constantine Zubalashvili (1880) and Davit Sarajishvili (1881) in former Sasakhle Street, the Bebutov house (1865) in Tabidze Street and Ecaterine Mukhran-Batoni house (1862) in Ingoroqva Street.

Another building contributed by A. Saltzman to the quarters of Sololaki and Mtatsminda was the house of Mariam, the daughter-in-law of King Erekle II and mother of Prince Erekle Batonishvili. This house survives in an altered



უფლისწულ ერეკლე ბატონიშვილის დედის, მარიამის სახლის პროექტი. არქიტექტორი ა. ზალცმანი. 1863
Design of the façade of the house of Mariam, mother of Prince Erekle Batonishvili, by A. Salzman. 1863



თბილისი. ყოფ. საქალაქო საკრედიტო საზოგადოების შენობა. არქიტექტორი ალბერტ ზალცმანი, 1870-იანი წწ. 2001 წლის ფოტო. შენობა დანგრეულია Tbilisi Credit Society (demolished). Designed by A. Saltzman, 1870s. Photo 2001

ლემკული ფართო, შეკიდული ხის აივნით რთავს თავის 1851 წელს აშენებულ სახლს და მას ფასადის თბილისურად ტრანსფორმირებულ კლასიციზტურ მორთულობას უსადაგებს. ნაგებობა, რომელიც ფასადის უკან დამალულ დახურულ ეზოს შეიცავს, ასევე ხისაივნია, აივნის გადახურვაში გაჭრილი სწორი და გვიანი ფლიგელის ხვეული კიბით. რადგან ათი წლის შემდეგ, 1860-1861 წლებში ფ. ლემკული თბილისის მავნიტურ-მეტეოროლოგიური ობსერვატორიის მთავარ შენობას აგებს, მისი საკუთარი სახლი კი ესოდენ “თბილისურია”, უნდა ვიფიქროთ, რომ იგი ადგილობრივი მკვიდრი იქნებოდა. შესაძლოა, ლემკულივე იყოს 1850-1851 წლებში აგებული ავლაბრის ობსერვატორიის ეზოიან-აივნიათი ნაგებობის ავტორიც.

ლეოპოლდ ბილფელდის მიერ აშენებული საცხოვრებელი სახლები უპირატესად “თბილისის კოლონიაში”, დავით აღმაშენებლის პროსპექტსა და მის მიმდებარე კვარტალებშია გაბნეული და მათი დიდი უმრავლესობა შემორჩენილია. ლ. ბილფელდის ყველა შენობა ევროპული არქიტექტურული სტილებისა და თბილისური არქიტექტურის ჰარმონიულ ერთობლიობას წარმოგვიდგენს.

ტიტულარული მრჩევლის, არქიტექტორ ბილფელდის ერთსართულიანი საკუთარი სახლი “კირკის” (მარჯანიშვილის) ქუჩაზე მდებარეობდა. 1881 წელს ბილფელდი საკუთარ სახლზე მეზონინის დაშენების უფლებას ითხოვს. სადა არქიტექტურული მორთულობის ფასადს ეზოს მხრიდან თბილისური აივნები ამკობს.⁵⁰

გირცელის სახლის სახელით ცნობილი ნაგებობა (დავით აღმაშენებლის პროსპ. N77) ლ. ბილფელდის უადრესი დამუშევარია. 1876 წელს აშენებული სახლის პროსპექტისაკენ მიპყრობილი მთავარი ფასადი კლასიციზმისა და ბაროკოს ნიშნების მატარებელია-პირველი სართულის სადად რუსტირებულ კედელს მეორე სართულის წყვილი კორინთული პილასტრებით მონიშნული განაპირა ნაწილები,

⁵⁰ Проект предлагаемой постройки мезонина к существующему дому Архитектора Титулярного Советника Л. П. Бильфельда на собственной земле в Х уч. на Кирочной улице под № 6, ск.სს. ფონდი 192 8ა, ნიგნი №768

shape on the intersection of Leonidze and Sulkhan Saba Orbeliani Streets. The façades were erected on a tall rusticated socle and articulated with the even rhythm of coupled Ionic pilasters and rectangular openings, and terminated in a plain parapet and a cartouche highlighting the centre of the street façade. The house had a broad wooden balcony on the side of the courtyard, which was enclosed from Orbeliani (formerly "Freilinsky" Street) Street by means of a low wall.

The house of the engineer F. Lehmkul stands at 10 Leonidze Street, in Sololaki. The two-storey edifice has undergone substantial alterations. The civil engineer, Ferdinand Lehmkul, adorned the façade of his building, designed in 1851, with an overhanging wooden balcony, fitting it with local architectural adornment. The building, containing a courtyard, is embraced by wooden balconies and straight and spiral staircases. The fact that after ten years of working on the design of his own house featuring local traditions, F. Lehmkul built a Magnetic-Meteorological Observatory in Tbilisi (1860-1861), is enough evidence to assume that he was an engineer of local origin, rather than invited from the Russian Empire or Europe.

For Erekle, the son of Alexander Batonishvili, A. Saltzman designed a house which can be identified with the building standing at the intersection of Kikodze and Lermontov streets, in Sololaki.


The building constructed in the late 1870s near the Kojori Gate, at the intersection of the old and new parts of the city, to accommodate the former Tbilisi Credit Society, offers an original combination of European architectural forms and local traditions. The building followed the line of the old wall, thus forming a round shape at the junction of Freedom Square and Leselidze Street. With its façade extending along the square, the structure largely determined



თბილისი. მარია ლემკულის საცხოვრებელი სახლი. ინჟ. ფ. ლემკული. 2001 წლის ფოტო
Maria Lehmkul's house, Tbilisi. Designed by F. Lehmkul. Photo 2001

ნაძერწი საჭეკი ქვები, მაღალი კრონშტაინები და რკინის აჟურული აივანი ცვლის. ორი განაპირა, იდენტური ფართო ღიობი სახლის პარადულ და ეზოში შესასვლელს შესატყვისება. სახლის მეზონინი გვიანი გადაკეთების შედეგია. ეზოსკენ სახლი დღეს დიდად სახეცვლილი ხის აივნებით არის მიმართული. აივანი სახლის ძირითად ნაწილს და მის ფლიგელს მიუყვება. განაშენიანების სიღრმეში გრძივად განვითარებული ეზოს ერთერთ ზღვარს შეუღლესავი ძველი აგურის იდეალური ნყოფის კედელი წარმოადგენს. ეს მეორე გილდიის ვაჭრის იოჰან (ივანე) მაიერის სახლის ზურგია.

იოჰან მაიერმა, რომელიც “თბილისის კოლონიაში” საკმაოდ ვრცელ ტერიტორიას ფლობდა, ლ.ბილფელდს რამდენიმე ნაგებობის მშენებლობა დაუკვეთა.⁵¹ მისი კუთვნილი ფართობი დაახლოებით დღევანდელი “ვარდების” ბაღის შესასვლელის გარდვიგარდმო არსებულ ნაკვეთს მოიცავს. ი.მაიერის სახლთაგან ერთი უშუალოდ ესაზღვრება გირცელის ზემოხსენებულ სახლს (დავით აღმაშენებლის პროსპ. №75). ორსართულიანი ფასადის არქიტექტურული მორთულობა კლასიციზტურ ტრადიციას ემხრობა (აღსანიშნავია მეორე სართულის ღიობთა საპირეების, საჭეკი ქვებისა და სამკუთხა ფრონტონის ერთიან კომპოზიციაში მოქცევა და პროექტის მიხედვით უზუსტესად განხორციელება). მაიერისვე კარმიდამოს ნაწილია სახლის სიახლოვეს 1881 წელს აგებული ერთსართულიანი სწორკუთხა ფართო ღიობებიანი კლასიციზტური ნაგებობა (დავით აღმაშენებლის პროსპ. №73). ბილფელდის მიერ იოჰან მაიერისთვის კიდევ ერთი აგებული კლასიციზტური ყაიდის რკალურფრონტონიანი სახლი უშუალოდ ესაზღვრებოდა №75 სახლს. 1892 წელს აშენებული, ეზოს სიღრმეში მდებარე, ორსართულად განლაგებული ხის ღია აივნებითა და ეზოს ფასადის შუაწელზე რკალური ფრონტონით დასრულებული რიზალიტით ეზოსკენ მიპყრობილი სახლი დრომ ვერ შემოგვინახა.



იოჰან მაიერის სახლის ფასადის პროექტი.
არქიტექტორი ლ. ბილფელდი, 1887
Façade of the house of Johann Mayer.
Designed by L. Bielfeld. 1887

⁵¹ სკსსა, ფონდი 192 8ა, ნიგნი №№ 3362, 2110, 843, 670

თბილისი. დავით აღმაშენებლის პროსპექტი
№ 75. საცხოვრებელი სახლი. არქიტექტორი
ლ. ბილფელდი. 2006 წლის ფოტო
Residential House at 75 Davit Aghmashenebeli
Avenue, Tbilisi, Designed by L. Bielfeld, Photo
2006



the scale of the surrounding urban area. The façade, adorned with Ionic and Corinthian pilasters, arches, rectangular openings, profiled frames, keystones, bands and plastered corbels alternated with a balconied façade looking out onto the courtyard.

The residential houses, designed by Leopold Bielfeld, were built chiefly in Tiflissier Kolonie. Many of them still survive in Davit Aghmashenebeli Avenue and its adjacent quarters. Each of these buildings demonstrates a harmonious combination of European architectural styles and Tbilisian-type of architecture.

The single-storey house of the Titular Councillor L. Bielfeld stood in 'Kirochnaya' (from the German word Kirche) Street, what is now Marjanishvili Street. In 1881, he asked permission for adding a mezzanine to his dwelling. The plainly adorned façade is furnished with Tbilisian balconies looking out onto the courtyard.

The building, known as Girtzel's house, erected at 77 Davit Aghashenebeli Avenue in 1876, is the earliest work of L. Bielfeld. It offers a mixture of Classical and Baroque styles: the plainly rusticated wall on the ground-floor level alternates with the lateral sides adorned with coupled Corinthian pilasters, plastered keystones, tall corbels and wrought-iron balcony on the first floor. Two identical, broad lateral openings are suited to be the main entrance and the entrance to the courtyard. The mezzanine bears traces of later alterations. The balconies, with which the house faces the courtyard, are also substantially altered. One of the balconies encloses the main part of the building and its extension. The courtyard, located at quite a distance from the



თბილისი. სლივიცკის საცხოვრებელი სახლი.
არქიტექტორი ლ. ბილფელდი, 2001 წლის
ფოტო
Slivitsky's house, Tbilisi. Designed by L. Bielfeld.
Photo 2001

სლივიცკის სახლი დავით აღმაშენებლისა და ჭოროხის ქუჩის გადაკვეთაზე (დავით აღმაშენებლის პროსპ. №46) ლეოპოლდ ბილფელდმა 1879 წელს ააგო. ფასადთა მკაცრი, მონუმენტური იერი, განაპირა რუსტირებული ფართო პილასტრებით, უჩვეულოდ მაღალი კრონშტაინებით და მძიმე ანტაბლემენტით, დიდად განსხვავდება და უპირისპირდება ეზო-ბაღის მხარეს მიმართული ორსართულიან, შუაში მომრგვალებულ ჭვირულმოაჯირიან, ხის ელევანტურ-სვეტებიან აივნისანი ფასადისაგან. ეზო-ბაღი ჭოროხის ქუჩისაგან ძველი, კვადრატული აგურის ოდესლაც შეუღესავი, დაბალი ზღუდით არის გამიჯნული. სახლისა და ეზოს აღწერილი კომპოზიცია თბილისური ტრადიციული ეზოს ერთ-ერთ სახეობად, გახსნილი ტიპის ეზოდ უნდა მივიჩნიოთ. აღსანიშნავია პარადული შესასვლელის მარმარილოს კიბეები და ინტერიერის მორთულობის არაერთი საგულისხმო დეტალი. ძველი აგურით მკვიდრად ნაშენი სახლი განაშენიანების სიღრმისკენ ტრადიციისამებრ შეუღესავი აგურის ყრუ კედლით არის მიქცეული.


ბილფელდის მრავალრიცხოვან სახლთაგან ყურადღებას იპყრობს ზემოთ ნახსენები იაკობ ფრიდრიხ ვეტცელის ორსართულიანი სახლი.⁵² 1882 წელს აშენებული სახლის ფასადი, რომლის არქიტექტურული მორთულობა აერთიანებს კლასიციტურ და ბაროკულ ფორმებს და ეხმიანება მაიერის სახლისას, გრძივად მიუყვება დღევანდელ პასტერის ქუჩას (პასტერის ქ. №4). აღწერილი ფასადის მეორე სართულის რკინის აივნებს ეზოს მხარეს მიმართული ხის აივნები ეხმიანება. საფიქრებელია, რომ იაკობ ვეტცელსავე ან მის შემკვიდრებს ეკუთვნოდა ბილფელდის აშენებული ზემოთ ნახსენები “ვეტცელის” სასტუმრო, რომელიც თეატრთან ერთად ჭვირულაივნებიან ვიწრო ეზოს შეიცავდა. “ვეტცელის” სასტუმროცა და ვეტცელის სახლი 1911 წელს ქართველ ქველმოქმედსა და მეცენატს ნოე სიხარულიძეს შეუძენია.

⁵² სკსსა, ფონდი 192 8ა, ნიგნი № 280

street, is enclosed by ideally arranged plain brick courses. This is a rear part of the house of the merchant of the second guild, Johann Mayer.

Johann Mayer, who owned a large plot of land in Tiflisser Kolonie, commissioned several buildings to L. Bielfeld. The site coincides with the surroundings of the entrance of the present-day Rose Gardens. One of the houses of Johann Mayer adjoins the above-mentioned Girtzel's house at 75 Davit Aghmashenebeli Avenue. The architectural adornment of the two-storey façade follows the Classical tradition: the frames of openings on the first-floor level, keystones and a triangular pediment make up a complete composition and are notable for their fine execution. Johann Mayer had another house built in 1881, in the vicinity of the aforementioned dwelling. This was a single-storey Classical building with broad rectangular openings. He also owned a Classical house erected by Bielfeld next to number 75. This building, set back from the street, provided with open wooden balconies along two floors and a projection topped with a curved pediment in the middle of the elevation, has not survived.

Slivitsky's house at the intersection of Davit Aghmashenebeli Avenue and Tchorokhi Street (46 Davit Aghmashebeli Avenue) was erected in 1879 to the design of L. Bielfeld. The austere, monumental appearance of the façades, with rusticated pilasters on the lateral sides, unusually tall corbels and heavy entablatures creates a sharp relief against the courtyard side façade furnished with wooden fret-worked balconies with elegant pillars. The balcony forms a projection with rounded corners in the centre of the façade. From Tchorokhi Street, the courtyard-garden is marked by a low, once plain brick and now



იაკობ ფრიდრიხ ვეტცელის სახლის ფასადის პროექტი. არქიტექტორი ლ. ბილფელდი, 1882
Design of the façade of the house of Jacob Friedrich Wetzel, by L. Bielfeld. 1882

ლ. ბილფელდს აუშენებია “თბილისის კოლონიაში” ფახვერკული კონსტრუქციის აივნისანი სახლი ქრისტიანა ბარტისთვის (დღეს არ არსებობს), 1892 წლის ეზო-აივნისანი სახლი თბილისელი მოქალაქის კარლ კუგლერისათვის, 1913 წლის სახლი ემილ აუფერმანისთვის, შეუდგენია დიდი მთავრის (დიმიტრი უზნაძის) ქუჩაზე ო. ზემელის სახლის გადაკეთების პროექტი 1910 წელს და სხვა.^{53,54}

არქიტექტორ პაულ შტერნის მიერ აშენებული საცხოვრებელი სახლები, უპირატესად “თბილისის კოლონიაში” იყო კონცენტრირებული.

ორსართულიანი აგურის სახლის პროექტი პოლკოვნიკ აკვიზისათვის პ.შტერნმა 1882 წელს შეადგინა.⁵⁵ ნაგებობა დღესაც დგას დავით აღმაშენებლის პროსპ. №81-ში. პროექტის შედარება აშენებულ სახლთან მონშობს, რომ პაულ შტერნს ნაგებობის არქიტექტურული მორთულობა (თაღოვან ღიობთა რუსტირებული საპირეები, განაპირა რიზალიტის დეკორატიული ფრიზი, რკინის ჭიშკრის და შესასვლელის პარადული ხის კარისა და მისი ფრამუგის კომპოზიციები, შეკიდული რკინის აივნის აყურული მოაჯირი და კონსოლები და სხვა) დეტალურად დაუმუშავებია




თბილისი. დავით აღმაშენებლის პროსპექტი № 81. რკინის ჭიშკარი. არქიტექტორი პ. შტერნი. 2006 წლის ფოტო
Iron Gate at 81 Davit Agmashenebeli Avenue, Tbilisi. Designed by P. Stern. Photo 2006

⁵³ სკსსა, ფონდი 92 8ა, №№ 2431, 5628, 9349

⁵⁴ ემილ აუფერმანის სახლი, მიხეილისა და კირკის ქუჩების გადაკვეთაზე მდებარე ეკლესიის კუთვნილ შენობას ემიჯნებოდა, ჩვენი აზრით. ლბილფელდის მიერ აშენებულ ეკლესიის კუთვნილ შენობაში, კი სასოფლო-სამეურნეო მანქანებით მოვაჭრე ემილ აუფერმანს მაღაზია ჰქონია მონყობილი. შეადარე: გ.მანჯგალაძე, გერმანელი კოლონისტები ამიერკავკასიაში, გვ.115

⁵⁵ სსკსსა, ფონდი 192 8ა, ნივნი № 280

პოლკოვნიკ აქციზის სახლის ფასადის
პროექტი. არქიტექტორი პ.შტერნი, 1882
Design of the façade of Colonel Aktsiz's house,
by P. Stern. 1882



plastered enclosure. Due to its composition, the courtyard can be considered to be of the open type, which was traditional of Tbilisi architecture. The marble stairs in the main entrance and interior details are noteworthy. This firmly built brick house faces the buildings with its blind brick wall.

One of the finest works of L. Bielfeld's, is a two-storey house built in 1882 for the merchant of the second guild, Jacob Friedrich Wetzel, at 4 Pasteur Street. The façade, featuring a combination of Classical and Baroque elements and echoing Mayer's house, extends along the present Pasteur Street.

თბილისი. დავით აღმაშენებლის პროსპექტი
№ 81. საცხოვრებელი სახლი.
არქიტექტორი პ. შტერნი. 2006 წლის ფოტო
Residential house at 81 Davit Agmashenebeli
Avenue, Tbilisi. Designed by P. Stern. Photo 2006





თბილისი. არქიტექტორ პაულ შტერნის
საკუთარი სახლი. არქიტექტორი პ. შტერნი,
2000 წლის ფოტო
P. Stern's house, Tbilisi. Designed by P. Stern,
Photo 2000

და სახლიც ზედმინვენით ზუსტად აუშენებია. ნაგებობა ხის ღია აივნებით (დღეს შუშაბანდებით) არის მიმართული ოდინდელი ეზო-ბაღისკენ. აღწერილი ნაგებობა ვიქტორ შრეტერის მოწვევით 1870-იანი წლების მიწურულს სახაზინო თეატრის მშენებლობის მოსამზადებელი სამუშაოების ჩასატარებლად მოწვეული არქიტექტორ პ. შტერნის პირველი დამოუკიდებელი ობიექტი უნდა იყოს.

პ. შტერნის 1893 წელს აშენებული საკუთარი სახლი დავით აღმაშენებლის პროსპექტის და ივ.კრილოვის ქუჩის გადაკვეთიაზე მდებარეობს და თითქმის სახეუცვლელია. ნაგებობა მაღალი მხატვრული და მკვეთრი ურბანული ღირებულებით გამოირჩევა. მის სახეს ისლამური და ევროპული ელემენტების ერთობლიობა ქმნის — პირველი სართულის ფართო სწორკუთხა ღიობები, მეორე სართულის ნალისებური და ისრული მოყვანილობის ფანჯრები, მათში ჩასმული სოლომონის ბეჭდის გამოსახულებებით, პროფილირებული სარტყლები. ნაგებობას მიმდებარე განაშენიანებაში ხის უჩვეულოდ მაღალი ლუნეტებიანი პარაპეტი გამოარჩევს. შენობის თავისებურებას პირველი სართულის სადად რუსტირებული კედლების დახრილი სიბრტყეებიც წარმოადგენს. მსგავსად თბილისში მოღვანე სხვა ევროპელი არქიტექტორებისა, შტერნიც კლასიკურად დამუშავებულ ფასადს ეზოს მხრიდან ხის ჭვირულ აივნებს თუ ჭვირულმოაჯირიან კიბეებს უსადაგებს.

სივრცითი ორგანიზაციის თბილისურ ტრადიციას მისდევს შტერნისეული დავით აღმაშენებლის პროსპექტის №117-ში მდებარე საცხოვრებელი სახლიც (1894წ.). კვარტალის სიღრმეში განვითარებულ ეზოს სივრცეს სახლი ხის ჭვირულმოაჯირიანი აივნებითა და სახლის განაპირა ფლიგელებში დატანებული კიბეებით უყურებს. პროსპექტის მხარეს მდებარე ფასადის არქიტექტურულ მორთულობას ევროპული არქიტექტურის საერთო რეპერტუარიდან ამოკრეფილი ელემენტები შეადგენს. ორსართულიანი შემოსავლიანი სახლის დეკორიდან ყურადღებას იპყრობს ბრტყელ რიზალიტთა ანტაბლემენტების ქვეშ მოქცეული ნაძერწი ფრთოსანი მერკურის იონიურ კაპიტელიანი ოთხგზის განმეორებული

The façade is accentuated by a multitude of mouldings. Its iron balconies on the first-floor level alternate with wooden balconies furnishing the elevation facing the courtyard. Presumably, Jacob Wetzel's heirs were the owners of the aforementioned Wetzel's hotel, containing a theatre and a narrow courtyard with ornamented balconies, also designed by L. Bielfeld. In 1911, both buildings were acquired by the Georgian philanthropist Noe Sikharulidze.

L. Bielfeld designed a two-storey, fachwerk house in Tiflisser Kolonie for Christiana Bart, which has not been preserved. In 1892, he also built a house with a balcony and a courtyard for the citizen of Tbilisi Karl Kugler, and in 1913, for Emil Auferman. In 1910, he created designs for the alteration of a house in Didi Mtavari, the present Uznadze Street for O.Semmel, a brother of the chemist and pharmacist, Eugene Semmel.

The residential houses, designed by Paul Stern, were concentrated in Tiflisser Kolonie.

P. Stern made a design of a two-storey house of brickwork for Colonel Aktsiz in 1882. The building can still be seen standing at 81 Davit Aghmashenebeli Avenue. The comparison of the design with the house shows that Stern had precisely worked out the architectural adornment and constructed the building strictly following the design by retaining the rusticated frames of the basket-arched windows on the ground-floor level and narrow semicircular windows on the first-floor level, the decorated frieze of the side projection and the compositions of the iron gate and of the wooden entrance door, lacy railing and corbels of the suspended iron balcony, etc. The structure has wooden balconies facing the courtyard. The building must have been the first independent work of P. Stern, invited by V. Shröter for the supervision of the construction of the Treasury Theatre.

The private house of Stern, standing at the intersection of Davit Aghmashebeli Avenue and Krilov Street, survives almost unchanged. The building is noteworthy for its artistic and urban merit. It is characterised by a combination of Islamic and European elements



თბილისი. ბაქოს ქ. №2. საცხოვრებელი სახლი.
არქიტ. პ. შტერნი, 2000 წლის ფოტო
Residential house at 2 Baku Street, Tbilisi.
Designed by P. Stern. Photo 2000

კომპოზიცია. ფასადის ტექნიკური შესრულების თვალსაზრისით კი ვფიქრობ საყურადღებოა მთავარი პარადული შესასვლელის მომნიშვნელი ღარებიანი განაპირა კოლონებისათვის ხის ერთიანი, ზემოდან დაძერწილი ღეროს გამოყენება, რაც XIX საუკუნის მეორე ნახევრის თბილისის აღმშენებლობაში რამდენადმე განცალკევებულად დგას.

თბილისურ ტრადიციას ემხრობა შტერნის მიერ აშენებული საცხოვრებელი სახლი დავით აღმაშენებლისა და ბაქოს ქუჩის გადაკვეთაზე (ბაქოს ქ.№2, 1893 წ.). აქ პაულ შტერნი მხატვრულ სხვა ხერხს მიმართავს. შეუღესავი აგურის დეკორატიული ნიჟის კარნიზებით, სარტყლებით, მძიმე ანტაბლემენტით, ღიობთა საპირეებით, ფასადის განაპირა პირველ სართულზე რკინის ჩაშენებული, მეორეზე, კი რკინის აჟურულმოაჯირიანი, ელვგანტურსვეტებიანი შეკიდული აივანით — ფასადთა ერთიან სახეს ქმნის. ეზოს მხარეს დიდად სახეცვლილი ხის აივნები და შუშაბანდები შემორჩენილი.

პაულ შტერნის ცნობილი სახლი ი.კარგარეთელის (ყოფილი ბაღის) ქუჩაზე, რომელიც ხუროთმოძღვარს ემილია ფრანცის ასულ ტიტელის კუთვნილ მიწაზე აუშენებია, სცილდება თბილისურ ტრადიციას. სასახლის ტიპის ნაგებობის ცალკეული ნაწილების განსხვავებული სართულიანობა და განსხვავებული გადახურვა, კიდურა კომპურა ქონგურებიანი მოცულობა, ძირითადი ნაწილის ტეხილი კარნიზი, ერთსართულიანი მოცულობის ღია ტერასა და ნაგებობის კონტურს გამცდარი მორკალული ქვისმოაჯირიანი კიბე, მთელი კომპოზიციის გამაერთიანებელი და მაორგანიზირებელი შუა კომპურა შვერილის აზიდული ციცაბო სახურავი -



თბილისი. კალა. ხის კიბე. უცნობი არქიტექტორი. 1996 წლის ფოტო
Wooden staircase, Kala, Tbilisi.
Anonymous designer. Photo 1996



თბილისი. არქიტექტორ პაულ შტერნის საკუთარი სახლი. ხის კიბე. არქიტექტორი პ. შტერნი, 2000 წლის ფოტო
P. Stern's house. Wooden staircase. Designed by P. Stern.
Photo 2000

of architectural adornment, such as wide rectangular openings on the ground floor and horseshoe-shaped and pointed windows on the first-floor level with Solomon's sign inserted in them and profiled bands. The house is distinguished by an unusually tall parapet with lunettes and with the sloping planes of the rusticated walls. Like other European architects working in Tbilisi, P. Stern furnished European façades with balconies.

P. Stern employed local traditions for the design of a residential house at 2 Baku Street, at the intersection of Davit Aghmashebeli Avenue and Baku Street. The unplastered brick façades are adorned with cornices and a heavy entablature with bands and frames of openings. The lateral side of the main façade is furnished with a built-in, iron balcony on the ground-floor level and wrought-iron balcony on the first-floor level. The house faces the courtyard with balconies which survive in a much altered shape.

Stern is also responsible for a renowned house in Kargareli Street (formerly Baghi Street), which was built on the plot of Emilia Franz Titel. The house shows a deviation from the local tradition. The asymmetrical shape and unusual skyline of the building is due to the varied number of floors and different types of roofing, as well as to lateral compartments with merlons, a concave cornice on the main part, an open terrace of a single-storey structure and a staircase with a curved stone banisters, an elevated roof terminating the projection of the middle turret and thus uniting the entire composition. The

თბილისი.
არქიტექტორ
პაულ შტერნის
საკუთარი
სახლი. ეზოს
ფასადის
ფრაგმენტი,
არქიტ. პ.
შტერნი, 2000
წლის ფოტო
P. Stern's
house, Tbilisi.
Fragment of
the courtyard
façade.
Designed by P.
Stern. Photo
2000





თბილისი. საცხოვრებელი სახლის ფასადის
ფრაგმენტი. არქიტექტორი პ. შტერნი.
2006 წლის ფოტო
Residential house, Tbilisi. Fragment of the
façade. Designed by P. Stern. Photo 2006

მთელის მკვეთრად ასიმეტრიულ სახეს ქმნის და ნაგებობის უჩვეულო სილუეტს განაპირობებს. მთავარ ფასადზე თავმოყრილი — შეისრული და ლანცეტოვანი თალები, ფრამუგებში ჩასმული თუ უბრალოდ ნაძერწი ვარდულები, პროფილირებულარშიიანი ტონდოები, მოაჯირის წვრილ სვეტებს დაყრდნობილი სამყურათალიანი ნახატი, მთავარი შესასვლელის განაპირა პილასტრთა ნაძერწი კაპიტელები — გუთური სტილიზაციის უჩვეულო და საინტერესო ნიმუშს ქმნის. დღეს ეს შენობა კინოს, თეატრის და მუსიკის მუზეუმს უჭირავს.



თბილისი. საცხოვრებელი სახლის ფასადის
ფრაგმენტი — პილასტრის ბაზისი და პლინტი
არქიტექტორი პ. შტერნი. 2006 წლის ფოტო
Fragment of the façade of a residential house in
Tbilisi. Base and plinth of a pilaster. Designed by
P. Stern. Photo 2006



თბილისი. საცხოვრებელი სახლის ფასადის
ფრაგმენტი — კაპიტელი ჰერმესის თავის
გამოსახულებით. არქიტექტორი პ. შტერნი.
2006 წლის ფოტო

*Fragment of the façade of a residential house in
Tbilisi Capital-like head of Hermes. Designed by
P. Stern. Photo 2006*

façade, accentuated by pointed and lancet arches, rosettes, roundels with frames, a three-foil arch pattern and plastered capitals on pilasters adorning the lateral sides of the entrance, is an interesting example of Gothic stylisation. At present, the building accommodates the Museum of Cinema, Theatre and Music.

Of note is a large tenement house built in 1897 by P. Stern for the first guild merchant from Baku at the intersection of Chavchavadze and Griboedov Street.



თბილისი. საცხოვრებელი სახლის ფასადის
ფრაგმენტი — კაპიტელი. არქიტექტორი
პ. შტერნი. 2006 წლის ფოტო

*Fragment of the façade of a residential house in
Tbilisi. Capital. Designed by P. Stern. Photo 2006*



თბილისი. სახლი ემილია ტიტელის მიწაზე.
არქიტ. პაულ შტერნი, 2001 წლის ფოტო
House on Emilia Titel's plot, Tbilisi. Designed by
P. Stern. Photo 2001

და ბოლოს, პ. შტერნის თბილისში აშენებულ ნაგებობათაგან უნდა მოვიხსენიოთ პირველი გილდიის ბაქოელი ვაჭრის გრ. არაფელოვის დიდი შემოსავლიანი სახლი (1897წ.) ალექსანდრე ჭავჭავაძისა და გრიბოდოვის ქუჩათა გადაკვეთაზე. რუსთაველის პროსპექტსა და გრიბოდოვის ქუჩას შორის მოქცეულ დამრეც ფერდზე მდებარე დიდი ეზოს სივრცისკენ სამსართულად განლაგებული ხის აივნებით მიმართული ნაგებობის ფასადები სართულშუა გადახურვის პროფილირებული და ნაძერწი სარტყლებით, სადა კარნიზით, მონოტონურად განლაგებულ ლიობთა დეკორატიული საპირეებითა და საჭეკი ქვებით, რკინის აყურულმოაჯირიანი აივნებით არის მორთული. ორი ფასადის მნიშვნელოვან მახვილს პარადული შესასვლელის ხის მდიდრულად მოხარატებული, აყურულგისოსიანი კარი და მაღალ ცოკოლში გაჭრილი ეზოს ჭიშკარი წარმოადგენს.

სტილისტურად მნავალფეროვან, ტიპოლოგიურად თბილისურ და შემოქმედებითად თვითმყოფად სურათს გვიხატავს ხუროთმოძღვარ ალექსანდრე შიმკევიჩის მიერ აშენებული საცხოვრებელი სახლები თბილისში.

ალ. შიმკევიჩს საკუთარი სახლი სოლოლაკში, 1888 წელს მაშინდელი გუდოვიჩის, დღევანდელი დანიელ ჭონქაძის ქუჩაზე აუშენებია (ჭონქაძის ქ.№8). დ. ჭონქაძისა და გერგეთის ქუჩებს შორის მოქცეული კვარტლის ვიწრო ნაწილში აგებული სახლი უეზოოა. ქუჩის სწვრივად განვითარებული სახლის ფასადის არქიტექტურული მორთულობა ევროპულ ტრადიციას მისდევს. აღსანიშნავია სადარბაზოს ხის კიბის მოაჯირის ნახატი, რომელიც ანალოგიას სხვა თბილისურ მოაჯირებთან არ პოულობს.

The residential houses, designed by Aleksander Szymkiewicz, are characterised by stylistic diversity and artistic individuality. Typologically, they belong to the Tbilisian type of dwellings.

The private house of the architect A. Szymkiewicz in former Gudovitch Street, now 8 Chonkadze Street, dating from 1888, stands in a narrow district between Chonkadze and Gergeti Streets and has no courtyard. The architectural adornment of the façade follows European traditions. Noteworthy is a highly original entrance hall with wooden staircase and fret-work banister. The house at 6 Ingoroqva Street is characterised by a combination of European façades and wooden overhanging glazed balconies, remarkable for late mushrabeyeh work. The top lit entrance hall is distinguished for its architectural plastering.

The house, built by A. Szymkiewicz in 1885 for Ekaterina Rotinova, the wife of the Tbilisi merchant of the first guild, Ivan Rotinov, creates a sharp relief against the above described houses, but at the same time reveals an affinity with them in terms of space arrangement. This three-storey building at 19 Uznadze Street, in former Sanapiro Street, shows kinship with the aforementioned private houses of Paul Stern at 128 Davit Aghmashenebeli Avenue and of the Russian architect Korneli Tatischev at 18 Asatiani Street. Three of them are notable samples of Islamic stylization. The façade of Rotinov's house, overlooking the river, is characterised by a harmonious mixture of elements of Islamic (horseshoe and pointed openings, stalactite niches and capitals, and a stucco frieze) and European (rusticated wall, pilasters flanking pediments, and tondos with profiled framings) architecture. To the side of the courtyard, located at quite a distance from the street, the house has large wooden balconies. The façade of elegant proportions, the



თბილისი. გრიბოედოვის ქ. №19, იუსტიციის
მინისტრო. არქიტექტორი პ. სტერნი. 2006
ლის ფოტო
Ministry of Justice of Georgia at 19 Griboyedov
Street, Tbilisi. Designed by P.Stern. Photo 2006

არქიტექტურული აღნაგობისა და სივრცითი ორგანიზაციის თბილისურ ტრადიციას ემხრობა პავლე ინგოროყვას ქუჩის №8-ში მდებარე შიმკევიჩისეული ორსართულიანი გახსნილებოიანი საცხოვრებელი სახლი. ფრონტონიანი, რუსტირებულპილასტრებიანი, განაპირა რიზალიტებითა და კორინთული პილასტრების მწკრივით დანაწევრებული, ნაძერწი სახეებით მორთული ფასადის გაგრძელებას ბრტყელთაღიანი რუსტირებული ზღუდე წარმოადგენს, რომელიც აივნებიან ეზოში შესასვლელს მონიშნავს.⁵⁶ ამ სახლის ხის აივნებს მკაფიო გეომეტრიული ნახატის მუშარაბი გამოარჩევს. ხუროთმოძღვრული ძეგლის თვალსაზრისით გამორჩეულია სადარბაზოს მორთულობაც. დამახასიათებელია გასაქირავებლად განკუთვნილი სახლის კორიდორულ-ანფილადური გეგმარება.

⁵⁶ აღნიშნული ზღუდე აღარ არსებობს. ივი, ალ. შიმკევიჩის სახლის მომოჯნავე, მანსარდიანი სახლის მშენებლობისას (XIX-XX სს. მიჯნა) უნდა დანგრეულიყო.

თბილისი. დ. ჭონქაძის ქ. №8. ა. შიმკევიჩის საკუთარი სახლი. სადარბაზო. არქიტექტორი ა. შიმკევიჩი. 2006 წლის ფოტო
A. Szymkiewicz's house at 8 Chonkadze Street, Tbilisi. Entrance hall, staircase. Designed by A. Szymkiewicz. Photo 2006

თბილისი. პ. ინგოროყვას ქ. №8. საცხოვრებელი სახლი. სადარბაზო. არქიტექტორი ა. შიმკევიჩი. 2006 წლის ფოტო
Residential house at 8 Ingoroqva Street, Tbilisi. Entrance hall, staircase. Designed by A. Szymkiewicz. Photo 2006



masterfully executed plasterwork in the interior, the wrought-iron railings of the staircase in the entrance, and the perfect brickwork attest to the involvement of Tbilisi master masons in the construction of the building.

The private house of Andreoletti, built by A. Szymkiewicz at 79 Davit Aghmashenebeli Avenue, in 1901, is a result of the partnership between the designer and the founder of a marble and mosaic workshop in Tbilisi, A. Andreoletti. The façade of this three-storey building, distinguished for its perfect masonry, stylistically follows Renaissance and Baroque traditions. With its proportions and composition, it also reminds of some of the Venetian façades of the Renaissance period. Among the elements of the façade adornment (profiled framing of openings, segmental pediments of windows with cartouches, keystones, Ionic pilasters of flanking pediments, stone-carved frieze, etc) noteworthy is the keystone with the head of Bacchus and the Latin initials of the house owner inscribed on the cartouche atop the large entrance leading to the courtyard. Two stone corbels, supporting a French balcony, are attractive and unusual at the same time. The shapes of the volute-like moulded supports are inspired by medieval Georgian architectural adornment.



თბილისი. პ. ინგოროყვას ქ. №8. საცხოვრებელი სახლი. სადარბაზო.
არქიტექტორი ა. შიმიკევიჩი. 2006 წლის ფოტო
Residential house at 8 Ingoroqva Street, Tbilisi. Entrance hall, staircase.
Designed by A. Szymkiewicz, Photo 2006




თბილისი, დ. უზნაძის ქ. №19. საცხოვრებელი სახლი. არქიტექტორი ა. შიმკვეიჩი. 2001 წლის ფოტო
Residential house at 19 Uznadze Street, Tbilisi.
Designed by A. Szymkiewicz. Photo 2001

სტილისტურად განსხვავებულ, ოლონდ სივრცითი ორგანიზაციის თვალსაზრისით მსგავს სურათს წარმოგვიდგენს ალექსანდრე შიმკვეიჩის მიერ 1885 წელს შედგენილი პროექტის მიხედვით, თბილისელი პირველი გილდიის ვაჭრის ივანე როტინოვის მეუღლის, ეკატერინესათვის აშენებული სამსართულიანი სახლი ყოფილი სანაპიროს ქუჩაზე (დიმიტრი უზნაძის ქ. №19). მსგავსად პ. შტერნის ზემოთხსენებული საკუთარი სახლისა და თბილისში მოღვაწე რუსი ხუროთმოძღვრის კორნელი ტატიშჩევის საკუთარი სახლისა (ლალო ასათიანის ქ. №18), შიმკვეიჩის შენობაც ისლამური სტილიზაციის ერთ-ერთი მხატვრულად გამორჩეულ ნიმუშია თბილისში. მთავარი ფასადით - ისლამური არქიტექტურის ელემენტები აქ (ნალისებური და ისრული მოყვანილობის ღიობები, სტალაქტიდური ნიშები და კაპიტელები, სტუკოიანი ფრიზი) ევროპულს (კედლის რუსტირებული სიბრტყე, რიზალიტთა განაპირა პილასტრები, ტონდოები)- ეთვისება, - მტკვარს გადაჰყურებს. კვარტალის სიღრმეში მდებარე ეზოსკენ, სადაც ზ. და ნ. ქურდიანების შესახვევიდან შევდივართ, ნაგებობა ხის აივნებით არის მიქცეული. აღსანიშნავია აივნის ხის დეტალების, ეზოსპირა კედლის ღიობთა საპირეების, ფანჯრების ხის ალათების, ინტერიერის მორთულობის მრავალი დეტალის სპეციფიკური დამუშავება, კედელთა ძველი აგურის ნყობა, ხუროთმოძღვართან ერთად თბილისელ ოსტატებსაც უნდა მივაკუთვნოთ. ეკატერინე როტინოვის კუთვნილი სახლი დიდწილად განსაზღვრავს თბილისის ამ ურბანული მონაკვეთის მაღალ მხატვრულ - არქიტექტურულ ხარისხს.

ხუროთმოძღვარ შიმკვეიჩისა და თბილისში დაფუძნებული მარმარილოსა და მოზაიკური სამუშაოების სახელოსნოს ფუძემდებლის,

ეკატერინე როტინოვას შემოსავლიანი
სახლის ფასადის პროექტი სანაპიროს ქუჩაზე.
არქიტექტორი ა. შიმკევიჩი. 1884
*Design of the façade of Ekaterina Rotinova's
tenement house in Sanapiro Street, by
A. Szymkiewicz. 1884*



The large house at 20 Chitaia Street with its elevated proportions highlights the surrounding built up area. The longitudinally extended building forms a corner at the junction of Chitaia and Kldiashvili Streets. The façade, dominated by Baroque and Mannerist elements, facing the intersection of the two streets has a main entrance provided with a staircase with wrought-iron railings. It marks the large courtyard enclosed with fret-worked balconies. According to oral tradition preserved by the dwellers of the house, the centre of the courtyard had a fountain.

The Georgian manufacturer and patron of the arts, Davit Sarajishvili, in 1902 invited professor of architecture from Berlin Karl Tsaar to build him a house at 13 Machabeli Street. Karl Tsaar was an expert on Georgian architecture, who produced designs for the interior of the darbazi of Prince Porakishvili, which was the only old Georgian dwelling of this type still preserved at that time, as well as several drawings for Telavi Batonis Tsikhe. The two-storey building with a high mansard, erected between 1903 and 1905, is faced with artificial stone. The house shows a combination of elements of the styles of Art Nouveau (wavy cornices culminating projections, symbolic images, wooden mullions of openings, iron balconies of undulating shape and the entrance door pattern) and Rococo (a mansard, oval lunette, shells, etc). The house faces with its wooden balconies the courtyard-garden, located at quite a distance from the street. The balcony with its unusual details, such as corbels with lion heads, baluster, etc. was made by the artisan, Ilia Mamatsashvili. The Art Nouveau adornment, added to the interior in the library and lobby, also attributed to I. Mamatsashvili, complies with the Rococo and Baroque design of other halls. In 1919, D. Sarajishvili's house was bought by another manufacturer and



თბილისი, დავით აღმაშენებლის პროსპექტი
№ 79, ყოფ. ანდრეოლეტის სახლი
(აგროინვესტბანკი). ფასადი. არქიტექტორი
ა. შიმკევიჩი. 2006 წლის ფოტო
Andreoletti's House at 79 Davit Agmashenebeli
Avenue, Tbilisi. Façade. Designed by A.
Szymkiewicz. Photo 2006

იტალიელი ა. ანდრეოლეტის თანამშრომლობის შედეგია ანდრეოლეტის სახლის სახელით ცნობილი შენობა დავით აღმაშენებლის პროსპექტზე (№79). ანდრეოლეტიმ სახლის მშენებლობა ალ. შიმკევიჩის 1901 წელს შეუკვეთა. სახლის ფასადი მიმდებარე განაშენიანებაში ტექნიკური შესრულების უმაღლესი ხარისხით გამოირჩევა. გარეგნული იერით შენობის ფასადი რენესანსულ-ბაროკულ ტრადიციას ემხრობა, მეტიც, იგი თითქოს მთელი რიგი ვენეციური სასახლეების კომპოზიციას იმეორებს. პირველი სართულის ხელოვნური მარმარილოთი მოპირკეთებულ რუსტირებულ სიბრტყეს, რომლის ცენტრალური ნაწილი სამ სწორკუთხა ფართო და განაპირა პარადულსა და ეზოში შესასვლელ ღიობებს უჭირავს, მეორე სართულის ხუროთმოძღვრული ლესვითა და ქვის კვეთით შექმნილი ფორმები ამკობს - სწორკუთხა ღიობთა პროფილირებული მოჩარჩოება, კარტუშიანი რკალური ფრონტონები, საჭექი ქვები, რიზალიტთა გამომყოფი იონიურკაპიტელებიანი პილასტრები, მაღალი კრონშტაინები და ნაკვეთი ორნამენტული ფრიზი და სხვა. ფასადის მორთულობის დეტალებიდან აღსანიშნავია ქვაში ნაკვეთი საჭექი ქვა ბახუსის თავის გამოსახულებით და კარტუშში ჩაქსოვილი ანდრეოლეტის ლათინური ინიციალი. განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს აგრეთვე ეზოში შესასვლელის თავზე, ქვისმოაჯირიანი აივნის კონსოლები, რომელთა, ნაკვეთი ფორმებიც ძველი ქართული ხუროთმოძღვრული დეკორის საგანძურითარისმთავონებული. ამრიგადკი, ეს შენობა ძველი ქართული ხუროთმოძღვრული დეკორის გამოყენების ქრონოლოგიურად მესამე მაგალითია, ა. ზალცმანის ხსენებული შემოსავლიანი სახლის (1883 წ.), ქალაქის სათათბიროს შენობის დარბაზის მორთულობის შემდეგ (არქიტ. ალექსანდრე ოზეროვი, 1886 წ.).

⁵⁷ სკსსა, ფონდი 192 8ა, ნიგნი №№ 8580, 8579

თბილისი. დავით აღმაშენებლის პროსპექტი
 № 79, ყოფ. ანდრეოლეტის სახლი
 (ავროინვესტბანკი). ფასადის ფრაგმენტი.
 არქიტექტორი ა. შიმკევიჩი. 2006 წლის ფოტო
 Andreoletti's House at 79 Davit Agmashenebeli
 Avenue, Tbilisi. Fragment of the façade.
 Designed by A. Szymkiewicz. Photo 2006



famous patron of the arts, Akaki Khoshtaria. In 1921, the building housed the central Committee of the Union of Artists and now houses the Union of Writers.

Johann Ditsmann, the builder of Russian-style churches in Tbilisi, also erected several dwellings in the early 20th century. While most of the houses are designed in Art Nouveau style, there is one inspired by the Russian style. All of his houses are provided with overhanging, wooden balconies facing the courtyard. A house designed for the clergymen of the Cathedral of Alexander Nevsky of the Caucasian Army is one of the most notable buildings interesting for its stylistic characteristics and space arrangement. This house, erected in

თბილისი. დავით აღმაშენებლის პროსპექტი
 № 79, ყოფ. ანდრეოლეტის სახლი
 (ავროინვესტბანკი). ფასადის ფრაგმენტი.
 კონსოლი. არქიტექტორი ა. შიმკევიჩი. 2006
 წლის ფოტო
 Andreoletti's House at 79 Davit Agmashenebeli
 Avenue, Tbilisi. Fragment of the façade. Corbel.
 Designed by A. Szymkiewicz.
 Photo 2006





თბილისი. შემოსავლიანი სახლი. არქიტექტორი
ა. როგოისკი, 2006 წლის ფოტო
Tenement House, Tbilisi. Designed by A. Rogojski.
Photo 2006

სამწუხაროდ, 1995-1997 წლებში ჩატარებულ რეკონსტრუქციის დროს მოირღვა ანდრეოლეტის სახლის ეზოს ხის ჭვირულმოაჯირიანი ფასადი.

ინჟინერ-მშენებელი იოსებ რუკსი, ამიერკავკასიის რკინიგზის ერთ-ერთი კონსტრუქტორი თბილისში დიდი მთავრის ქუჩაზე ცხოვრობდა. საქართველოს ცენტრალურ სახელმწიფო საისტორიო არქივში (სცსსა) ინახება ი. რუქსის ორი პროექტი,⁵⁷ რომელთაგან ერთი ბაროკულ სტილიზაციას წარმოგვიდგენს და ეზოს მხრიდან ხის აივნებს შეიცავს. ეს ი. რუქსის საკუთარი სახლის პროექტია. ორივე ნაგებობა დავით აღმაშენებლის პროსპექტის იმ მონაკვეთის სიახლოვეს უნდა ყოფილიყო, სადაც მას დაბაშიძის ქუჩა ჰკვეთს. თბილისის კოლონიის მკვიდრი რუკსი ახალ სახლს 1909 წელს კვლავ გერმანელთა უბანში იგებს.

ყოფილი საბჭოს ქუჩის მიმდებარე განაშენიანებაში მსხვილი მაშსტაბითა და აზიდული პროპორციით გამოირჩევა დიდი შემოსავლიანი სახლი (გ. ჩიტაიას ქ. №20). ქუჩის მიმართ გრძივად განვითარებული ნაგებობა კუთხეს ქმნის გ. ჩიტაიასა და დ. კლდიაშვილის ქუჩათა გადაკვეთასთან და ნიბოს ფასადით არის მისკენ მიმართული. სწორედ აქედან არის მოწყობილი შემოსავლიანი სახლის მთავარი შესასვლელი, სხვა შესასვლელთაგან პომპეზურობით განსხვავებული, ზედა განათების მქონე, გეგმით წრიული სადარბაზოთი, რომელსაც სამ სართულად მარმარილოსაფეხურებიანი, რკინის აყურულ-მოაჯირიანი კიბე მიუყვება. ბაქანთა მოპირკეთება ჭადრაკულია. გარედან ბაროკულ-მანიერისტული ფასადი (ფასადის რუსტირებული სიბრტყე, ლიობთა რკალური, ვოლუტებიანი თავსართები, საჭეჭ ქვებში ჩასმული მძივ-




ფორაქიშვილების დარბაზი ისანში.
 კარლ ცაარის ნახატი. 1902
 The Porakishvili's darbazi. Drawing by Karl Tsaar.
 1902

1911, can be identified with a building of red brickwork at 11 Zandukeli Street. The house was built with overhanging iron and built-in balconies based on a triangular plan, which was atypical of Tbilisi architecture of that time and characterised exquisitely Ditsmann's style. The design of this house is kept in the private archives of the civil engineer J. Ditsmann. Another design, drawn up for a building to be erected in the same area, also features Art Nouveau



თბილისი, ი. მაჩაბლის ქ. №13.
 საქართველოს მწერალთა კავშირის
 შენობა. ფასადი. არქიტექტორი კ.
 ცაარი. 2002 წლის ფოტო
 The Union of the Writers of Georgia
 at 13 Machabeli Street, Tbilisi.
 Facade. Photo 2002

თბილისი, ი. მაჩაბლის ქ. №13.
 საქართველოს მწერალთა
 კავშირის შენობა. ეზოს ფასადი.
 არქიტექტორი კ. ცაარი.
 2002 წლის ფოტო
 The Union of the Writers of
 Georgia at 13 Machabeli Street,
 Tbilisi. Elevation facing the
 courtyard. Photo 2002





თბილისი. საცხოვრებელი სახლი, საერთო ხედი. არქიტექტორი ი. დიტმანი, 2006 წლის ფოტო
Residential house, Tbilisi. General view.
Designed by J. Ditsmann. Photo 2006

შემოვლებული ნიჟარები, წვრილი თაღებისაგან შემდგარი ფრიზი, შროშანებისა და დისკოებისაგან შემდგარი წნულები) განაშენიანების სიღრმისკენ მიქცეულ, აივნებშემორტყმული ეზოს ვეებერთელა სივრცეს ფარგლავს. აივანთა მოაჯირი ჭვირულია, ხის სვეტები ოთხკუთხა და წიბოებჩამოთლილი. ინტერკოლუმნიუმის ზედა ნაწილიც ჭვირული “ფარდებითა” და ხის ძელაკების ჯვარედინი წყობის ნახატით არის შევსებული. ამ სახლის მკვიდრნი იხსენებენ ოდესღაც ეზო-ბაღის ცენტრში მდებარე შადრევანს პროფილირებულ სალტეში მოქცეული აუზით.

აღწერილი სახლი ზემოთ მრავალგზის ხსენებულ, ცნობილ პოლონელ არქიტექტორს ალექსანდრე როგოისკის პროექტით აშენდა. სახლი უთუოდ წინ უსწრებს ქრონოლოგიურად მისივე პროექტით თბილისში აგებულ მოდერნის სტილის საზოგადოებრივ შენობებს.

ქართველმა მენარმემ და მეცენატმა დავით სარაჯიშვილმა სოლოლაკში (ივანე მაჩაბლის ქ. №13) საკუთარი სახლის ასაშენებლად ბერლინელი არქიტექტორი, თბილისის და საქართველოს ძეგლების დოკუმენტური სიზუსტით შესრულებული ნახატების (თბილისში ფორაქიშვილის დარბაზის დაღუპული ინტერიერი (1902), თელავის ბატონის ციხის რამდენიმე ხედი და სხვა) ავტორი კარლ ცაარი მოიწვია.⁵⁸ 1903-1905 წლებში აშენებული, მაღალი მანსარდით დახურული, ორსართულიანი შენობა ხელოვნური ქვით არის მოპირკეთებული და სტილისტური თვალსაზრისით ითავსებს როგორც მოდერნის სტილის

⁵⁸ *გიორგი მარჯანიშვილი, Из истории здания союза писателей, Научно-технический отчет отдела памятников при Управлении учета исследования памятников и музеев за 1983 год, Тбилиси, 1984, გვ. 125-136*

თბილისი. საცხოვრებელი სახლი, ეზოს ფასადის ფრაგმენტი.
 არქიტექტორი ი. დიცმანი, 2006 წლის ფოტო
 Residential house, Tbilisi. Fragment of the elevation facing the
 courtyard. Designed by J. Ditsmann. Photo 2006




style and dates from 1910. It is most likely that this project was rejected by the clergy of the Cathedral of Alexander Nevsky, due to which the architect had to create another design in the style of the Cathedral. He created a talented version of the style, reminding one of Russian stylization.


The private archives of J. Ditsmann preserves other noteworthy designs of houses in Art Nouveau Style e.g. the 1913 dwelling in former Anastasya, now 21 Giorgi Akhvlediani Street.

J. Ditsmann was also responsible for a tenement house in 10 Krilov Street designed in Art Nouveau. The architectural adornment of the façade is characterised by contrasting features as was typical of this style, namely: the roughly rusticated surface of the socle and the smooth surface faced of artificial stone, the fragments of green-glazed tiles, the plastered corbels on stone balconies, the symbolic female heads - all forming a harmonious image of the façade. The interior decoration, such as wrought-iron railings of a mosaic

წმ. ალექსანდრე ნეველის ტაძრის (სობორო) მღვდელ-
 მსახურთა სახლი, გენგემა, არქიტ. ი. დიცმანი, 1910
 House for the clergymen of the Cathedral of Alexander Nevsky
 of the Caucasian Army. Designed by J. Ditsmann. 1910

თბილისი. საცხოვრებელი სახლი, აივანი.
 არქიტექტორი ი. დიცმანი, 2006 წლის ფოტო
 Balcony of a residential house, Tbilisi.
 Designed by I. Ditsman. Photo 2006





ეკატერინე პროკოპენკოს შემოსავლიანი სახლის პროექტი ანასტასიას ქუჩაზე (ვიორგო ახვლედიანის ქუჩა №21). არქიტექტორი ი. დიცმანი. 1913 წლის ფოტო
Ekaterine Prokopenko's tenement house in Anastasiya Street (present-day 21 Akhvediani Street), Tbilisi. Designed by J. Ditsmann. 1913

(რიზალიტა დამასრულებელი ტალღოვანი კარნიზები, სიმბოლური სახეები, ღიობთა ხის ალათები, რკინის აივნებისა და შესასვლელი კარის ნახატის დენადი ფორმები), ისე ბაროკოსა და როკოკოს (მანსარდი, დანოლილი ოვალური ლუნეტი, ნიჟარები, სიუხვის რქები, და სხვა) ელემენტებს. ეზო-ბალისკენ, რომელიც განაშენიანების სიღრმეშია მოქცეული, სარაჯიშვილის სახლი ხის ღია აივნებით არის მიმართული. მათი უჩვეულო ფორმები (ლომისთავიანი კონსოლები, მოაჯირი და სხვა) ხითხურობის ოსტატის ილია მამაცაშვილის (1878-1966) შესრულებულია. აღსანიშნავია, რომ ი. მამაცაშვილის ნახელავია ინტერიერის მოდერნის სტილის მორთულობაც⁵⁹ (ბიბლიოთეკა, ფოიე, ღიობთა ალათები, კარი და სხვ.), რომელიც დანარჩენ დარბაზთა როკოკოსა და ბაროკოს ფორმებს ესადაგება.

1919 წელს სარაჯიშვილების კუთვნილი სახლი ცნობილ ქართველ კაპიტალისტს აკაკი ხოშტარიას შეუძენია. 1921 წელს აქ ხელოვანთა კავშირის მთავარი კომიტეტი განთავსდა, დღეს კი ის, საქართველოს მწერალთა კავშირის სამყოფელია.

იოჰან დიცმანს, “რუსული სტილის” ეკლესიების აღმშენებელს, თბილისში არაერთი საცხოვრებელი დაუპროექტებია. მისი პროექტების უმრავლესობა მოდერნის სტილისაა, თუმცა რამდენიმე “რუსული სტილის” გავლენას განიცდის. ი. დიცმანის ყველა სახლი ეზოს მხარეს ხისაივნია.


სტილისტური და სივრცის ორგანიზაციის თვალსაზრისით განსაკუთრებით საინტერესოა ნმ. ალექსანდრე ნეველის ტაძრის

⁵⁹ არჩილ სტეფანიშვილი, დავით სარაჯიშვილი, თბილისი, 1988, გვ. 29-30

V


შარლოტა ფრანცის ასულ გაიკაზოვას
საკუთარი სახლი ტერ-გუკასოვის ქუჩაზე
(კ. მაყაშვილის ქ. № 10). არქიტექტორი
ი. დიტმანი. 1913

Charlotte Gaikazova's house in Ter-Gukasov
Street (present-day 10 Makhashvili Street).
Designed by J. Ditsmann. 1913




staircase, ceiling paintings, and a wooden door, also follows Art Nouveau. The house looks out onto the courtyard with its wooden, now glazed balcony.

J. Ditsmann was an architect of a tiny house of slender proportions at 10 Maqashvili Street, in which the renowned Georgian writer Grigol Robakidze lived for some time. The architecture of the house combines elements of Classicistic, pseudo Fachwerk and Art Nouveau styles. The building can be considered to be a reflection of European Neo-Romanticism in Tbilisi.



ფასადი. ესკიზი. არქიტექტორი
ი. დიტმანი.
Sketch of a façade, by J. Ditsmann.

(სობორო) მღვდელმსახურთა სახლი, რომელიც მან 1911 წელს ააშენა ისმაილისა და ევგენის ქუჩათა გადაკვეთაზე. ეს ადგილი ემთხვევა დღევანდელი მ. ზანდუკელის ქუჩისა და დ. თორაძის ჩიხის გადაკვეთაზე არსებულ შეუღლესავი აგურის შენობას (მ. ზანდუკელის ქ. №11). აღსანიშნავია, ამ სახლის რკინისმოჯირიანი, გეგმით სამკუთხა აივნები, რომლებიც შენობის კონტურს არ სცდება და “ჩამენებულია”. მათ ანალოგია თბილისურ აივნებს შორის არ მოეპოვებათ. ი. დიცმანის არქივში ამავე ადგილას გათვალისწინებული სხვა, მოდერნის ყადის პროექტიც ინახება, რომელიც ქრონოლოგიურად წინ უსწრებს რუსული სტილის სახლს (1910 წლის 18 მაისი). საფიქრებელია, რომ მოდერნის სტილით გატაცებული დიცმანის პროექტი ეკლესიის თავ-



შემოსავლიანი სახლის ფასადის ესკიზი.
არქიტექტორი ი. დიცმანი
Sketch of a façade of a tenement house,
by J. Ditsmann

კაცებმა არ მიიღეს და დიცმანმა სობოროს არქიტექტურას სტილი შეძლებისდაგვარად მიუსადაგა.

ი. დიცმანის არქივში ინახება მოდერნის სტილის სხვა სახლების პროექტებიც. აღსანიშნავია, ეკატერინე პროკოპენკოს შემოსავლიანი სახლის პროექტი ანასტასიას ქუჩაზე (1913 წ.). ეს გიორგი ახვლედიანის ქუჩის №21-ში მდებარე ტერაზიტით მოპირკეთებული ნაგებობაა. აქვე ინახება სამშობიარო სახლის ფასადისა და კობის ქუჩის ერთ-ერთი სახლის გეგმა.

ი. დიცმანს შეუდგენია ი. კრილოვის ქუჩაზე მდებარე მოდერნის სტილის შემოსავლიანი სახლის პროექტიც (სახლი № 10).⁶⁰ სახლის ფასადის არქიტექტურული მორთულობა მოდერნის სტილისთვის

⁶⁰ ი. გრიშაშვილის სახ. თბილისის ისტორიის მუზეუმის (“ქარვასლა”) ფონდი, № დ-449



თბილისი. ი. კრილოვის ქ. № 10. საცხოვრებელი სახლი. ფასადის ფრაგმენტი. არქიტექტორი ი. დიტმანი. 2006 წლის ფოტო
Residential house at 10 Krilov Street. Fragment of a facade. Designed by J. Ditsmann. Photo 2006

Melik Azarjants' large tenement house at 37 Rustaveli Avenue is a splendid example of Tbilisian Art Nouveau. It was built to the design of the Polish architect from Saint Petersburg, Mikołaj Oboloński, during 1912-1915. This is the only building built by the architect in Tbilisi. Oboloński, who worked in Tbilisi just before the Russian October Revolution of 1917, submitted his design to the competition, dedicated to the building of the Georgian Bank, held in 1913 and won second prize.



თბილისი. ი. კრილოვის ქ. № 10. საცხოვრებელი სახლი. სადარბაზო. არქიტექტორი ი. დიტმანი. 2006 წლის ფოტო
Residential house at 10 Krilov Street, Tbilisi. Entrance hall. Designed by J. Ditsmann. Photo 2006

დამახასიათებელ ფაქტურულ კონტრასტს ეფუძნება — მიმედ რუსტირებული ცოკოლი, ტერაზიტით მოპირკეთებული ფასადის გლუვი სიბრტყე, მწვანე მოჭიქული ფილები, ქვის აივანთა დენადი კონსოლები და ქალის თავის სიმბოლური სახეები ერთიან მხატვრულ მთელად იკვრება. ინტერიერის მორთულობის მრავალი დეტალიც მოდერნის სტილისაა — სადარბაზოს რკინის მოაჯირი და მოხატულობა, ხის კარისა და ცხაურის დენადი ნახატი და სხვა. ეზოსკენ ნაგებობა, თბილისური ტრადიციისამებრ, ხის აივნებით არის ორიენტირებული.

დიცმანის პროექტით აშენდა სახლი კ. მაყაშვილის ქუჩის №10-ში. ეს ის სახლია, რომელშიც ერთხანს გრიგოლ რობაქიძე ცხოვრობდა.⁶¹ სახლის გარეგნულ სახეს სხვადასხვა ეპოქის სტილების ერთობლიობა ქმნის - ფსევდო ფახვერკი, კლასიციზმი, მოდერნი. წმინდა დავითის მთის მისადგომების დამრეც რელიეფზე აშენებული მოხდენილი ნაგებობა ევროპული ნეორომანტიზმის გამოხმაურებაა თბილისში.

მელიკ აზარიანცის დიდი შემოსავლიანი სახლი (შოთა რუსთაველის პროსპექტი №37) თბილისური მოდერნის სტილის ერთ-ერთი გამორჩეული ძეგლია. იგი 1912-1915 წლებში აშენდა პოლონელი ნარმოშობის პეტერბურგელი არქიტექტორის ნიკოლოზ ადრიანეს ძე ობოლონსკის პროექტის მიხედვით. ეს ნ.ობოლონსკის ერთადერთი განხორციელებული ნაგებობაა თბილისში, თუმცა 1913 წელს მან მონაწილეობა მიიღო ცნობილ კონკურსში სათავადაზნაურო საადგილმამულო ბანკის შენობის ასაშენებლად და მისმა პროექტმა მეორე პრემია დაიმსახურა.

მელიკ აზარიანცის მსხვილმასშტაბიანი ნაგებობის მხატვრულ-არქიტექტურული სახე Art Nouveau-ს სტილისთვის დამახასიათებელ ფაქტურულ კონტრასტს ეფუძნება. მაღალ, მიმედ რუსტირებულ პირველ სართულს ფართო სწორკუთხა და თაღოვანი ვიტრინებით, თლილი ქვით მოპირკეთებული რიზალიტებით, ნახნაგოვანი და სეგმენტური ერკერებით და არაერთგვაროვანი ღიობებით დანაწევრებული მეორე და მესამე სართულები ენაცვლება. მოდერნის სტილზე მიგვანიშნებს აგრეთვე ქვის კვეთით გამოყვანილი გირლანდების, წნულების, სარკმელთა თავსართების დენადი ნახატი თუ ერკერთა, ა.ო.ნოვაკის სკულპტურულ-დეკორატიულ სახელოსნოში შესრულებული სიმბოლური ფიგურული რელიეფი.⁶² აღსანიშნავია, რომ ჩეხი ნოვაკი და მისი ორი შვილი ფრანცი და იოსები ასრულებდნენ სხვადასხვა სახის სკულპტურულ, ალუბასტრით ლესვის, დეკორატიული მოხატვის და სხვა სამუშაოებს. მელიკ აზარიანცის სახლის ზედა კონტური შენობის ნაწილთა განსხვავებული სართულიანობით, სწორხაზოვანი და რკალური კარნიზების მონაცვლეობით და რუსთაველის პროსპექ-


⁶¹ იქვე, Проект дома- особняка Шарлоты Францевны Мелик-Гайказовой на собственном уч. земли в 1м уч. Гор. Тифлиса на углу Тер-Гукасовской ул. и проектированного тупика под № 10, № 3849

⁶² Карло Моретти, 50 лет на стройках Грузии, გვ. 16



თბილისი. მელიკ აზარიანცის შემოსავლიანი სახლი. არქიტ. ნ. ობოლონსკი, 2006 წლის ფოტო
Melik Azarjants' tenement house, Tbilisi.
Designed by M. Oboloński, Photo 2006

The artistic appearance of Melik Azarjants' large house is enhanced by the use of contrasting materials, typical of Art Nouveau. The heavily rusticated ground floor with wide, glazed openings and semicircular portals is sharply distinguished against the smooth masonry of the first- and second-floor levels furnished with pediments, segmental and faceted bay windows and different types of openings. The stone carved garlands, window elements and compositions featuring huge, mystical figures on the railings of the bay window point to the Art Nouveau style. These furnishings were created in the workshop run by A. Nowak, where two of his sons – Franc and Joseph – worked creating plastered and alabaster ornaments and painting for the façades and interiors of the early 20th century buildings.



თბილისი. მელიკ აზარიანცის შემოსავლიანი სახლი. არქიტ. ნ. ობოლონსკი, სიმბოლური ფიგურები, ა.ო. ნოვაკის ხუროთმოძღვრული ძეგლების სახელოსნო, 2006 წლის ფოტო
Melik Azarjants' tenement house, Tbilisi.
Designed by M. Oboloński. Symbolic images made at A.O. Nowak's sculpturing and plastering workshop. Photo 2006

ტისა და მიხეილ ჯავახიშვილის დაღმართის მომრგვალების დამასრულებელი ორი მცირე გუმბათით არის შექმნილი.

აღწერილი ნაგებობის უკანა მხარე, თბილისური ტრადიციისამებრ აივანიანია, ხის აივნების ნახატი კი შესაძლოა მოდერნის სტილს დაუუკავშიროთ. ძველი ქალაქიდან მოშორებით, ახალი ქალაქის განაპირას, მოსკოვის ძველ საბაჟოსთან მდგომი მელიქ აზარიანცის დიდი რკინა-ბეტონის კონსტრუქციის სახლის არქიტექტურაც საუკუნეების სიღრმიდან მომდინარე თბილისის სივრცითი ორგანიზაციის ტრადიციის უწყვეტობაზე მიგვითითებს.

თბილისში მოღვაწე ევროპელი არქიტექტორებისა და ინჟინრების მიერ შექმნილი პროექტები გრაფიკული შესრულების დონით ერთმანეთისაგან განსხვავდება. პროექტების უმრავლესობა, გარდა მალალი პროფესიონალიზმისა, გრაფიკის მალალი ხარისხითაც გამოირჩევა. ნახაზები შესრულებულია სახატავ, არაგლუვ (ხშირად ტილოზე დაკრულ) ქალღღზე, ზოგჯერ კალკაზე, ტუშით, ან ნყალში გახსნილი ტუშით და დაფერილია აკვარელით. აღსანიშნავია, რომ ზოგჯერ გეგმები და ჭრილები აკვარელით ზურგის მხრიდან იფერებოდა და მხოლოდ შემდეგ ეკრობოდა ტილოს თხელ ქსოვილზე. ეს, კი პროექტის მთელი სიმკვეთრით გრაფიკული აღქმის საშუალებას იძლეოდა და ამავე დროს, სინათლეზე გახედვისას, კონსტრუქციულ ნახაზს ავლენდა. იშვიათია ფანქრით შესრულებული პროექტები - მათ განსაკუთრებული სინატიფე გამოარჩევთ.

ევროპელთა მიერ შემოტანილი კლასიკური არქიტექტურული ფორმები, ნებისმიერი ინტერპრეტაციით, თბილისისათვის ახლობელი და ორგანული ხდება. თბილისი ირგებს ევროპულ არქიტექტურულ ენას, ლექსიკონს და, ამავე დროს, თავის ბეჭედს ასვამს ზემოთნახსენებ სტილებსდამთლიანადსახლისსტრუქტურას. ესტრადიციაკი თბილისის ბუნებრივი პირობებით ნაკარნახევი სივრცითი ორგანიზაციის თავისებურებაა.

სიმონსონის, ზალცმანის, ბილფელდის, შიმკევიჩის, შტერნის, ლემკულის, დიცმანის, ობოლონსკის და სხვათა მიერ უცხო ქვეყნის ტრადიციების ღრმა წვდომა, და ქალაქის სპეციფიკისადმი სათუთი დამოკიდებულება მათ მალალ პროფესიონალიზმზე მიგვითითებს. ესაა, რაც ასეთ მომხიბვლელობას ანიჭებს თბილისის ისტორიულ ქსოვილში შემონახული, ნარმოშობით ევროპელი ხუროთმოძღვრების მიერ აშენებული ძველთბილისური საცხოვრებელი სახლის არაერთ გადარჩენილ ნიმუშს.

The skyline of Melik Azarjants' building seems uneven due to the varied number of storeys in different parts of this huge building, segmental and rectangular cornices, and two small domes terminating the round angle of the building facing the intersection of Rustaveli Avenue and Javakhishvili Rise.

The rear side of the building has a traditional balcony, the fret-work pattern of which can be related to Art Nouveau. The architecture of the Melik Azarjants house, erected at a quite distance from the old town, near the old customs house of Moscow, is one of the houses providing the centuries-old tradition of space arrangement of the old Tbilisi dwelling.

The designs, created by the European architects and engineers working in Tbilisi, vary in terms of graphical rendering. Most of them, apart from professionalism, reveal a high level of draftsmanship. The majority of drawings are executed in ink, on drawing or tracing paper attached to canvas. Some of them are made in water-colour. The few pencil drawings that survive are the finest of all.

The classical architectural forms imported by European architects with various interpretations were accepted very naturally in Georgia. Tbilisi adopted European architectural vocabulary and at the same time, thanks to its uninterrupted building tradition, left its own mark on the aforementioned styles and house designs. The tradition was revealed in the space arrangement dictated by natural settings.

The deep understanding of the traditions of a foreign country and a careful approach to the city points to the high level of professionalism of Albert Salzman, Leopold Bielfeld, Otto Jacob Simonson, Paul Stern, Aleksander Szymkiewicz, Mikołaj Oboloński, Johann Ditsmann and many others. This is what distinguishes numerous residential houses designed by Europeans, which still survive in old Tbilisi.

ევროპელ არქიტექტორთა მიერ საქართველოში აშენებული შენობები

თბილისის არქიტექტურაში ევროპელთა ღვაწლზე საუბრისას გვერდს ვერ ავუვლით ევროპელ ხუროთმოძღვართა საქმიანობას საქართველოს სხვადასხვა რეგიონებში. ამჯერადაც ევროპელ ხუროთმოძღვართა სამშენებლო საქმიანობა საზოგადოებრივი მნიშვნელობის, რუსეთის იმპერიის თავკაცების თაოსნობით ხორციელდება.

მდინარე ოძრხის ვიწრო ხეობაში მდებარე კურორტ აბასთუმნის მშენებლობა რამდენიმე უცხოელ მოღვაწის სახელს უკავშირდება. აბასთუმნის სამკურნალო წყლების შესწავლა ჯერ კიდევ XIX საუკუნის დასაწყისიდან დაიწყო. 1869 წელს კი დიდი მთავრის მიხეილ რომანოვის მოწვევით აბასთუმნის მინერალური წყლების უფროსად მთავარი სამხედრო-სამედიცინო ინსპექტორი, საიმპერატორო კარის საპატიო ლეიტ-მედიკოსი, სახელმწიფო მრჩეველი, ნმ. ალექსანდრე ნეველის ვერცხლის ორდენის კავალერი, წარმოშობით გერმანელი, ადოლფ ალექსანდრეს ძე რემერტი (1835-1902 წწ.) დაინიშნა.⁶³ დიდი საინჟინრო-სამშენებლო ნიჭით დაჯილდოვებული ადოლფ რემერტის სახელს უკავშირებს ტრადიცია აბასთუმნის გენერალური გეგმის შედგენას, მდ. ოძრხის ჯებირების, ხიდების მშენებლობას და პარკების გაშენებას, აბასთუმნის ევროპული ყაიდის კურორტად გადაქცევას. აბასთუმნის ტოპონიმიკაში დღემდე ცოცხლობს დასახელებები - Реммертовский

⁶³ ცნობები ა. რემერტის მოღვაწეობის შესახებ მომანოდა კურორტ აბასთუმნის მკვიდრმა თინათინ დემეტრაძე-ნათელაშვილმა



აბასთუმანი. ნმ. ალექსანდრე ნეველის (ახალი ზარზმის) ეკლესია. არქიტექტორი ო. სიმონსონი, 2006 წლის ფოტო
Church of St Alexander Nevsky (Axali Zarzma), Abastumani. Designed by O. Simonson.
Photo 2006


BUILDINGS DESIGNED BY EUROPEAN ARCHITECTS IN GEORGIA

The activity of European architects in Georgia was not limited to Tbilisi. Therefore, it is important to note some of the buildings designed by them in various parts of Georgia.

The projects, fulfilled by the European architects outside Tbilisi, were also connected with public figures and royalty of the Russian Empire.

The Abastumani resort became the subject of interest back in the early 19th century. The transformation of the site into a European-type resort was largely due to the doctor at the court of the Empire, honorary lieutenant Adolph Remmert (1835-1902), German by origin. The latter was in 1869 invited by Grand Duke Mikhail Romanov to serve as Chief Military-Medical Inspector of the Abastumani Mineral Waters. It was A. Remmert who drew up a master plan for Abastumani, and designed embankments and bridges for the Odzrkhe River, as well as parks. A park near the house of the Grand Duke in Borjomi also bears his name. Remmert, together with the doctor Ilia Gopadze, later director of the Abastumani Mineral Waters, converted Abastumani into a resort for consumptive patients. He was buried near a site where a Catholic church, built on his initiative, stood.

Alexander Nevski Church with a bell-tower, in the very heart of Abastumani, was financed by Prince Giorgi Romanov, brother of Russian Tsar Nikolay II and built by O. Simonson from 1895 till 1898. The architect designed the building



აბასთუმანი. მარჯვნივ - წმ. ალექსანდრე
ნეველის (ახალი ზარზმის) ეკლესია.
არქიტექტორი ო. სიმონსონი, XIX საუკუნის
მინორული ფოტო
On the right, Church of St Alexander Nevsky
(Axali Zarzma), Abastumani. Designed by O.
Simonson. Photo of the end of the 19th century

Парк, Реммертовский Водопад, Реммертовский Мост. რემერტის სახელს ატარებს ბორჯომში დიდი მთავრის სასახლის ტერიტორიის მიმდებარე პარკიც.⁶⁴ რემერტმა, 1898 წლიდან აბასთუმნის მინერალური წყლების დირექტორ, ექიმ ილია გოპაძესთან (1853-1932 წწ.) ერთად განახორციელა კურორტ აბასთუმნის ტუბრკულოზით დაავადებულთა სამკურნალო კურორტად გადაქცევა. ადოლფ რემერტი, მისი სურვილისამებრ, აბასთუმანში მისი თაოსნობით აშენებული დღეს განადგურებული კათოლიკური ეკლესიის სიახლოვეს არის დაკრძალული.

ნიკოლოზ მეორის უმცროსი ძმის, უფლისწულ გიორგი რომანოვის სახელს უკავშირდება აბასთუმნის მრავალი არქიტექტურული სიახლე.

გიორგი რომანოვის ხარჯით აშენდა აბასთუმნის წმ. ალექსანდრე ნეველის ეკლესია და სამრეკლო. დღეს ახალი ზარზმის ეკლესიის სახელით ცნობილი შენობა XIX საუკუნის მიწურულში, აბასთუმნის შუაგულში, მდინარე ოძრხის ნაპირას, ხუროთმოძღვარმა ოტო იაკობ სიმონსონმა ააშენა. შუასაუკუნეებრივი ქართული ხუროთმოძღვრების “კანონიკური” სახით ნაკარნახები წმ. ალექსანდრე ნეველის ეკლესია ჩახაზული ჯვრის ტიპის, მუქი და ღია ფერის ქვის ზოლებით მოპირკეთებული გუმბათოვანი ტაძარია. ეკლესიის ასაგებად ოტო სიმონსონს საგანგებო რკალური მოყვანილობის უბე ამოუღია და საყრდენი კედელი ამოუყვანია. კედელი ადგილობრივი თირი-ქვის ირეგულარული ქვის წყობისაა, რუსტირებული პილასტრებით დაყოფილი და მის წყობაში წრიული კვეთის სანიაღვრე ხვრელებია მონიშნული. რკალის შუაგულში მოქცეული ეკლესიის სამხრეთით მდებარე სამრეკლო საყრდენი კედლის კომპოზიციაშია ჩართული. სიმონსონისეული ანსამბლი კურორტ აბასთუმნის გამოკვეთილი დომინანტია.

ეკლესიის პროექტი, შესრულებული რუხ მუყაოზე, ხელმოწერული და დაუთარილებელია.⁶⁵ ვინრო მუყაოზე დახაზული წმ. ალექსანდრე ნეველის ეკლესიის გენგეგმა კი ხელმოწერილია სიმონსონის მიერ და 1895 წლით არის დათარილებული.⁶⁶ ოტო სიმონსონს შეუდგენია ეკლესიის კანკელის ესკიზის რამდენიმე ვარიანტი. კანკელის კომპოზიციური სქემა კლასიციზტური სტილისა და ძველი ქართული ხუროთმოძღვრული დეკორის სინთეზს ემყარება⁶⁷ - სადა კარნიზით დასრულებული კანკელის


⁶⁴ Григорий Москвич, Путеводитель по Кавказу, Издание XIX, С-Петербург, გვ. 253

⁶⁵ რუხ მუყაოზე, ფანქრითა და აკვარელით სიმონსონის მიერ შესრულებული პროექტი საქართველოს ეროვნული მუზეუმის იოსებ გრიშაშვილის სახ. თბილისის ისტორიის მუზეუმის (“ქარვასლა”) ფონდში ინახება, №ი-2056/62

⁶⁶ იქვე, №ი-2056 / 73

⁶⁷ კლასიციზმისა და ქართული ფორმების ერთობლიობას წარმოვიდგენს ო.სიმონსონის სხვა კანკელიც, რომელიც მან ეკატერინოდარის ტაძრისათვის შექმნა. მისი დედანიც საქართველოს ეროვნული მუზეუმის იოსებ გრიშაშვილის სახ. თბილისის ისტორიის მუზეუმის (“ქარვასლა”) ფონდში ინახება, №ი-250. სამი ნახევარწრიული თალი სამკუთხა ფრონტონებით დასრულებული ტროპიკონის ლილვებიან-ბურთულეზიან პილასტრებს ეყრდნობა. ოვალური მოყვანილობის ხუთი პროფილირებულიარშიანი ტონდო წმინდანთა გამოსახულებით კი ბაროკოს სტილის მაუნყებელია. სამთალოვანი კომპოზიცია ქართული ორნამენტით მორთული ნაკვეთი საპირით არის გამოთლიანებული. (შეადარე ალბერტ ზალცმანის საფლავის ქვის ზემომოხსენიებულ ფორმებს).


აბასთუმანი. წმ. ალექსანდრე ნეველის (აბალი
ზარზმის) ეკლესიის კანკელი ო. სიმონსონის
ესკიზი, 1897
Sketch of an altar screen for the Church of St
Alexander Nevsky in Abastumani,
by O. Simonson, 1897



in imitation of Georgian ecclesiastic architecture. This domed church is cross-in-square in plan. The stone masonry of the walls features horizontal strips of two colours. O. Simonson designed several versions of an altar screen made in 1897. In 1904, the church walls were adorned with paintings by the famous Russian painter, Mikhael Nesterov (1862-1942).

A large number of sketches, designs and drawings of various fragments of Romanov's Palace provide substantial evidence to attribute the once famous palace of Abastumani to O. Simonson. The building now serves as nunnery. The architecture of a spring on the premises of the nunnery reveals a hand of

ეკატერინოდარის ტაძრის კანკელის ესკიზი.
ო. სიმონსონი. 1864
Sketch of an altar screen for Ekaterinodar
Church, by O. Simonson, 1864



ხუთთაღიანი კომპოზიცია ლილვებიან-ბურთულებიან პილასტრებს ეყრდნობა და ნაკვეთი გირჩებით არის მორთული. თითოეული გირჩის შუა ნაწილში ჯვრებია გამოსახული. კანკელის შუა ღერძზე ლათინური ჯვარია აღმართული. კანკელის სქემატური ნახატი ოტო სიმონსონმა 1897 წელს შექმნა.⁶⁸ სხვადასხვა ფერის მარმარილოსაგან ნაშენი წმ. ალექსანდრე ნეველის კანკელი აღწერილი ნახატის იდენტურია.


შემორჩენილია აბასთუმნის ეკლესიის პორტიკის დეტალურად დამუშავებული პროექტიც, იკონოსტასის (კანკელის) ცალკეული დეტალების ნახატები (1896 წელი), უფლისწულ გიორგი ალექსანდრეს ძე რომანოვის საფლავის ზღუდის პროექტი (1898 წელი) და სხვა დეტალური ნახაზები. აბასთუმნის ტაძრის კარიბჭე (სამი მცირე გუმბათით) მრავალტრადიციათა კვალს ატარებს, თავის თავში კლასიციზმურ, ბიზანტიურ, და ძველ ქართულ ხუროთმოძღვრულ ფორმებს და ხერხებს ითავსებს. წმ. ალექსანდრე ნეველის აშენების თარიღი 1895-1898 წლებია. 1904 წელს ეკლესია ცნობილმა რუსმა მხატვარმა მიხეილ ნესტეროვმა (1862-1942) მოხატა. კედლის მოხატულობის სხვა სიუჟეტებთან ერთად აღსანიშნავია წმინდა ნინოს გამოსახულებაც. სიმონსონმა, როგორც კავკასიის საოლქო არქიტექტორმა კავკასიისათვის ეკლესიის რამდენიმე ტიპიც შეიმუშავა. 1862 წელს მან შეადგინა სამრეკლოს პროექტი მანგლისის ეკლესიისათვის. მასვე ეკუთვნის გუდამაყრის ჰოსპიტლის საყდრის პროექტიც. ო. სიმონსონმა საქართველოს სამხედრო გზისთვის საფოსტო ნაგებობის ტიპიც შეიმუშავა.

აბასთუმანი ოტო იაკობ სიმონსონის საქართველოში მოღვაწეობის ერთადერთი ასპარეზი როდია. თბილისში, იგი როგორც ჯერ მეფისნაცვალ ბარიატინსკის (1856-1861), შემდეგ კი დიდი მთავრის მიხეილ ნიკოლოზის ძე რომანოვის (1861-1882) დაახლოებული პირი და პირადი მრჩეველი, ალექსანდრეს ბალის პროექტს, 1858-1859 და 1865-1869 - წლებში კი მეფისნაცვლის სასახლის გადაკეთების პროექტს ახორციელებს. აბასთუმანში, წმ. ალექსანდრე ნეველის ეკლესიის გარდა, მან უფლისწულ გიორგი რომანოვის დაკვეთით სხვა ნაგებობებიც ააგო. “ქარვასლაში” დაცული, გიორგი რომანოვის სასახლის კომპლექსის მცირე ფორმათა სიმონსონისეული მრავალრიცხოვანი ესკიზები, პროექტები, ნახატები და ჩანახატები⁶⁹ უდაოს ხდის აბასთუმნის ოდესღაც სახელგანთქმული სასახლის მის მიერ აშენებას. დღეს აქ დედათა მონასტერია. მონასტრის ტერიტორიაზე ადვილი ამოსაცნობია სიმონსონისეული წყარო,⁷⁰ რომლის არქიტექტურასაც დიდი ოსტატის ხელი ატყვია.

⁶⁸ იოსებ გრიშაშვილის სახ. თბილისის ისტორიის მუზეუმის (“ქარვასლა”) ფონდი, № ი-2056

⁶⁹ იქვე, №№ ი-2056/6, ი-2056/8, ი-2056/13, 2056/44, ი-2056/45, ი-2056/58, ი-2056/56, ი-2056/67, ი-2056/61, ი-2056/55

⁷⁰ შდრ. იქვე, № ი-2056/68



შადრევნის პროექტი უფლისწულ გიორგი რომანოვის სასახლის პალისათვის აბასთუმანში. არქიტექტორი ო. სიმონსონი.
Design of a fountain for Prince Romanov's garden, Abastumani

the great architect. After the tragic death of G. Romanov, O. Simonson built a marble chapel here, which stood on the site until the 1960s. It is noteworthy that O. Simonson created model designs for ecclesiastic buildings and built several churches in the Caucasus.

The Likani Palace, located in the vicinity of Borjomi, was designed and constructed (1892-1895) by architects of European origin. The design was made by the well-known architect, Nikolai Benois (1813-1898), a brilliant representative of a celebrated family of Russian-born French artists, architects, and art historians. His name is associated with the first attempts of a Gothic Revival in the Russian Empire. The building work was supervised by Leopold Bielfeld, who settled in Tbilisi in 1868. The so-called Freilinski Dom near



აბასთუმანი. შადრევანი უფლისწულ გიორგი რომანოვის სასახლის ბაღში. არქიტექტორი ო. სიმონსონი. 2006 წლის ფოტო
Fountain in Prince Romanov's garden, Abastumani. Designed by O. Simonson. Photo 2006

გიორგი რომანოვის ტრაგიკული სიკვდილის შემდეგ, სიმონსონს აუშენებია ბრინჯაოს სახურავით დახურული, სხვადასხვა ფერის მარმარილოს ფილებით მოპირკეთებული საყდარი-ძეგლი,⁷¹ რომელმაც 1960-იან წლებამდე იარსება.

დიდი მთავრის ნიკოლოზ მიხეილის ძის ლიკანის სასახლეც ბორჯომის მახლობლად ევროპელი ნარმოშობის ხუროთმოძღვრების სახელებს უკავშირდება. სასახლის პროექტი 1892 წელს ფრანგული ნარმოშობის რუს მხატვართა, ხუროთმოძღვართა და ხელოვნებათმცოდნეთა ცნობილი გვარის, ბენუას შესანიშნავ ნარმომადგენელს, რუსეთის იმპერიის სახელმძღვანელო არქიტექტორს ნიკოლაი ბენუას (1813-1898) შეუდგენია,⁷² რომლის სახელსაც რუსეთის არქიტექტურის ისტორიაში უკავშირდება გუთური ფორმების აღორძინების პირველი ცდა. მშენებლობას კი 1868 წლიდან თბილისში დამკვიდრებული, მრავალგზის ხსენებული ლეოპოლდ ბილფელდი ხელმძღვანელობდა. ლ. ბილფელდის პროექტით იყო აშენებული ლიკანში ე.წ. ფრეილინსკი დომ, რომელიც აღარ არსებობს. ბილფელდის ესკიზებით შესრულებულა იტალიაში რამდენიმე მცირე ფორმა (სტელა თუჯის არნივის კომპოზიციით) ლიკანის პარკის მოსართავად.⁷³ მკვეთრად ასიმეტრიული კომპოზიციის მქონე ლიკანის რომანოვისეული სასახლე, რომელიც ოდესღაც განთქმული იყო მდიდარი ბიბლიოთეკითა და ფრანგული სკოლის ბატალური ტილოებით, რომანტიული მიმდინარეობის გამოძახილია არქიტექტურაში და დიდად ენათესავება ამავე პერიოდის რუსულ და ევროპულ სხვა სასახლეებს.

ბორჯომის, როგორც კურორტის მშენებლობა კავკასიაში რუსეთის მეფისნაცვლის მიხეილ ნიკოლოზის ძე რომანოვის სახელს (1861-1882) უკავშირდება. სწორედ ამ პერიოდში ხდება დაბა ბორჯომის დაგეგმარება, მისი ბუნებრივი ტყეების პარკებად გარდაქმნა და იგება ბორჯომში ევროპული არქიტექტურული იერის შენობები, რომელთაც სათავეში დიდი მთავრის დღემდე შემონახული სასახლე უდგას. ბორჯომის მშენებლობაც, ჩვენს ხელთ არსებული მასალის მიხედვით, რამდენიმე უცხოელ, კერძოდ კი თბილისში მოღვაწე გერმანელ არქიტექტორს უკავშირდება. საქართველოს ხელოვნების სახ. მუზეუმის ძველი ქართული ხელოვნების ხუროთმოძღვრული ძეგლების ნახაზებისა და ანაზომების ფონდში დაცულია სასახლის ფასადის ალბერტ ზალცმანის ხელმოწერილი ნახაზი. განხორციელდა თუ არა ზალცმანის სასახლის მშენებლობა ცნობილი არ არის, მაგრამ თბილისელი ხუროთმოძღვრის ბორჯომთან კავშირი ყურადსაღებია. აქვე უნდა მოვიხსენიოთ თელავის

⁷¹ Григорий Москвич, Путеводитель по Кавказу, Издание XIX, С-Петербург, გვ. 271

⁷² Григорий Москвич, Путеводитель по Кавказу, გვ. 255

⁷³ ინფორმაცია ლ. ბილფელდის მიერ ლიკანის სასახლის პარკის მცირე ფორმებისა და სხვა ნაგებობების მშენებლობის შესახებ მომართა ლ. ბილფელდის შვილთაშვილმა ჯანეტ ტაკანაევამ

the Palace, which does not survive, was erected following his design. The Romanov Palace in Likani, with its strongly asymmetrical skyline, stands close to the Revivalist traditions of Russian and European architecture of the same period. The building was once equipped with a unique library and a collection of battle scenes by French artists.

The development of Borjomi as a health resort is connected with the Grand Duke of Russia, Mikhail Romanov (1861-1882). The provincial centre or village of Borjomi, was planned. The local woods were designed as gardens and buildings of European type were built. The most remarkable of the buildings was the Duke's palace, which remains to the present day. According to archival materials, Albert Saltzman created several projects for Borjomi. The palace, with overhanging balconies, designed by him for Borjomi, remained unrealised. Paul Stern, another German architect of Tbilisi origin, was also invited to Borjomi to construct a Summer Theatre, the building of which does not survive.

Vladimir Simonson, son of the architect Otto Jacob Simonson, was born in 1864. After graduating the Tbilisi Secondary School, he received further training at Riga Polytechnic Institute and obtained the title of architect and engineer in 1900. He worked in Baku and Yerevan for some time. On December 21, 1902 Vladimir Simonson was appointed acting architect of the customs office and in February, 1902, district architect. In 1903, he became an engineer of Batumi district. In 1904, V. Simonson was granted the title of Titular Councillor. From November 1, 1902 till June 1, 1905 he led the construction work of the Cathedral of Alexander Nevsky in Batumi, which does not survive.

ლიკანი. კავკასიის მეფისნაცვლის საზაფხულო სასახლე. არქიტექტორები- ნიკოლაი ბენუა და ლეოპოლდ ბილფელდი, 1890-იანი წწ.
Summer Palace of the Viceroy of the Caucasus, Likani. Designed by N. Benois and L. Bielfeld. 1890s



ბატონის ციხეში, 1865 წლიდან წმ. ნინოს სასწავლებლის მოთავებასთან დაკავშირებით ა. ზალცმანის მიერ სასახლის გადაკეთების პროექტიც.⁷⁴

საზაფხულო თეატრის ასაშენებლად მეფისნაცვალ მიხეილ ნიკოლოზის ძეს თბილისში დამკვიდრებული პაულ შტერნი მოუწვევია. პ. შტერნმა თეატრი 1895 წელს დააპროექტა. პროექტი სრული სახით ხსენებულ ფონდშია შემონახული,⁷⁵ თავად შენობა კი აღარ არსებობს.

ხუროთმოძღვარ ოტო სიმონსონის ვაჟს, ვლადიმერ ოტოს ძე სიმონსონს (დაიბადა 1864 წელს), თბილისის რეალური სასწავლებლის აღზრდილს, რიგის პოლიტექნიკურ ინსტიტუტში მიუღია უმაღლესი განათლება და არქიტექტორის წოდებაც. ერთხანს იგი ბაქოში მსახურობდა, ერევანში. 1900 წელს სახელმწიფო საბჭოს გადაწყვეტილებით რიგის პოლიტექნიკური ინსტიტუტის ინჟინერ-არქიტექტორის წოდება მიიღო. ჩვენთვის კი საყურადღებოა, რომ ვლადიმერ სიმონსონი 1901 წლის 21 დეკემბერს ბათუმის საბაჟო ოლქის არქიტექტორის მოვალეობის შემსრულებელია, 1902 წლის თებერვლიდან კი - ოლქის არქიტექტორი. 1903 წლიდან იგი ბათუმის საოლქო ნაწილის ინჟინერია. 1904 წელს ვ. სიმონსონი იღებს ტიტულარული მრჩევლის წოდებას. 1902 წლის 1 ნოემბრიდან 1905 წლის 1 ივნისამდე იგი ბათუმის წმ. ალექსანდრე ნეველის სახელობის ეკლესიის მშენებლობას ხელმძღვანელობს.⁷⁶

ევროპული წარმოშობის ხუროთმოძღვართა და ინჟინერთა მუშაობის მრავალფეროვან სურათს გვიძლის საქართველოს ძველი სატახტო ქალაქის, ქუთაისის არქიტექტურა. ახლახან გამოვლენილი მასალის მიხედვით XIX საუკუნის მეორე ნახევრისა და XX საუკუნის დასაწყისის ქუთაისში მრავალ უცხოელს უმოღვანია - ესენია, ინჟინრები: ე. ფრიკი, ლიადვანსკი, ფონ შულცი, გ. ზალსკი, პ. ილბრანტი, ზეზემანი, არქიტექტორები: ალექსანდრე შიმკევიჩი, ტრეიერი, კარლ ვაიზერი.⁷⁷ ამ ჩამონათვალში თვალშისაცემია, რომ ქუთაისელ-ევროპელ მოღვაწეთა შორის თბილისელი მხოლოდ ორი — არქიტექტორი ალ. შიმკევიჩი და ინჟინერი ზეზემანია.

ევროპელი არქიტექტორების მიერ, ქუთაისის სპეციფიკას მორგებული, “ქუთაისური” სახლები, აქაც განუყოფელია ქალაქის მთელი სტრუქტურისაგან. ევროპელები ითავისებენ მშენებლობის ქუთაისურ

⁷⁴ ლევან რჩეულიშვილი, თელავი, თბილისი, 1963, გვ.43

⁷⁵ ბორჯომის საზაფხულო თეატრის პროექტის დედანი, ხელმოწერილი არქიტექტორ პაულ შტერნის მიერ, საქართველოს ხელოვნების სახ. მუზეუმის ძველი ქართული ხელოვნების ხუროთმოძღვრული ძეგლების ნახაზებისა და ანაზომების ფონდში ინახება, Проект Летнего Театра в имении его Императорского Высочества Великого Князя Михаила Николаевича, Боржом, 23 Августа 1895 года

⁷⁶ Формулярный список о службе Эриванского Губернского Инженера Надворного Советника Владимира Оттовича Симонсона Инженера-Архитектора, 1910 г., ცხსსა, ფონდი 13, ანაწერი №25, ნიგნი 194

⁷⁷ მარინე ბულია, შიბა ჯანჯალია, ქუთაისი, საქართველოს ძველი ქალაქები, თბილისი, 2006, იხ. დავით ცხადაძისა და მერაბ კეზევაძის ანოტაციები საერო ნაგებობების შესახებ

Particularly noteworthy was the activity of European architects and engineers in the ancient, royal city of Kutaisi in West Georgia. The engineers E. Frick, I. Ladwanski, von Schultz, G.Zalski, P. Albrandt, Sesemann, and the architects A. Szimkiewicz, Treier, K. Weiser worked in the second half of the 19th and in the early 20th centuries. It is of note that only two of them, A. Szymkiewicz and Sesemann, were from Tbilisi.

Although similar to Tbilisi buildings, Kutaisi architecture displays certain peculiarities, such as a distinguished landscape, building materials (mostly stone), type and space arrangement of structures, etc, and is much plainer in style. However, the stone façades look more monumental than those of Tbilisi.

The houses, designed by Europeans in Kutaisi, as well as in Tbilisi, reflect local traditions. European architects based their projects on the numerous buildings constructed by anonymous local masters or builders and designed residential houses with monumental stone façades, in Classical, Baroque, and Art Nouveau styles, and wooden balconies overlooking courtyards. The deep understanding of Kutaisi and Georgian architectural traditions by the European architects reveals their professionalism.

The harmonious combination of traditions is best visible in the architecture of the settlements found by the German colonists in Georgia.



ბათუმი. წმ. ალექსანდრე ნეველის ეკლესია. არქიტექტორი
ვლადიმერ სიმონსონი. 1902-1905 წწ.
Church of St. Alexander Nevsky, Batumi. Designed by V. Simonson.
1902-1905

ტრადიციებს და მრავალი ანონიმური ადგილობრივი ოსტატის მიერ ნაშენი ნაგებობების მსგავსად, ქმნიან კლასიციისტური თუ ბაროკული სტილის მონუმენტურ ფასადებს, მოდერნულ სახლებს, და ქვის უჩვეულოდ დამუშავებულ ქუჩისპირა კედლებს მათ უკან დამალული ბალების ან ბალი-ეზოების აივნის ფასადებს უსადაგებენ.

უაღრესად საინტერესო და თვითმყოფად სურათს წარმოგვიდგენს გერმანელი კოლონისტების მიერ შექმნილი დასახლებების არქიტექტურა საქართველოს სხვადასხვა პროვინციებში.

როგორც ცნობილია, გერმანელმა კოლონისტებმა საქართველოში “თბილისის კოლონიას” და ალექსანდერდორფის გარდა, სხვა რამდენიმე კოლონია დააარსეს. მარიენფელდი დღევანდელი სართიჭალა, პეტერსდორფი - მარიენფელდის მახლობლად, ელიზავეტთალი - დღევანდელი ასურეთი, ეკატერინენფელდი - (ახლა ბოლნისი), ანენფელდი - თბილისიდან 155 ვერსის დაშორებით, ელენდორფი - განჯის მახლობლად. 1842 წელს შეიქმნა ფრაიდენტალი - აბასთუმნის მინერალური წყლების მახლობლად, 1857 წელს კოლონია ალექსანდერსჰილფი, 1884 წელს რუსეთიდან ჩამოსახლებულმა გერმანელებმა ქალაქ სოხუმის მახლობლად შექმნეს კოლონია ნაიდორფი და გნადენბერგი, უფრო მოგვიანებით კი, ე.წ. შვილობილი კოლონიები-გეორგფელდი (1885წ.), ალექსეევკა (1904წ.), აიგენფელდი (1905წ.), გრიუნფელდი (1907წ.), და ტრაუბენფელდი (1912წ.).⁷⁸

უპირველეს ყოვლისა, თვალშისაცემია გერმანელი კოლონისტების დასახლებების რეგულარული გეგმარება - თითქმის იდეალური სისწორის ურთირთპარალელური და ურთიერთპერპენდიკულარული ქუჩათა ქსელით, მართკუთხა კვარტალებით. ამის საილუსტრაციოდ ეკატერინენფელდი ან თუნდაც ელიზავეტთალი გამოდგება. რეგულარული სტრუქტურა, შეიცავდა სტრუქტურის დომინანტს - ტაძარს, საზოგადოებრივ ბაღს და სხვა ოფიციალური დანიშნულების ნაგებობებს. ურბანული სტრუქტურის უმთავრესი შემადგენელი ელემენტი კი, რა თქმა უნდა, საცხოვრებელი სახლი იყო. სწორედ გერმანელების მიერ აშენებული საცხოვრებელი სახლები — ეკატერინენფელდში, მარიენფელდში, ელიზავეტთალში და სხვა კოლონიებში, წარმოგვიდგენენ არქიტექტურული თვალსაზრისით ყველაზე საინტერესო და თვითმყოფად სურათს. აქაც, თბილისისაგან ესოდენ მონყვეტილ და განსხვავებულ არქიტექტურულ გარემოში, ვხვდებით ტრადიციათა სინთეზს, საკუთრივ გერმანული და ადგილობრივი ტრადიციული ელემენტების შეთანამშრომლებას, ხალხურ ტრადიციათა შეხამებას, რომელიც ასე განსხვავებულს ხდის “ქართველი” გერმანელების ხალხურ შემოქმედებას საკუთრივ გერმანულისგან.

⁷⁸ გ. მანჯვალაძე, გერმანელი კოლონისტები ამიერკავკასიაში, გვ. 30-32

ყოფ. კატარინენფელდი (ბოლნისი), გერმანელი
კოლონისტის საცხოვრებელი სახლი, XIX ს.
2004 წლის ფოტო
House of a German colonist, former
Katharinenfeld (Bolnisi), 19th century. Photo 2004



In addition to Tifliser Kolonie and Alexanderdorf, German colonists founded Marienfeld (now Sartitchala) with Petersdorf nearby, Elisabethal (present-day Asureti), Katharinenfeld (present-day Bolnisi), Annenfeld, Helenendorf, close to Gianja. Freudenthal close to Abastumani with its mineral waters was founded in 1842 and Alexanderschiil in 1857. In 1884 the Germans, who were resettled from Russia, founded Neidorf and Gnadenberg near Sukhumi. Later so-called 'daughter-colonies' were established, such as Georgfeld (1885), Alekseevka (1904), Eigenfeld (1905), Grunfeld (1907) and Traubenfeld (1912).

The German settlements are characterised by regular planning and rectangular shape of the suburbs. They always contained a church, public gardens and a public building as a dominant feature. The main component

ყოფ. კატარინენფელდი (ბოლნისი), გერმანელი
კოლონისტის საცხოვრებელი სახლი,
ფრაგმენტი, XIX ს. 2004 წლის ფოტო
House of a German colonist, former
Katharinenfeld (Bolnisi). Fragment of a façade.
19th century. Photo 2004



გერმანელი კოლონისტები აშენებენ ქვის, ფახვერკული კონსტრუქციის სახლებს, ვინრო სამკუთხაფრონტონიანი ფასადებით, გერმანული ტრადიციისამებრ, ქუჩისკენ მიპყრობილს. ქუჩის მოშენებას როგორც წესი, ამ სახლების მიჯრილი წყება ქმნის. მაგრამ ფრონტონიან ფასადებზე ხისრიკულებიანი ან ქვირული აივნებია შეკიდული, მეტიც, აივანი სამკუთხა ფრონტონიან ნანილსაც უკეთდება, რაც მას ზოგჯერ მებონინად აქცევს. ასეთი ფასადების მიღმა გერმანელთა ეზოები იმალება და სახლს აივნები ეზოს მხრიდანაც ედგმის.

აივნის შიგნით მდებარე საფასადო სიბრტყეზე გვხვდება არქიტექტურული მორთულობის ისეთი ელემენტები, რომელნიც თბილისურს ენათესავება. აქაც, კოლონისტების მიერ აშენებულ სახლებში, კლასიციისტური ფორმები თავისებურად ტრანსფორმირდება. და ბოლოს, უთუოდ აღნიშვნის ღირსია გერმანელ კოლონისტთა სახელგანთქმული სარდაფები. ბოლნურ, სართიჭალის, ასურეთის სარდაფთა უმთავრესი დანიშნულება სამეურნეოა. ისინი ასრულებდნენ - მარნის, სანოვავის შესანახის, მაცივრის და სხვა ფუნქციას. თაღოვან-კამაროვანი, ან ზოგჯერ ბრტყელგადახურვიანი სარდაფები უაღრესად საინტერესოა საინჟინრო-კონსტრუქტიული და ესთეტიკური თვალსაზრისითაც.

ევროპელი ხუროთმოძღვრების მიერ თბილისში და საქართველოში აშენებული მაღალი მხატვრულ-არქიტექტურული ღირებულების ნაგებობები ქართული და ევროპული ტრადიციების ჰარმონიული მთლიანობით გამოირჩევა და განუყოფელია ქართული კულტურული მემკვიდრეობისაგან.

თბილისსა და საქართველოში ევროპელთა შემოქმედების გარკვეული ნაწილი შესაძლოა ხელოვნების სინთეზის თეორიის ფუძემდებელთა მოღვაწეობას დაუუკავშიროთ. ეყრდნობიან რა XIX საუკუნის მეორე ნახევარში თავიანთი შემოქმედების ამოსავლად ძველ ქართულ ხუროთმოძღვრულ ფორმებს და იყენებენ რა შუასაუკუნეებრივ ქართულ დეკორს, ევროპელი ხუროთმოძღვრები დასაბამს აძლევენ ნეორომანტიზმისა და ისტორიზმის მიმართულებას XIX საუკუნისა და XX საუკუნის დასაწყისის თბილისის არქიტექტურაში.

ევროპელთა მიერ თბილისში თუ სხვაგან აშენებული ნაგებობების კვლევა ისევე ამოუწურავია, როგორც თავად საქართველოს არქიტექტურისა. თბილისის და სხვა ჩვენი ქალაქების არქივები, ისევე, როგორც ქალაქი, მისაგნებს კიდევ მრავლად ინახავს. კიდევ ბევრია აღმოსაჩენი და ამოსაცნობი, რასაც მომავალი კვლევა-ძიება, იმედია, ნათელს მოჰფენს.

of the urban structure certainly was a residential house. The houses built in Katharinenfeld, Marienfeld, Elisabethal and in other colonies are most remarkable from the architectural point of view. Here, far away from Tbilisi, we observe synthesis of traditions revealed in the mixture of German vernacular and traditional elements. This is what makes the architecture of German colonists distinct from that of purely German.

German colonists constructed stone fachwerk houses, which, following the German tradition, faced the street with narrow triangle pedimental façades. However, the façades with triangle pediments also feature wide overhanging wooden balconies with banisters and fretwork. Moreover, balconies were attached to the mezzanines and consequently, were arranged in two tiers. Behind the façades are found courtyards, gardens and orchards.

The architectural adornment of the houses built by German colonists, like those of Tbilisi, show the transformation of Classical forms. Mention must be made of the cellars built by Germans in Bolnisi, Asureti, Sartichala etc. These high cellars, arranged according to the German tradition, were used for storing wine in enormous barrels and various products. They are distinguished for their vault and flat roofing of high architectural, engineering, and aesthetic value.

The buildings, designed by European architects in Tbilisi and in Georgia are remarkable for their high artistic merit and brilliant combination of local and European architectural traditions and they form an essential part of the Georgian cultural heritage.

Some of the projects realised by the Europeans in Tbilisi and in Georgia can be related to the ideas propagated by the founders of Gesamtkunstwerk. Taking the old Georgian architectural forms as a cornerstone and using medieval Georgian adornment for their buildings in the second half of the 19th century, the European architects gave birth to the Neo-Romantic movement and Historicism in the architecture of Tbilisi of the 19th and the early 20th centuries.

It is impossible to cover the entire architecture of Georgia in general, and Tbilisi in particular, under any single research. The archives of Tbilisi and other cities and towns of the country retain plenty of records that are yet to be discovered.



თბილისელები მთელს მსოფლიოს მშენებლის სახელებს

თბილისის მთელი № 2, თბილისის მერია
 თბილისის ქ. № 1, საქართველოს ეროვნული მუზეუმის — მ. ამირანაშვილის
 თბილისის ზღვარების სახელმწიფო მუზეუმი
 თბილისის ქ. № 5, საქართველოს პარლამენტის, ილია ქაჯავაძის სახ.
 თბილისის ბიბლიოთეკის მთავარი კორპუსი
 თბილისის ქ. №10, სიმონ ჯანაშიას სახ. საქართველოს სახელმწიფო
 ცენტრის კორპუსი
 თბილისის პროსპექტი № 6, აბაღორაძის სახ. ხედი
 თბილისის ქ. № 1, თბილისის მერია
 თბილისის ქ. № 1, საქართველოს ეროვნული მუზეუმის — მ. ამირანაშვილის
 თბილისის ზღვარების სახელმწიფო მუზეუმი
 თბილისის ქ. № 5, საქართველოს პარლამენტის, ილია ქაჯავაძის სახ.
 თბილისის ბიბლიოთეკის მთავარი კორპუსი
 თბილისის ქ. №10, სიმონ ჯანაშიას სახ. საქართველოს სახელმწიფო
 ცენტრის კორპუსი
 თბილისის პროსპექტი № 6, აბაღორაძის სახ. ხედი
 თბილისის ქ. № 1, თბილისის მერია
 თბილისის ქ. № 1, საქართველოს ეროვნული მუზეუმის — მ. ამირანაშვილის
 თბილისის ზღვარების სახელმწიფო მუზეუმი
 თბილისის ქ. № 5, საქართველოს პარლამენტის, ილია ქაჯავაძის სახ.
 თბილისის ბიბლიოთეკის მთავარი კორპუსი
 თბილისის ქ. №10, სიმონ ჯანაშიას სახ. საქართველოს სახელმწიფო
 ცენტრის კორპუსი
 თბილისის პროსპექტი № 6, აბაღორაძის სახ. ხედი

Index of Tbilisi buildings designed by European Architects

- 1 2 Freedom Square, City Hall
- 2 1 Gudashvili Street, Georgian National Museum, Amiranashvili State Museum of Fine Arts of Georgia
- 3 5 Gudashvili Street, the first building of the Chavchavadze National Library of the Parliament of Georgia
- 4 10 Gudashvili Street, Janashia State Museum of Georgia
- 5 6 Rustaveli Avenue, Children's Palace
- 6 Rustaveli Avenue, St George's Church of Kvashvili
- 7 Rustaveli Avenue, Chapel of Prince Baratashvili family
- 8 11 Rustaveli Avenue, National Picture Gallery of Georgia
- 9 11 Rustaveli Avenue, The Ninth of April Garden
- 10 17 Rustaveli Avenue, Rustaveli State Academic Theatre
- 11 25 Rustaveli Avenue, Palashvili Opera House
- 12 37 Rustaveli Avenue, Tenement House
- 13 8 Griboyedov Street, Sarajshvili Tbilisi Conservatoire



კარტოგრაფი: თინათინ ჯანელიძე
 Cartographer: Tinatin Janelidze

252.479
3
საქართველოს
ბიბლიოთეკა

წიგნი ეძღვნება ევროპელი ხუროთმოძღვრების ღვანლს XIX-XX საუკუნის დასაწყისის თბილისის არქიტექტურაში, მათ მიერ შეტანილ წვლილს თბილისის ურბანულ განვითარებაში. წიგნის ავტორი მიიჩნევს, რომ ევროპელი არქიტექტორები, განსაკუთრებით საცხოვრებელი სახლების მშენებლობისას, ითვალისწინებდნენ საუკუნეების მანძილზე ჩამოყალიბებულ, თბილისისათვის დამახასიათებელ სივრცითი ორგანიზაციის ტრადიციას; არქიტექტორთა ერთი ნაწილის შემოქმედებას ავტორი ხელოვნების სინთეზის თეორიის ფუძემდებელთა მოღვაწეობასაც უკავშირებს.

წიგნში გამოყენებულია ბიბლიოგრაფიული, საარქივო და ცოცხალი ქალაქის კვლევის შედეგად მოპოვებული მასალა. იგი ილუსტრირებულია საარქივო და ავტორისეული ფოტოებით და ძველი პროექტებით. წიგნი განკუთვნილია სპეციალისტებისთვის, თბილისის და XIX საუკუნის არქიტექტურის ისტორიით დაინტერესებული ფართო საზოგადოებისთვის.

“European Architects in Tbilisi” describes the contribution of European architects to the architecture of Tbilisi in the 19th and 20th centuries. The author of the book suggests that the European architects took into account the centuries-old local tradition of organising space, notably in residential areas. The author also links the works of some European architects to Gesamtkunstwerk.

The book offers findings resulting from original research based on bibliographies, archives as well as direct field observations by the author. It is richly illustrated with old designs, historic photographs from the archives and contemporary photographs by the author. The book will be of interest to architectural historians as well as to the public at large.

გარეკანზე: ზუბალაშვილის სახლის კარის ცხაური. ო. სიმონსონის ესკიზი
On the cover: Sketch for a wrought-iron fragment of a door by O. Simonson